

රජයට

9

2016



„უფლებ ანის ქათვლიკები 2120 სუფთი,
მამუნეზუფანი ამ სუფთისს. მამუნეფისნი
520 სუფთი, თნიუ ჭიძით ქათუფუფანი.
ფუთისმთხუფათ, მუნ ვინისამთ ჩუნ
მთიძისს“.

უფის ტაძრის 1909 წლის წარწერა.

ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული
და საზოგადოებრივი ჟურნალი

არაჰი

ჟურნალს გამოსცემს

სამცხე-ჯავახეთის

სახელმწიფო

უნივერსიტეტი

9

2016

რედაქტორი - მერაბ ბერიძე

მოდელი - მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე

სარედაქციო საბჭო: გიორგი ბუცხრიკიძე

ლია ზაზაშვილი
ვახტანგ ინაური
მალხაზ ლომსაძე
ვასილ მამულაშვილი
ლერი ნოზაძე
ირინა ჯიშკარიანი

ირაკლი ვაშაყმაძე, თბილისი
რეზო შეროზია, ზუგდიდი
ზაირა კელოშვილი, ათენი

უცხოეთთან თანამშრომლობის

ბიურო: ლალი ბერიძე

მაია ქუქჩიშვილი

მხატვრები: ზვიად ბერიძე

თამარ თამარაძე

ნათია ბერიძე

ლელა ფერაძე

მდივანი - ზაირა გელაძე

საგამომცემლო ჯგუფი: ლია ზედგინიძე

ლარისა გურგენიძე

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №106

© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016

ISSN 2346-836X

ზვიად ბერიძე



ათი გვერდი

ორი კვირა არ არის გასული მას შემდეგ, რაც მამაჩემმა დამირეკა და მითხრა - თხუთმეტი გვერდი მჭირდება პროზა და რას ფიქრობო. ფიქრობო - ისე იყო ნათქვამი, აუცილებლობის და ვალდებულების სიცივე რომ გადაჰკრავს ხმას, სიმკაცრეც არის და საფილდაოც. მოკლედ, მამამ თქვა და ასე დაიწყო ათი გვერდის ისტორია. ცოტა წავევაჭრე და თხუთმეტი გვერდი ათამდე ჩამოვიყვანე, შემდეგ იმასაც მივხვდი, რომ ის ხუთი გვერდი თავიდანვე ჰქონდა გათვლილი მამაჩემს და ასე შევეუდექი სამუშაოს.

სამუშაოს, ალბათ, ვერც დავარქმევ. ეს ისეთი ათი გვერდია, ჯერ რომ არ იცი, რაზე წერ. დასაწერი, რა თქმა უნდა, არც ისე ბევრია, მაგრამ, მოგეხსენებათ, საჯარო მოხელე ვარ და ვმუშაობ ისე, როგორც საქართველოს მოსახლეობის ოთხმოცდახუთი პროცენტი - წესით, სადაც არ უნდა ვმუშაობდე, მაგრამ ხელობა, რომელიც ძალიან ძალად ავითვისე, ოჯახს ინახავს, თან არც ისე ცუდად, თან როგორც ნამდვილ-ჭემმარიტ ქართველს, ყველაფერში არ მყოფნის ხელფასი და ბანკები ერთ დღესაც არ მპატიობენ, პირველივე გადაცილებულ დღეზე ცნობილ ოც ლარს მახევენ... დანარჩენი კი, თუ ვინმე წაიკითხავს ამ ნაცოდვილარს, თქვენც კარგად იცით. მოკლედ, საკუთარი თავისთვის დრო ძალიან ცოტა მრჩება, ამიტომ

ცოტასაც ვწერ. ისე ვარ, როგორც უმეტესობა საქართველოში. ვალდებულებიდან, მამაშვილობის ერთგულებიდან და, საერთოდ, უდიდესი პატივისცემიდან ორი კვირის წინ დავინწყე ფიქრი, რა უნდა დამეწერა ისეთი, რომ ამ სიტყვათშადრევენების ფონზე, რომელიც საქართველოში იწერება, რამდენიმე სტრიქონი მოსაწყენი არ ყოფილიყო თქვენთვის.

კვირა დღე მიიღია და თბილისური სიცხისგან გათანგული, ვინაიდან სახლში კონდიციონერი არ მაქვს, მთელი ღამე მცირედ სიგრილეს ვეძებდი ხან ორპირში და ხან აბაზანაში, მას შემდეგ, რაც ვერაფრით ვიპოვე, ამოვიღე ამერიკიდან მეგობრის ჩამოტანილი ორიგინალი „მაღბორო“ და გავაბოლე აივანზე, მაღვევ მივხვდი, სიგარეტი ჩემი საქმე რომ არ იყო და მოაჯირზე ჩავაქრე, მიუხედავად იმისა, რომ აივანს ქვემოთ „ბიჩოკები“ საკმაოდ უხვად ეყარა, შევბრუნდი სახლში და ჩამქრალი სიგარეტი უნიტაზში ჩავრეცხე. ათი გვერდი მოსვენებას არ მაძლევდა, დივანზე წამოწოლილი ვფიქრობდი, რომ მოვასწრებდი, აუცილებლად მოვასწრებდი, სულ ერთი დღეც რომ მქონოდა დარჩენილი, მოვასწრებდი. ასეთ ფიქრებში ჩამეძინა, ჩამეძინა ჩემს ნარინჯისფერ დივანზე, ტელევიზორთან, სადაც შემეცნებითი ტელევიზია „დისქავერის“ რუსული თარგმანის ნაწყვეტები ჩამესმოდა ბურანში წასულს... და ამ დროს: „გოოოოოოოოლ!“ - დაიყვირა ვიღაცამ და გულანთებულმა გუნდლებმაც ტაში დაუკრეს. ჯერ ვერ მივხვდი, რა ხდებოდა და ვიფიქრე, სიზმარში ვარ-მეთქი, მაგრამ ცოტა ხანში: „სად ურტყავ, შე სიროო“, - რომ დაამატეს, მივხვდი, ეზოში ქართულ ფეხბურთს თამაშობდნენ. გავიღვიძე. სამზარეულოში ავანთე შუქი, საათი სამის ნახევარს აჩვენებდა, ფეხბურთის თამაშიდან გამომდინარე, ვიფიქრე, ელემენტი დაუჯდა და გაჩერდა-მეთქი საათი, მაგრამ იმავე დროს აჩვენებდა ჩემი მობილური ტელეფონი, მაჯის საათი და „დისქავერი“. ეჭვი არ იყო, ქართულ „ნოუჰაუსთან“ მქონდა საქმე, სადაც მორალი და ზნეობა, სადღაც, სიგარეტის ბიჩოკებივით ხან აივანს ქვეშ და ხან უნიტაზში ყრია. ონკანიდან ამაოდ დაველოდე ცივი წყლის მოსვლას, გამახსენდა მაცივარი, მოცხარის კომპოტი და მას შემდეგ, რაც კომპოტი, რომელიც ცოლმა დამიტოვა დავალე-ბით: „აუცილებლად დალიეო“, „გრაფინში“ ობმოკიდებული დამხვდა. გაგრილების პირველი შანსი ხელიდან დამისხლტა. დავას-



ველე პირსახოცი, შემოვიხვიე კისერზე და ლოჯიდან ვუყურე ოთხ ტაიმს ხუთამდე. მერე ჩამეძინა და პირსახოციც შემაშრა.

მაგრამ ამ ცხელი ღამის ოდისეა ასე დასრულებას სულაც არ აპირებდა. ის იყო, სიცხემ კვლავ მომიჭირა თავისი მარწუხები, რომ: „შენ ჩემ ცოლს ძუძუებში რატომ

ჩახედე, შენ დედას, მე შენ დედას, ახლავე შე ბოზო“... მოკლედ, ეზოში ძვირადღირებული მანქანა გაჩერებულიყო და ვარდისფერპერანგშემოხეული, ზომაზე მეტად მთვრალი დენდი მძლოლს ეჩხუბებოდა, რომელსაც, სავარაუდოდ, ღრმად ნაქეიფარი დენდი თავის მეუღლესთან ერთად სახლში მიჰყავდა. მასაც კარგად ეცვა და, ალბათ, სუფრაზეც ერთად იყვნენ. ასეა თუ ისეა, წითელ ფერზე აწყობილი, მაღალ ქუსლებზე შემდგარი ლამაზმანი, ლამპიონის ქვეშ გაჩერებულ „ეს“ კლასის მერსედესიდან გადმოსულ მძლოლს ემუდარებოდა: - თემო, არ გინდა, ხომ ხედავ, მთვრალია, - მაგრამ დენდი და მძლოლი არც ერთმანეთს და არც ერთმანეთის დედებს აღარ ინდობდნენ. ბარბი კი ლამპიონის ბოძის ქვეშ დადგა და ატირდა. ჩასვლა გადაწყვიტე, გავაშველებ-მეთქი, ვიფიქრე, მაღვეე ჩავიცვი და კიბეებს ჩავუყევი, მაგამ ეზოში ჩასულს არც მანქანა, არც ვარდისფერპერანგშემოხეული დენდი თავის ცოლთან ერთად, არც მძლოლი თემო აღარ დამხვდა, მერე კი ისიც გამახსენდა, რომ სახლის კარი გამოვკეტე და გასაღებიც არ წამოვიღე. ასე და ამგვარად, აღმოვჩნდი დილით ძალიან ადრე ეზოში, კისერზე პირსახოცშემოხვეული, მოკლე შარვლით და ბრეტელებიანი მაისურით ლამპიონის ქვეშ. მალე ლამპიონის შუქიც ჩაქრა და ჩემი გარეგნობის გასამართლებლად წავედი სასაქონოდ ლისის ტბაზე იქამდე, სანამ ჩემი გულკეთილი მეზობელი არ გაიღვიძებდა, რომ მისი ფანჯრიდან ჩემი სახლის აივანზე გადავსულიყავი და ჩემს საძინებელში შევსულიყავი. ბუნებრივია, სამსახურშიც დავიგვიანე და ხელმძღვანელობის გულისწყრომაც დავიმსახურე, მაგრამ, რას იზამ

კაცი. ცხოვრება გრძელდება. ჩავრთე სამსახურებრივი კომპიუტერი და დავჯექი ყოფილი პარლამენტარის წითელ სკამზე, თუ პირიქით, პარლამენტარის ყოფილ სკამზე, რომელიც უსასყიდლოდ გადმოგვცა სახელმწიფომ, დამატებითი ხარჯების თავიდან ასაცილებლად, როდესაც პარლამენტი თბილისიდან ქუთაისში გადაიტანეს. მოკლედ, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაში, სწორედ ისე, როგორც პარლამენტარებს. არადა, ერთ დროს კენჭსაც ვიყრიდი, მინდოდა, ერისთვის და ხალხისთვის სამსახური გამენია, მაგრამ ბრძოლა არათანაბარ პირობებში მომინია. ჩემი კონკურენტი დიდი ფულის პატრონი და ყოფილი ჩინოვნიკი, ათას ლობზე გადასული, გამოცდილი და, რა ვიცი, რამდენი ლეგალის მქონე ბიზნესმენი იყო, რომელმაც ერთი პარტიიდან იყარა კენჭი, მეორეს გაურიგდა, მესამეს ფული გადაუხადა, ნარკომანებს წამალი დაურიგა, ლოთებს - არაყი, ქემებს - პლანი, თითო ბატკანი დაკლა თითო ბირჟაზე, სადაც საჭიროა, ასი ათასი დოლარი მიიტანა (მავანნი ამბობენ, ასე ღირდაო მაშინ პარლამენტარობა), მოკლედ, იმდენი ფული დახარჯა, სამი მონვევის პარლამენტარობაში რომ ვერ ამოიღებდა ხელფასით, სამაგიეროდ, რაიონმა, საიდანაც მე ვარ წარმომობით, მიიღო თავისი ღირსეული წარმომადგენელი, რომელმაც შემდეგ ნახევარი რაიონი შეიძინა და უკმაყოფილო მოსახლეობა დედის გინებით იხსენებდა, არაფერს გვიკეთებსო. თუმცა, დარწმუნებული ვარ, არჩევნების შემთხვევაში იმავეს გაიმეორებს იგივე მოსახლეობა და თავის სვებედზე წუნწუნით ღმერთსაც შეანუხებს და ადამიანებსაც. მახსოვს, გარე ბიძაშვილი შემხვდა - ვის აძლევ ხმას-მეთქი, ვკითხე, „შენ კონკურენტსო“, - მიპასუხა, კი მაგრამ, ჩემი ბიძაშვილი ხარ და სხვას რატომ აძლევ-მეთქი ხმას, „რა ვქნა, ფული მაქვს აღებული და არაკაცურად გამომივაო“, - უმაღვე მომიგო თავის სიმართლეში დარწმუნებულმა. რალა უნდა მეთქვა, მივხვდი, რომ მეც განწირული ვიყავი და ბიძაშვილიც. ვიბრძოლე და ვაჟკაცურად დავმარცხდი. ამიშალა მოგონებები პარლამენტარის სკამმა, რომ გადმოგვცემდნენ, აბსოლუტურად ახალი იყო, თითქოს, არც არავის დაედო ძვირფასი საჯდომი პარლამენტში, არადა, ამ ოთხი წლის განმავლობაში მეორედ შევაკეთე და ჩემი ქვეყნის კანონმდებლების დასაცავად, საკუთარ წონას დავაბრალე.

არც სამსახურში დამანება თავი ათი გვერდის თემამ, ვფიქრობდი, რა დამენერა, მაგრამ ვერაფრით მოვიფიქრე, სათქმელი კი, წესით, უნდა იყოს დარჩენილი ამ მაღლიან ქვეყანაში.

ოთახში ვსხედვართ სამნი, სამივე მენეჯმენტის საშუალო რგოლს მივეკუთვნებით, ვმეგობრობთ რამდენიმე წელია და ოთახში ერთად ყოფნაც არ გვიჭირს. დილა დოკუმენტბრუნვის გადამონმებით დაიწყო, ამოძრავდნენ განაჩენები, ბრძანებები, მოხსენებითი ბარათები და აქტები. დაიწყო ბრუნვა თარიღებმა, ციფრებმა, ნომრებმა, ჩვეულებრივმა რუტინამ, რაც საჯარო მოხელის საქმიანობაში შედის... და შემოვიდა პირველი ზარიც, ტელეფონზე სახელი და გვარი რომ წავიკითხე, მივხვდი, სპეციალისტმა წინა დღეს დალია და სამსახურამდე ველარ მოაღწია... დალევის შემდეგ იკარგება და ვეძებთ ერთი კვირა ოჯახთან ერთად.



მხატვარი - ზვიად ბერიძე

მამინც კარგი ქნა, რომ დარეკა. ბათუმიდან მირეკავდა, თუმცა, ის აღარ ახსოვდა, როგორ მოხვდა ბათუმში, საიდან წავიდა, ვისთან ერთად და, საერთოდ, ფული ვისგან ისესხა: „აქ ვარ ბათუმში, მოვდივარ და ეგრევე სამსახურში მოვალ“, - ბოდიში მოიხადა ზრდილობიანად, როგორც ეკადრება რაფინირებული ინტელიგენტის ოჯახის შვილს, ზრდილობიანად კი ბევრი რამის გაკეთება

შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ბოდიშს უკვე ერთი კვირაა, იხდის... შენიშვნა მივეცი და კაცური პირობა ავიღე მისგან, რომ მეორედ აღარ განმეორდებოდა. შევთანხმდით, მაგრამ, ისიც ცნობილია ჩემთვის, რომ პირობა უკვე დარღვეულია, მით უმეტეს, თუ იცი, ხელმძღვანელი არ გაგყიდის და უფრო დიდ ხელმძღვანელს შენი უფრო კარგად ესმის. ჩვეულებრივი სიტუაციაა, დაღვეის გულისთვის სამსახურიდან არავინ გაუშვებს... ეს საქართველოა, დიდსულოვანი საქართველო. ის იყო, საუბარი დავასრულე, რომ კარი თანამშრომელმა გოგონამ შემოაღო, გაყიდვების განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა - ადამ. ადა 29 წლის ფოთელი გოგონაა. „ფოთელები არც მეგრელები ვართ და არც გურულებიო, ფოთელი ფოთელიაო“, - ამბობს მეგრული აქცენტით, მაღალი, ნაბლისფერი თმებით, ნუშისებრი თვალებით და საოცრად გრძელი და ნაზი თითებით შეიარაღებული ადა. ლამაზი გოგოა, მაგრამ თავისი გულისსწორი ვერ იპოვა და „უკვე ნერვიულობა დაეტყო გათხოვებაზე“, „წუნიააო“, ჩემზე იძახიანო“, - ამბობს საუბრისას, ხელში ყავა და ნამცხვარი უჭირავს, მოართმევს ხოლმე თავის განყოფილების უფროსის ჯინაზე ჩვენი განყოფილების უფროსს, მოიკითხავს, ისაუბრებს თავის განცდებზე, მიუხედავად იმისა, რომ, შეიძლება, ეს არავის აინტერესებდეს. დაცლის გულს და ისეთი სახით გავაოთახიდან, აღსარების მერე რომ ტოვებენ ეკვდერს. „ცოტა“ მეგრული აქცენტის უხდება ადას. რას ვიზამთ, სამუშაო ბევრი გვაქვს. ასე იწყება დილა, აღარ მცალია ადასთვის, ათასი დოკუმენტი მაქვს გადასამოწმებელი და ეს ათი გვერდიც არ მაძლევს მოსვენებას. საღამოს თავი სავსეა უსარგებლო თუ სასარგებლო ინფორმაციით, ვცდილობ, გადავახარისხო, მაგრამ ინფორმაცია იმდენად დიდია, რომ ვერ ვერევი და ნაწილზე არც მინდა ვიფიქრო საერთოდ. საჭიროა ალკოჰოლი - ვფიქრობ და, თითქოს შეკვეთით, ჩემი ძმა და მეგობარი გიორგი მირეკავს: „ზვიად, ხინკალზე და ლუდზე წამოხვალ „პაულანერში“? - წამოვალ კი არა, გამოვფრინდები, გიო! არც თათბირი მინდა და არც ეს ზედმეტი ინფორმაცია. მინდა, უბრალოდ, იმ ხალხთან, სადაც ერთმანეთს ძირს არ უთხრიან, სადაც პირიდან სიტყვას არ ძალავენ იმიტომ, რომ შემდეგ ენა მიიტანონ და ვიღაც, ვითარების გამო დაწინაურებულ ნაბიჭვართან, ქულა დაიწერონ. მოვდივარ, გიო, ბავშვობის ძმაკაცები ყველაფერზე ძვირფასია!.. მერე მახსენდება ექიმის დანიშნულება და სამკურნალო პრეპარატები, რომლებითაც სავსე მაქვს პერანგის გულის

ჯიბე, იქვეა ჩემი ცოლის ხელით დანერილი განრიგი და დრო, და-
ლევის თარიღებით, „რომ არ დამავინყდეს“. ვიცი, ვერ დავლევ, მა-
გრამ მაინც მოვდივარ, გიო.

„პაულანერი“ ერთი პატარა ბარია ნუცუბიძის ქუჩაზე, ახლადაშე-
ნებული ბინის ქვედა სართულზე, სიგარეტის ბოლით გაჯერებული.
ბარში მოწვევა აკრძალული არ არის და ამას შესვლისთანავე მკა-
ფიოდ გრძნობ. სალამოს, როცა კლიენტებით სავსეა ბარი, იქამდე,
სანამ სასმელს და კერძებს მოიტანენ, სანამ დალევ და სულ ერთი
არ იქნება შენთვის, დედამინა ბრუნავს თუ არა, გარკვეულ დის-
კომფორტს განიცდი. სამაგიეროდ, საუკეთესო ლუდით და ხინკლით
გაგიმასპინძლებიან. ასე და ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ
არამწვევლი კლიენტი, გინდა თუ არა, რამდენიმე საათით პასიური
მწვევლი ხდები და პასიური მწვევლების უფლების დაცვა ევროპაში
ყოველი ნამდვილი ევროპელის მოქალაქეობრივი ვალია, მაინც სა-
სიამოვნოდ ვატარებთ დროს მეგობრები ხოლმე და ყველას, მათ
შორის არამწვევლებსაც, ფეხებზე ჰკიდია, ვინმე წუხდება თუ არა
სიგარეტის ბოლით.

ჩემი სახლი იქვეა. სალამოს ეზოში მანქანის გასაჩერებელი ად-
გილი არ იყო, შევარჩიე ისეთი მეზობლის მანქანა, რომელიც აღარ
გავიდოდა, ან, თუ გავიდოდა, მეორე ან მესამე მანქანით და ჩემი
„მინივანი“ უკან მივუყენე, შემდეგ კი „სუფთა სინდისით“ დავემვი
„პაულანერისკენ“. შესვლისთანავე მომაგებეს არჩევანი, მაგრამ ჩემი
არჩევანი ყველას გაუკვირდა: მაპატიეთ, ძმებო, დღეს ვერ დავლევ-
მეთქი, რასაც მოჰყვა ჩემი ჯანმრთელობის და „გახურების“ დაუნ-
დობელი კრიტიკა, არანორმატიული ლექსიკით, ჭიქა არყით, თეფშის
წინ დაშვებული მზერით და კომენტარით: „ჩვენ დაგისხამთ და შენ
როგორც გინდა“. რადგან ვერ შემაცდინეს და ჯიუტად გავიტანე
ჩემი და ვიძახე: ვმკურნალობ-მეთქი, - ხელი ჩაიქნიეს და შეუბერეს.
სათამადად ადგილას ვიჯექი, ჩემი სუფრის გარდა ბარში გამოიღ
სხვა სუფრებსაც კარგად ვხედავდი და ჩვენს გასწვრივ მოქეიფებებს
დავაკვირდი ფხიზელი თვალით. როგორც მივხვდი, იქაც მეგობრები
უნდა მსხდარიყვნენ. ერთი ზურგით იჯდა ჩემკენ, ორ-ორი მაგიდის
მარცხნივ და მარჯვნივ. თვითონ მაგიდა ბოლოთი მიმდგარი იყო
კედელთან. ზურგით მჯდომი თამადაობდა, ჩვენზე კარგა ხნით ადრე
მოსულიყვნენ და შეზარხოშებულებიც იყვნენ, სვამდნენ და უამრავ
რამეს იგონებდნენ, ეტყობოდათ, ერთმანეთს კარგად იცნობდნენ,
ხუმრობდნენ და იცინოდნენ, დროს კარგად ატარებდნენ და ჭიქას

ჭიქაზე ცლიდნენ: „ძმებო, - წამოდგა ფეხზე მათი თამადა, შემოტრიალდა ბარისკენ და გააგრძელა, - ყველას აქ მყოფთ ძმაკაცები მინდა დაგილოცოთ, ეს ისეთი რამ არის, რაც ყველაზე დასაფასებელია ცხოვრებაში, უღალატობას და ერთგულებას გაუმარჯოს ძმაკაცობაში, არ მოგვიშალოს უფალმა ერთად ყოფნა და დროსტარება, გაგიმარჯოს, ძმაო, შენ გენაცვალე, დაგლოცავთ, ბიჭებო!“ და გაგრძელდა ბარში გაშლილი სუფრებიდან მოფერება და გულანთებული ძმაკაცების სამადლობელი, თამადის სუფრაზე ყველა ფეხზე წამოდგა და სიამაყით სახსე ჭიქებში გრამი სითხე აღარავინ დატოვა. როდესაც დასხდნენ, კედლისკენ მჯდარი ერთ-ერთი თანამესუფრე წამოდგა და ტულეტისკენ წავიდა, კედელთან საფულე დარჩა. მეორე, რომელიც თამადისკენ იჯდა, კედლისკენ გადაჯდა და ოფიცინტს დაუძახა: თეფშები შეცვალეო, - მარჯვენა ხელი საფულის წინ დადო და მარცხენა სუფრას დააყრდნო იდაყვით, ისე, რომ ვერც საფულეს და ვერც მისი ხელის მტევნის მოძრაობას ახლოდან ვერავინ დაინახავდა. მარცხენა ხელით საფულე გახსნა და ფულის კუბიურა გამოაცურა. დავმუნჯდი, არ ვიცოდი, რა უნდა მეტქვა, ან რა უნდა მექნა, შემდეგ საფულე გადაკეცა და თითქოს არაფერი მომხდარაო, ჭიქას მოჰკიდა მარჯვენა ხელი და ქეიფი გააგრძელა, მალე ტულეტებიდან საფულის პატრონი დაბრუნდა - აქეთვე დავჯდებო, - თქვა, მოქეიფეებს შეუერთდა და ცვრიანი კათხით შემოტანილი „პაულანერის“ გაუფილტრავი ლუდი გადაუშვა ხახაში. უცაბედად გავხდი ისეთი რამის მოწმე, რაც, საერთოდ, ჯობს ცხოვრებაში არც დაინახო, აღარ მესმოდა აღარავის სადღეგრძელო, თითქოს ყველაფერმა ფასი დაკარგა. უკვე მაგრად შეზარხოშებული სუფრა მალევე დაიშალა, საფულის პატრონმა თავისი საფულე მოიკითხა და საფულეც იქ დახვდა, სადაც დატოვა. - დღეს მე ვიხდიო, - გამოაცხადა და მოტანილი ანგარიში გაასწორა... ერთმანეთის კოცნით და სიყვარულით დატოვეს ბარი, გავიდნენ გარეთ, გააჩერეს ტაქსი და თბილისურ ხვატში გაუჩინარდნენ.

ბოდიში მოვუხადე ჩემს სამეგობროს და ყველაზე ადრე გავედი ბარიდან, მოვიმიზეზე წამლის დაღვევა, მოლალატის დროებითი სტატუსი ავირტყი და ჯიუტად შევალე გასასვლელი კარი. გარეთ ცხელი, მაგრამ მაინც სუფთა ჰაერი ჩავისუნთქე და გზას დავადექი, როგორც გითხარით, იქვე ვცხოვრობ, ძალიან ახლოს, მაგრამ საოცრად დავმძიმდი. ისე დავმძიმდი, რომ სიარული მიჭირდა, ორი წუთის სასიარულო ორ საათად გადამექცა. მანქანები კანტიკუნტად

დადიოდნენ, უკვე საკმაოდ დაღამებულიყო და სახლამდე არმისული, იქვე, სკვერში დაჯექი. უცნაური გრძნობა მქონდა, თავს დამნაშავედ ვთვლიდი, ოღონდ, ვერაფრით გავერკვიე რაში.

ლამპიონებით მკრთალად განათებულ სკვერში მყუდრო ადგილას მოთავსებულ სკამზე ვიჯექი, როდესაც ხელიხელჩაკიდებული ორი გოგონა შემოვიდა და ჩემს საპირისპიროდ სკამზე ჩამოჯდა, გოგონები სიგარეტს სიგარეტზე ენეოდნენ და ჩურჩულებდნენ, ცოტა ხანში საუბარი დაამთავრეს, რაღაცაზე შეთანხმდნენ, შემდეგ, აკოცეს ერთმანეთს და რამდენიმე წუთი აღარ გაჩერდნენ. თავიდან ვიფიქრე, რომელიმე ბიჭი ხომ არ არის-მეთქი, მაგრამ არა! გულმხურვალედ „მოზასავე“ გოგონები, თბილისური გარეუბნის სკვერში ვნებას იკლავდნენ. ვიჯექი ჩემთვის ჩუმად და ვუყურებდი ამ უცნაური სიყვარულის ვნებთაღელვას, შემდეგ ერთ-ერთი წამოდგა და „პაკაააა“, - დაემშვიდობა მეორეს, მოდაში რომ არის საქართველოში, რუსული სიტყვა - ინგლისურის დამახასიათებელი ხმოვანებით და ქართული აქცენტით. მეორემაც ხელი დაუქნია და სკვერის კიბეებს ჩაუყვა.

სკვერში რამდენ ხანს ვიჯექი, აღარ მახსოვს. სადარბაზოში რომ შევედი, შუქი აინთო, ხახა დაელო სარკიან ლიფტს და გაფუჭებულიყო, არავის არსად აყვანას აღარ აპირებდა. მორჩილად აფუყვი სადარბაზოს კიბეებს, შევალე ცარიელი სახლის კარი და ტელევიზორი ჩავრთე. როდის ჩამეძინა დივანზე, აღარ მახსოვს.

ფეხბურთის თამაშის ხმამ გამაღვიძა ღამით, პრინციპულად გადავწყვიტე, ჩავსულიყავი და გამერკვია ეს შემადგენლობა დღისით რას აკეთებდა, რასაც, ბუნებრივია, შეხლა-შემოხლა მოჰყვა, უმცირესობაში დარჩენილი მაგრად გავილახებოდი, რომ არა რამდენიმე გვიანობამდე შემორჩენილი ტიპი, რომლებიც თუთის ხის ქვეშ, ფიცრებით სახელდახელოდ შეკრულ სკამზე ყველაზე ბნელ ადგილას ისხდნენ. როდესაც სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, ჩაერივნენ და ჩემი მხარე დაიჭირეს. ბიჭებს მაღლობა გადაუზხადე, ამდენი უარყოფითი ემოციის შემდეგ, რაღაც მაინც მეიმედა. ფეხბურთელები ძვირადღირებულ მანქანებში ჩასხდნენ და სახლებში გაიკრიფნენ. ჩავუარე გვერდი ხახადაღებულ ლიფტს, პირველიდან მესამემდე სადარბაზოში შუქებმა ამაცილეს, კარი გასაღებით გავაღე, გამოცდილებამ მაინც თავისი ქნა. დავწექი საძინებელში და დავიძინე.

ღილით ადრე ავდექი, წყალი გადავივლე, წვერი გავიპარსე და გავწიე სამსახურისკენ. სანამ მანქანას დავექოქავდი, ნაგვის გადა-

საყრელად წავედი. თუთის ქვეშ ერთჯერადი შპრიცები ეყარა, აქ უამრავი ბავშვი თამაშობს, ამ ინსულინის ნემსებს კი მიმზიდველი ფორმა აქვს, წამოგერიფე და შპრიცები ჩემი სახლის ნაგავთან ერთად ურნაში ჩავეყარე.

დილით ადა შემოვიდა ჩვენს ოთახში, ახალი პრობლემებით და ყავის ფინჯნით... ათი გვერდი კი ჯერ დასანერი მაქვს, იმდენი დაწერილა ყველაფრის შესახებ, რაღა უნდა დავწერო, მაგრამ ერთი დღეც, რომ მქონდეს დარჩენილი, მაინც მოვასწრებ.



მხატვარი - ზვიად ბერიძე

ემიგრანტული პროზა

დავით ბოთერა (ბოთერაშვილი) - ისრაელი, შლომი

დაიბადა 1959 წლის 9 მაისს, ქალაქ გორში; სწავლობდა ახალციხის, თბილისის, დიდი ცემისა და ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში; 1973 წელს, 14 წლის ასაკში, დედასთან ერთად, საცხოვრებლად გადასახლდა ისრაელში. 1975-1985 წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში — სახელდობრ: ავსტრიაში, გერმანიაში, ბელგიაში, საფრანგეთსა და ინგლისში; 1987 წელს, იდეოლოგიურ მოსაზრებათა საფუძველზე, იბრუნებს საბჭოთა მოქალაქეობას და ბრუნდება საქართველოში; 1991 წელს წარჩინებით ამთავრებს ხაიფის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებისა და სოციოლოგიის ფაკულტეტს; პარალელურად, სამოქალაქო ისტორიის საგანს ასწავლის ხაიფის „ლეო ბეკის“ სახ. საშუალო სკოლაში;



1991-1993 წლებში სწავლობდა და მოღვაწეობდა ხაიფის, სორბონსა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტების სახელმწიფო მართვის მეცნიერების კათედრებზე მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად; ამ წლებში აგრეთვე ასრულებდა ისრაელში გამომავალი ქართულენოვანი ჟურნალ „დროშის“ კორესპონდენტის მოვალეობასაც;

1993-1995 წლებში, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური თეორიისა და ისტორიის კათედრაზე იცავს საკანდიდატო საატესტაციო დისერტაციას თემაზე: „საბჭოთა ტოტალიტარიზმის კრახის პოლიტოლოგიური ანალიზი“;

2011 წლიდან დავით ბოთერაშვილი ხაიფის უნივერსიტეტის ევროპის საკითხების შემსწავლელი კათედრის ლექტორია სამეცნიერო კვლევითი დარგის განხრით.

ჩანახატები რაბათის ებრაელთა ყაიღებისა

ერდო

... ხო, „ერდო“, როგორც მოვიხსენიებდით ჩვენ იმ ერდოან სახლს, რომელიც, თვით იმდროისათვისაც კი ბოლო და ერთადერთი შემორჩენილიყო მთელი ახალციხის მასშტაბით ქართული ხუროთმოძღვრების კულტურულ მემკვიდრეობაში და რომელშიც მთელი

ჩემი, სილალითა და მშვენიერებით აღსავსე, აზრიანი და დაუვინყარი ბავშვობა გავატარე...

პაპაჩემი, დედაჩემის, ეთერის მამა, დავითო ბოთერაშვილი, ქუთაისის საპნისა და სანთლის გადამამუშავებელი ქარხნის მეპატრონე, 1921 წელს, ანტიბოლშევიკური მოძღვრების ბრალდებით, ისევე როგორც სხვა მრავალი, ამიერკავკასიის არისტოკრატიული წრეების წარმომადგენლები, რომლებიც არსებული ხელისუფლების მიერ აღქმულნი იყვნენ, როგორც დაპირისპირებული მხარე, ქუთათური სასახლიდან ახალციხეს გადაასახლა საბჭოთა ხელისუფლებამ და ბინად მე-2 დავით გურამიშვილის ქუჩის მე-19 ნომერში მიუჩინა ერდოანი სახლი, ხოლო სამამულო ომის დასრულების წინა პერიოდში კი, იგი ქუთაისის საპატიმროში იქნა გამწესებული, სადაც ქაშერი საკვების უქონლობის გამო, 1952 წელს დაქვეითებული იმუნიტეტისა და კვების უკმარისობის გამო, ციხეშივე გარდაიცვალა...

... ერდო, რომლის ზღურბლებსაც ვინრო ბაკებში ჩაჰყავდი, სადაც მარჯვნივ ორი ლახანკა, ერთი უმივალნიკით, დაბანის, მეორე კი, ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების დანიშნულების მატარებელი, ანუ, „ფეხიალაგი“ იყო და რომლის გასწვრივაც, მუდმივ, ორიოდე საპალნე ნედლი შეშა, ერთი დუჟინა ტალეჟი და ფინჯანი, ორი ქაფჩა, როდინის ქვა, უხლავი, ფერადი ყადიფები და ფითილები ეწყო ჯაგრისის კოჭებთანა და ბურნაოთის კოლოფებთან ერთად, რომელთა საყრდენზეც, ჩემი და ჩემი ბიძაშვილის, ბინკოს დათოს მიერ თვითნაკეთი ბრინჯაოს სამაგარკა, ციგა, რელსის გორგალი კაუჭით და სარეცხის ორი გრძელი კეტი იყო მიყუდებული, გვერდით კი, ბაბოჩემის მიერ მოხდილი, პიტნის არყით სავსე შვიდ ჩარეჟიანი ბოცები იყო განლაგებული; ხოლო ბაკების მარცხენა მხარეს, ტაბურეტზე დადგმული თითბერის ჭრაქი ანათებდა, თუნუქის ქვაბი კი, ნავთის ქურაზე, ანუ, „კერესინკაზე“, იყო შემოდგმული, რაშიც ბაბოჩემი, გეოთ რახელა, უამრავ სურნელოვან კერძებს შორის, ფაშვებუმბარს, ჩანახს, ყაურმას, ყაზანგუფთას, ხენაგს, ხოლო შაბათობითა და სადღესასწაულოდ კი, ყალიასა და შეჭამანდს ამზადებდა... ყველაზე მეტად, ჩიჩილის ხაჟუჟი, სუთლი, ყარფუზის მურაბა, თათარბორაგი და ნიახურით შეკმაზული მახობი პამიდვრიანი და განსაკუთრებით კი, ლახნისა და ვაზის ტოლმის დაგემოვნება მიყვარდა...

ის ერთადერთი ოთახი, რომელშიც ბაკები ვინრო კარებით გადადიოდა, ჩემთვის, ჩემი უფროსი დისთვის, ნანულისათვის, დედაჩემი

მისთვისა და ბაბოჩემისათვის, სალონიც იყო, საძინებელიც, სამუშაო ოთახიცა და სტუმრების მისაღებიც...

ოთახს, ზენიტში, უსტალმებო, უფარდებო და უდარაბო სარკმელი ჰქონდა, საიდანაც ერდოში დღის სინათლის შუქი შემოდოდა. სარკმლის გასწვრივ კი, საზამთროდ, ბაბოჩემის მიერ საგანგებოდ დამზადებული, მარლის ქილოფში გახვეული, უგემრიელესი იხვისა და ბატის აფოხტები იყო ლანგარზე ჩამოკიდებული, რომელიც, სანამ სათანადოდ არ განმებოდა, მხოლოდ მისი სურნელით გაძღმოსლა ვყაბულდებოდი...



მხატვარი - ნათია ბერიძე

... ნედლადვე, რკინის ჟემბით დამზადებულ ღუმელში შეკეთებული შეშა, გუგუნით გიზგიზებდა, რომელსაც ბაბოჩემი ანთებდა გარიჟრაჟისას, სისხამ დილით ალიონზე, ხოლო ფეჩის მარცხენა ყუაში, კარტოფილი და ბიჭები იფიცებოდა, რომლებიც, სანამ სი-დამწვრის კვამლს არ გამოუშვებდნენ ერდოს შუაგულში აღმართული ფეჩის ტრუბის ნაპრალებიდან, მანამ, მხოლოდ ნიკელის პრუჟუნებიან ლოგინში, ბაფთებით მოქარგული, მატყლის თეთრ ქათქათა ზენარში გახვეულ საბანს ქვეშ ჩაფუთნულებს, რომელიც კვირაში მინიმუმ ერთხელ მანაც, უთუოდ კრახმაღში ირეცხებოდა, ჩალულუნებულნი, „ავდგეთ! არ ვარგას!“ ძახილში გაგვყავდა დრო და ბოლოს, „ავდგეთ!, - ვარგას!“, რომ დავიძახებდით, წამოვცვივებოდით ზეზე და დედაჩემს მარილის მოყრასაც კი არ ვაცლიდით მე და ნანა, ისე შემოვუტყუტქედებოდით კალთაში ჩახუტებულნი, იმის იმედით, რომ დედა, ან, უფრო დიდ ულუფას, ანდაც, უფრო კარგად შეპრანკულს, პირველს გაგვინანილებდა და ფეჩის ზედაპირზე, მასით ჩარგვ გადადგმულ მოგუზგუზე, ღია ცეცხლზე, თუჯის ჩაიდანში ადულებული და ფინჯანში დაყენებული ჩაის, ნატეხი შაქარით, ანდაც შაქარყინულით „კრიპუსტად“ რომ ვსვავდით, პირველს ჩამოგვისხავდა კრუშკაში...

ღუმელის წინ, ძველი, დიდი სარკით აღჭურვილი მოყავისფრო ტყავის დივანი და კარადა იდგა, ფეჩს უკან კი, ორი დოლაბი იყო კედელში ამოკვეთილი, სადაც ჩემი დიდი პაპის, სრულიად საქართველოს ებრაელთა მთავარი რაბინის, ხახამ ყიმანუელ ბოთერაშვილის მიერ ნანადერძვე, უძველეს თორებთანა და ანტიკურ ბერძნულ და თანამედროვე ლიტერატურის კრებულებთან ერთად, ჩემი, სინით ცხვრის ტყავზე ლეიმაბმული ნაჩარი „ჟუბაკებიც“ ინახებოდა, რომლით აკინწვლაც, ბუჩულისა და ჯარობანას თამაშის, ისევე როგორც, ერთ ვეებერთელა ჩემოდანში ჩაპრესილი ათასობით ათიათას მანეთიანი ოქროს ობლიგაციების ბანკნოტების დათვლისა და ნანას სასკოლო სახელმძღვანელოებში ცნობისმოყვარე კირკიტის გარდა, ყველაზე მეტად მიტაცებდა.

რაოდენ საოცრადაც გინდა ჟღერდეს, ჩვენს უბანში, ჩვენ პირველი ოჯახი ვიყავით, ვისაც რადიო მიძღები, პატეფონი და ყოვლად დაუჯერებელია, მაგრამ „რუბინ“-ის ფირმის კომბინირებული ტელევიზორი გვედგა „სახლში“, რომლის გამართვაც, ერდოს მარსანდაზე, ხუთი მეტრის სიმაღლის ანძის მონტირებას საჭიროებდა დაცდილი ხელოსნების მიერ, რაც თავისთავად ერთგვარ ატრაქციას დასახავ-

და და გარშემორტყმული მეზობლების უზადო ცნობისმოყვარეობას ინვევდა დაჟინებით...

აგრეთვე, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ჩემი ერდოს ზღურ-ბლებს მიღმა, გარეთ, მარჯვენა მხარეს, ხის საარკმლის ქვეშ, საკოცონეს გასწვრივ, რიყის ქვებით შემორაგული ღობე ჩასდევდა გარესამყაროსაკენ მიმავალ ბილიკს, ხოლო მარცხნივ კი, ათიოდე საჟენი მიწის ნაკვეთი იმყოფებოდა ჩვენი ოჯახის საკუთრებაში, სადაც, ლობიოს, სიმინდსა და ხორბალს ვთესდით მე და ნანა და სადაც, პირველად ვეზიარე მიწის მეურნეობის საიდუმლოებას, როდესაც თესლის გაღვივებისა და ყლორტის აღმოცენების ბუნებრივ ციკლს, სხვლის დარადანვე ვადევნებდი თვალყურს, რისი მეშვეობითაც სიცოცხლის არსში ჩანვლომასა ვლამობდი და ვისაც სონა ტოტას ხელით, იმ სამიოდე კვადრატული მეტრის ფართის მიწის ნაკვეთზე მომკული ხორბლისაგან დამზადებული ბადამბური, შაქარლამა, ან ხანუქის დღესასწაულში, ზეთუნის ფუფქ ზეთში ამოცხობილი ლუხმა, ბურბუშელა და ყაიღანა არ დაუგემოვნებია, მას არანაირად ვერ სძალუძს განსაზღვროს, თუ რა ძალა აქვს, ფხვიერი ნამცხვარისა და ნობათისაგან განცდილ სურნელებასა და არომას, ანდაც მისივე უნიკალური გემოებით გამონვეული სიამოვნების სიმძაფრეს, რომელსაც სონა ტოტა საკოცონეზე, გამხმარი ვაზის ტოტებით დანთებული ცეცხლის ალში, თიხის ღრმა კეცზე აცხობდა...

სონა ტოტა

... და არ არსებობდა ისეთი დაავადება, ან ავადმყოფი, რომლის განკურნვაც, ბუჟოთ სონას მიერ სარაველებით დამზადებულ მალამოს ვერ შესძლებოდა... „სონა ტოტა“, როგორც მე მას ვუნოდებდი, ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული და მაინც წარმოუდგენელი ხიბლითა და სილამაზით შემკობილი მანდილოსანი ბრძანდებოდა, ხოლო მისი ზღვისფერი, ელვარე, მბურღავი და თანაც აზრიანი თვალების მზერას, ფეხის თითებშიც კი იგრძნობდი კაცი...

სონა ტოტა, თურმე, ყმანვილობიდან ბაბოჩემის ძმას, ბინიას ჰყვარობდა, რომელიც იატაკქვეშეთში მეფის რუსეთს ებრძოდა... სონა ტოტა დიდგვაროვანი ვაჭრის ოჯახში იზრდებოდა და მის სახლში შემდგარ, ვაჭართა კრებებზე დაგეგმილ განზრახვებს, მენუღე ტიგრანას მეშვეობით, ბინიას აუწყებდა, ბინიას ატამანობით კი, ანარ-

ქისტა ჯგუფი ტყეში დახვდებოდა ვაჭრებს და როგორც სონა ტოტა იტყოდა: „ლაგზევე, ხელს დააბანინებდა“ მათ...

სწორედ ბინიას უსწავლებია სონა ტოტასათვის ფრანგულ, რუსულ და გერმანულ ენებზე წერა-კითხვა და ბინიასვე უზიარებია სონა ტოტასათვის მარქსის, ოივენის, ფურიერის, კამპანელას, მორუსის, სენ სიმონის, ბაირონისა და სხვა მრავალი გენიალური მოაზროვნების იდეები, რომელთა კრებულების ორიგინალური ასლებიც, სათუთად შემოენახა სონა ტოტას და ყოველდღიურად მიკითხავდა... - „ბინიას გვერდში, თვით უღრან ტყეშიც ბილა არ მეშინოდა შუალამეთაც კიო“, მეტყოდა ხოლმე სონა ტოტა...

ერთ დღესაც, ტიგრანას, სონა ტოტასთვის ამბავი მიუტანია: ჟანდარმერია ტყეში გახიზნულ ანარქისტებს დასცემია თავს და ყველანი დაუხვრეტიათ და შემდეგ ხეზე ჩამოუკიდავთ... მათს შორის, მისი ბინიაც... ორი დღის შემდეგ, საქართველოშიც აფრიალებულა სახელმწიფო დამოუკიდებლობის დროშა... სონა ტოტა, ვინმე მდიდარ მესაკუთრეს, თბილისის ბორდელების მეპატრონეს, აბნელას გააყოლეს ცოლად, რომელიც სონაზე ორმოციოდე წლით ხნიერი ყოფილა და რომელიც, რევოლუციის შემდგომ პერიოდში ციმბირს გაამწესეს ბოლშევიკებმა, სადაც იგი, იქვე გარდაცვლილა... მათი ერთადერთი ვაჟი, დავითი, მეორე სამამულო ომში დაიკარგა... სონა ტოტასთვის მე, ბინიასადმი დიდი სიყვარულის ნუგეშიც ვიყავი და დავითის ხსოვნის ერთადერთი იმედიც... ჩემს სანახავად სონა ტოტას, რაბათშიც კი ამოუკითხავს ხოლმე, ანუ, როგორც თავად იტყოდა: „უსულ უსულ ჩამოჩლახუნდებოდა“...

... მახსოვს, სონა ტოტას ბაგეზე, მხოლოდ ერთხელ იდენა ცრემლმა, აი მაშინ, პირველი კლასის ფრიადოსნობის მოწმობა, მეგის ჩემდამი სიამაყის გრძნობით მოპყრობილი თვალების მზერით დაჯილდოვებულმა რომ ავურბენინე სულმოუთქმელად და დიდის ამბით, რომ წარმოვუდგინე... „ახლა, რალა ჭირი მიყომს ხელსაო“...

... ერთ სანახაობადა ჰღირდა, ზამთარში, სონა ტოტას ფანჯრის დარბაზზე, რიგრიგობით შემომჯდარი ბელურების ხილვა, თუ როგორი წესრიგის დაცვით უთმობდნენ, დაპურებული ბელურები, მათს შემდგომ, რიგში მოჟივჟივე ბელურებს ადგილს დარბაზზე, რომელზეც სონა ტოტა სისხამ დილიდან, ფანჯარაში გადმოყუდული უყრიდა მშიერ ბელურებს საკენკს რიგრიგობით...

ჩემს მონათხრობში, თვითოეული სიტყვა, სრულ სინამდვილეს ესაბამისება და რაოდენ საოცრადაც გინდა ჟღერდეს, თვით აბნელა ძიაც კი, ავთენტური სახელი და ნამდვილი ისტორიული პერსონაჟია...

ერთი პირობა ახალციხეში პური დოტაციით იყიდებოდა და ხალხი, ისეთი განანწყებული იყო ხრუშჩოვზე, მისი კუბაში განხორციელებული პოლიტიკის გამო, რომლის ფარგლებშიც, სონა ტოტას თქმით, საბჭოთა ხალხი იძულებული გახდა თავისი წილი პური კუბის მოსახლეობისთვის გაენაწილებინა, რომ, როდესაც ხრუშჩოვი გადააყენეს, სიხარულისგან, ხალხი ერთიმეორეს საჩუქრებსა და გაუსტუმრებელ ვალებს უბრუნებდა, ნიშნად „სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებისა“...

... ბინიას, სონა ტოტა, ერთხელ პირადად, თვით ლენინთან შეხვედრაზეც კი ნაუძღვანიებია. „რ“-ს მაგივრად, „ლ“-სა ხმალობდაო, მეტყოდა ხოლმე სონა ტოტა, მისთვის ჩვეული ღიმილით, რომელსაც, ლენინის, მარქსის, ენგელსის, სტალინისა და ბინიას პორტრეტები ერთ დიდ ფერად ტილოზე ამოქაჩა საგულდაგულოდ ხალიჩასავით მკაფიო ფერებში და იდუმალებით მოცულ გარემოცვაში, კედლებს შორის ჩატანებულ სუნდუკში ინახავდა, რომელიც ათეულობით კილოგრამი ოქროთი და ბრილიანტის სამკაულებით იყო გაპიქინებული და რომლის ადგილსამყოფელსაც, სონა ტოტას გარდა, მხოლოდ მე ვუნყიდი...

მკაფიოდ მახსოვს, ის შემადრწუნებელი აღშფოთების განცდა, რაც, ნანულის მესამე კლასის ისტორიის საგნის სახელმძღვანელოში, ჩანახატის სახით აღბეჭდილი სურათის ხილვის შედეგად, სონა ტოტას მიერ მოცემულმა ახსნა განმარტებამ გამოიწვია, ჩემს, ჯერ კიდევ გამოუცდელ და გულუბრყვილობით აღსავსე ნორჩ პიროვნებაში; ჩანახატი, რომელზეც, ბოძზე გაკრული, ცოცხალი დამიანის კოცონზე დაწვის ცერემონიალი იყო აღსახული და რომელსაც აუარებელი ბრბო შესცქეროდა; ჩანახატი, რომელზეც, ჯორდანო ბრუნო, ის გენიალური მოაზროვნე, რომელმაც, იმ ბნელ და გაუნათლებელ სამყაროში, იმის გამო, რომ კაცობრიობას, იმდროისათვის არსებული რელიგიური დოგმატიზმის საწინააღმდეგოდ, ჰელიოცენტრიული სისტემის არსებობა აუწყა და შეეცადა დაემტკიცებინა, რომ დედამინა მრგვალია, მზის გარშემო ბრუნავს და უსაზღვროა, ინკვიზიციის სამართლო განჩინებითა და ისიც, ღმერთის სახელით, კოცონზე დაწვეს რელიგიურმა მოძღვარებმა ჯორდანო ბრუნო!

სონა ტოტამ, ისიც განმიმარტა, რომ, ინკვიზიციონერებმა, მანამდე, ღმერთის სახელით, კოპერნიკს, იგივე მტკიცება იძულებით გადაათქმევინეს, დედამისის წამების გამო, ისევე როგორც, მოგვიანებით გალილეოს და რომ, არისტარხს, ჯერ კიდევ, ჩვენი წელთაღრიცხვამდე ოთხი საუკუნის წინად, სრულიად მარტივად, გამოთვლილი ჰქონდა, არა მხოლოდ ის, რომ დედამინა მრგვალია, არამედ მას დედამისის წრედისა და დიამეტრის ზუსტი მანძილებიც კი, დაუანგარიშებია, თებენსა და ალექსანდრიაში მისი საცხოვრებლისა და ბიბლიოთეკის ეზოებში განთავსებული წების ჩრდილის დიფერენციული კონუსების მეშვეობით, სადაც იგი მოღვანეობდა და რომელთა შორისაც, ზუსტად შუადღისით ერთსა და იგივე თარიღში, ჩრდილის აბრევაცია 7 გრადუსით იყო გადახრილი, მაშინ, როდესაც, თებენსა და ალექსანდრიას შორის იმდროისთვისაც ცნობილი იყო, რომ საჰაერო მანძილი 711 კილომეტრს შეადგენდა და არისტარხის მცნებით, თუკი დედამინა მრგვალი იყო, ანუ, წრედი, 360 გრადუსი, მაშინ თვითოეული გრადუსი, დაახლოებით, 101 კილომეტრი უნა ყოფილიყო, რასაც ჯამში, დედამინის სარტყელის ზომა, დაახლოებით, 36,400 კილომეტრი უნდა შეედგინა... სონა ტოტამ, ისიც დააყოლა, რომ თანამედროვე მეცნიერული კვლევების მიხედვით, ეს ციფრი, მხოლოდ ოდნავ, რამდენიმე ათეული კილომეტრით განმსხვავდება არისტარხის მიერ დაანგარიშებული ნიშნისაგან... თუმც, რელიგიური მოძღვრების ქადაგით დედამინა ცენტრი იყო სამყაროსი და ბრტყელი, თანაც წყლები „ქვემოთ“ იღვრებოდა-ო, მაგრამ, ჩემი მილიონერი სიძე, იაშა, მაგათზე ჭკვიანი მაინც ყოფილა, იმიტომ, რომ იაშას დღესაც მიაჩნია, რომ დედამინა მართალია ბრტყელია, მაგრამ წყლები, იმიტომ არ იქცევა „ქვემოთ“, რომ ზღვებს მაღალი კალაპოტი აქვთ-ო...

სონა ტოტამ, ისიც კი განმიმარტა, რომ ღმერთის რწმენა საყრდენს განაპირობებს თვითოეული ადამიანის ზნეობრივი, სულიერი და გონებრივი მოთხოვნილებისა, ხოლო რელიგია კი საზოგადოებრივი დატვირთვის მატარებელი ინსტიტუციაა, რომლის დავალებაც ხალხში მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებით შემოიფარგლება და რაც მთავარია, რელიგიებსა და ღმერთს შორის არანაირ კავშირს არ აქვს ადგილი და რომ კაცობრიობის ისტორიაში ყველა ომების, ყოველგვარი სიძულვილის, ბოროტების, სიბნელისა და სიბეცის საბაზი რელიგიები იყვნენ, როგორც ხელსაწყო არსებული მეძავი ძალაუფალი ფენებისა და ხელისუფლებებისა; რაც

შეეხება დედამინაზე მობინადრე ხალხებთან შორის „ფიზიონომიურ“ სხვაობას, იგი, სონა ტოტას თქმით, გეოგრაფიული, კლიმატური, და განსაკუთრებით კი მათი კულტურული ცვალებადობით არის გამოწვეული და განპირობებული. ამ სხვაობათა საწყისი არავითარ შემთხვევაში რამენაირი რელიგიური, ანდაც ეროვნული ნიშნით არ არის ნაკარნახევი განგების მიერ, ამიტომ, მეტსაც გეტყვიო, მომიგო სონა ტოტამ, დაიმახსოვრე შვილო, სანამ ჩვენვე ხალხი, ჩვენს შვილებს, არა როგორც თავისუფალ ადამიანებად, არამედ, როგორც ებრაელებათ, ქრისტიანებათ, მაჰმადიანებათ, ბუდისტებათ, ანდაც, თუ გინდ ქართველებათ, რუსებათ, ფრანგებათ, სომხებათ, ანდაც გერმანელებათ ავღზრდით, მანამ იარსებებს ხალხთა შორის ომები, სიძულვილი, დაუნდობლობა, ბოროტება და მანამ იქნება ერი ჩაგრული, უთანასწორო და გახიზნული და მანამ იქნება ძალმომრეობა კაცობრიობის მოდგმის ნაწილი-ო... ისიც მახსოვს, თუ როგორი აღფრთოვანებით ჩავიბრინე ლელესთან და დიდის ამბით, თუ როგორ ვაუწყე იქ შეკრებილ თანატოლებს: იცით, ბავშვებო - დედამინა მრგვალია და მისივე ღერძისა და მზის გარშემო ბრუნავს! - იცით?! აი, სულ პირდაპირ, რომ იაროთ დედამინაზე, ბოლოს ისევ ამავე ადგილზე მოხვალთ! ყველა გაოცებული იყო „ჩემი“ აღმოჩენით... ხან ერთიმეორეს უყურებდნენ გაოგნებული თვალებით, ხან ადგილზე ტრიალდებოდნენ და ირგვლივ გარემოს აკვირდებოდნენ, ხანაც ზეცაში განცვიფრებულ მზერას აპყრობდნენ... უცებ, იზოლდამ შენიშნა: „დააკვირდით, ნახეთ, ცაში ღრუბლები მიცურავენ!“... - კაი ერთი, ეგრე, რო იყოს, ახლა, აქ კი არა, მამიგონას დუქანთან, ანდაც, გაღმა ბაზართან ვიდგებოდით-ო, დაასკვნა კაკომ...

ებრაელების უბანში, სონა ტოტას, ყველა „კუდიანს“, ანუ, ჯადოქარს დასძახდა და ყველას შიშის ზარსა სცემდა მასთან გზად გადაყრა და ისიც, თავის უზარმაზარ ციხესიმაგრეში, ცარიელ ტარიელ კედლებს შორის მარტოდმარტო გამოკეტილი იჯდა და წიგნების კითხვით, ქსოვით, ანდაც, მალამოების დასამზადებლად, მცენარეების დახარისხებით იქცევდა თავს, მას შემდეგ, რაც ბელურებს უკვე დააპურებდა...

მთელს ჩვენს უბანში ერთადერთი ექთანი, ნუგზარას, ანუ სიმსუქნის გამო, ზედმეტსახელად, ლორლორას დედა, რივა ექთანი ცხოვრობდა... ადგილობრივი ხელისუფლება არ იჩენდა განსაკუთრებულ ყურადღებას უბანში მობინადრე მოსახლეობის მიმართ, არც კომუნალური პირობების გაუმჯობესების კუთხით, არც პიროვ-

ნების დაცვისა და არცა სამედიცინო მომსახურების მხრივ, რის გამოც, უბანში ადამიანების დაავადების შემთხვევაში, პალიატიური მკურნალობის მიზნით, სონა ტოტას მიერ სათადარიგოდ დამზადებული მრავალდანიშნულების მქონე მაღამოები და აბები, ერთად ერთ საშუალებას დასახავდა უბნის მოსახლეობის ჯანდასაცავად, რისთვისაც, რივა დეიდა, ექთნის ამპლუაში დამავალბდა საგანგებოდ შემეკვეთა სონა ტოტასთან შესაბამისი წამალი და როდესაც სონა ტოტას მიერ მცენარეებისგან, ადგილზე, სახელდახელოდ დამზადებულ წამალს ავადმყოფის ახლობელს ხელში გადავცემდი, მათი კურთხევათა რიტუალის სეირი უნდა გენახათ, ჯერ ჩალის ფოჩებიან ცოცხს ზღურბლებზე დაბერტყავდნენ, შემდეგ ავადმყოფს სამჯერ თავს ირგვლივ შეულოცავდნენ და შემოავლებდნენ საათის საწინააღმდეგო მიმართულებით, ზედ სამჯერ დააფურთხებდნენ გაუგებარი ტექსტის ბუტბუტით და მხოლოდ ამ რიტუალის დასასრულს ასხურებდნენ, ან უსვამდნენ ავადმყოფს იმ მაღამოს, ანდაც საცხებელ სამკურნალო წამალს, რომელიც სონა ტოტას მიერ იყო დამზადებული და ყოველგვარი ანგარების გარეშე, ხალხის საკეთილდღეოდ გაღებული და რომელსაც, სანამ სონა ტოტას სახლის კარიბჭეს დავტოვებდი და ავადმყოფისკენ მიმავალ გზას დავადგებოდი, სონა ტოტა ლოცვა-კურთხევას დაადევნებდა: „ეამოს, შეარგოს და ეყაბულოს მაგ გაჭირვებულსაო“...

რაბათის ებრაელობა

რაბათის უბანი ყველაზე ყრიაშული და მომხიბვლელი ხანუქისა და ფურუმის დღესასწაულებში იყო, განსაკუთრებით, თუ მათი თარიღები შობისა და აღდგომის დღესასწაულებსაც ემთხვეოდა, რადგან მთელი უბნის ქალები ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე სადღესასწაულო სამზადისს იჭერდნენ და ნაშუადღევს ბანჩალათ ჩუკიასა და ქეჯენინთ მირაბას სახლებს შუა გადაჭიმულ მდებარეობაზე იკრიბებოდნენ, სადაც ხინკლის ვახშამზე დანიძლავებულები გამუდმებული შეძახილებითა და ფილაფოზურ სიცილ ხარხარში ჩაშკობანას თამაშით იკლებდნენ მთელს გარემოს. „აშურა, მაშურა, ჩემი ოქროს ბეჭედი, ჩემსკენ გადმოაშურა!“, ისმოდა ქალების შეძახილები; ვის არ ნახავდით ამ სახელდახელოდ განწყობილ გრძელ სუფრებზე, იქ იყო: ქოსათ მორდებსაც ცოლი ნათელაი, ლალოთ სონიკოი, შაოთ ხაისა-

რაი, კონცოლათ სიკაი, ფიტიმათ სიმბი, ქოსათ ბესას ცოლი ყვითელათ სიმბაი, ქორბინოთ აშერას ცოლი თამარაი, კოჭლოთ ისაკოს ცოლი ზიდფაი, იაღლოთ სონიკოი, ლალოთ სიმბაი, ფითოთ ფაშაი, ფიტიმათ შიმყონას ცოლი ქოსათ შებაყაი, შინიმინიათ როზაი, ჩელოშათ კეზოს ცოლი გეოთ სონაი, ბაქოდან სადღესასწაულოდ ახალციხეში განგებ ჩამოსული გეოთ ხავიშაი, ბიცოლაჩემი მაროი, ყურჭოთ შალომას ცოლი სიმბაი, ბუჟოთ მანიაი, ლექსოთ ონტლეი, პუტიკათ სარაი, ლევიათ ნიპაი, ყვითელათ აბრაშკას ცოლი კლარაი, ბაჯათ სიხაი, ჰაჯიათ მაზალტობაი, ბულბულათ ყუყუნაი, პუტეთ სონაი და მრავალი სხვა, რომელთა გაუთავებელ ალიაქოთსაც, იქვე თათარიხლად თავმოყრილი ბავშვების ღრიანცელი უერთდებოდა, რომლებიც ბუჩულის თამაშით იქცევდნენ თავს, მათ შორის იყვნენ: კოშტოი, კონიკოი, პაჭოი, ტყუპის ცალები, გულსუნდაი და სულსუნდაი, ქიშვარდი, იზოი, კლარნეტისტი სოსოი, ილოი, სულსუნდაი ერთხელ საბავშვო ბაღის შენობის ქერში რომ დახვდა უცაბედად და იმხელა ბეხლენ ჩოყლოყს, სულ „ერელუთუნ“, რომ აძახებინა..., მამულაი და რაფოი, თამაზიაი, ქოსათ კაკოი, იზოლდაი, ნონაი, ჩიტოი, კაცობათ დათოი, ირაი, ალიკაი, დოდოკოი, ბალაი, ჭუტლიაი, ლუიზაი, ლალი, ანზორაი, ბერიშვილი რიმაი, ფაფალათ სოსოი, გურამაი, შალეი, ოქროი, ომარაი, ანუკაი, შავოთ ბორიკოი, გერშონკაი, ნუნუი, ჩემი დის, ნანულის უახლოესი მეგობარი, მერიკოი და მრავალნი სხვა; მე, დუროთ შთამომავალი ვიყავი და დუროთ დათოდ მომიხსენიებდნენ უბანში; ფერხულში, ცხადია, უბნის მამაკაცებიც იყვნენ ჩართულნი, რომელნიც თავიანთ ნაქნარებს იქედნიდნენ; შეუძლებელი იყო, მათი თანდასწრებით გამონვეული ღრიანცელის უგულველყოფა, იმ ორომტრიალში, სადაც არავინ არავის არ აცლიდა ჩადენილი ნაქნარების ღალადს, ხოლო ფურთის თამაში კი ალიბად იყო საჭირო იმისათვის, რათა ფსონში გასვლისას, ვითაც ხასი ათიანი და ჯვრის ორიანი ერგებოდათ, საბაბი მისცემოდათ თავიანთი დამსახურება დაბეჯითებით დაექადნათ საყოველთაოდ.

შებინდებისას, ყველანი ხეირიანად როცა ამოვიდოდნენ ერთიმეორის ვახტში, უკვე სიქა გამძვრალეები, ხელში ცხელი ლუხმებით, ბავშვები, ბუტეთ ბაღს მივაშურებდით ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით და შემდეგ კი, დანთებული ყანდილებით ლოცვის ეზოში ვიკრობებოდით, სადაც ხნიერი ხალხი ხახამ იოსკას დარაშებს უგდებდა ყურს, ხოლო ქალები და ჯეელი თაობა კი, გასუსული ტრუნვით ვადევნებდით თვალსყურს მათ შორის მიმ-

დინარე ქიშპიან კამათს... ხახამ იოსკაი, ამავდროულად, შოხეტის მოვალეობასაც ითავსებდა თემში და დეკეულს, ლოცვის უკან, მედიკოსა და ნუნუს ეზოში კლავდა, ხოლო, საქონელს კი, ფოცხოვის ხიდქვეშ განთავსებულ ბოინში, სადაც, ბოინიდან ჩამონადენ ნარჩენებს შორის, ხშირად მინახავს სხვადასხვა პირუტყვის ემბრიოების ლეში ფოცხოვის სანაპიროზე დაყრილი... ლოცვის ეზოში იყვნენ: ქორთო ბესაი, კოჭლოი, ფაშაი, მენულე სუმბულათ ბეხარაი, მურკს რომ ეძახდა თავის თავს და ლახანას მისსავე მეუღლეს ლუბას, კოჭლოთ ისაკოი თავის ზილფასთან პადრუჩკით, ბარდანათ ლახშიო, ქიმონაი, გაგალაი და ჯეკაი, იავრიას მამა, ავტობუსის მძღოლი ლურჯაი, სიფრიკაი და სანდროი, უბანში ყველას ოფიციალურ წერილებს რომ უწერდა და უკითხავდა, ყუბელი ფამბათ ხაიმაი, მიკიკაი და გაბოი, ყომარბაზი დუდლუნათ გიკიკაი, ბუბუშათ ბინაი, ანტოთ ისაკოი, მეფურნე იალლოი, ფესახში მასის მჭრელი, კოტკოი, რომელმაც ას წელზე მეტი იცოცხლა; აფლათათ ვარდოი, ას წელს მიღწეული, ჯმუხი და თანაც სიავით გამორჩეული მოხუცი, ახეს ქმრის, ყობიას მამა ბრძანდებოდა და ერთი უნდა გენახათ, ლოცვის ეზოში, მინხისა და ყარბითის ლოცვის შორის შესვენებისას თავმოყრილი ჯამათი, ყოველ ჯერზე, ახლიდან, აფლათას მონათხრობს სულგანაბული რომ უსმენდა, თუ როგორ დახვედრია ჯეელობაში, ფარჩეულით მოვაჭრე პაპამისს, დელი ვარდოს, არსენა მარაბდელი ასპინძის გზაზე და თუ, როგორ გადაუტეხია მათი კუთვნილი ერთ საჟენიანი საზომი ლინეიკა და ხიდან მოტეხილი სამ საჟენამდე სიგრძის ტოტით, თუ როგორ აურწყია სოფლელი ქალებისთვის აბრეშუმის არშიები არსენას და სამი აბაზის ნაცვლად, საჟენ არშიაში, თუ როგორ აუძულებია დელი ვარდოი ორ შაურს დაყაბულებულისყო... ამბობდნენ, დელი ვარდოს ყობიასათვის ვედროებით სავსე ოქროები დაეტოვებინაო, რომელიც, ყობიას მეორე ცოლს, ფაცციას, სულ მთლად გაენიავებინაო...მე, მაშინ ექვსიოდე წლის ვიქნებოდი, აფლათაი როცა აბძანდა. ლოცვის ეზოს შუაში დასვენებული შავი კუბოს ირგვლივ, რომელშიც აფლათას ცხედარი ესვენა, უამრავ ხალხს მოეყარა თავი და პატივს მიაგებდა განსვენებულის ხსოვნას; მასსოვს, უცებ, დავაცემინე და უნდა გენახათ, თუ რა ჩორქოლი გამოიწვია ჩემმა ერთმა დაფცხიკებამ ჯამათში... ერთი ხუთი ქალი მიანც დამესია და ხან მხარზე მირტყავდნენ ხელს და ხან ყურს მქაჩავდნენ, თანაც სამჯერ იმეორებდნენ: „შენ, ჩვენი ხარ, შენ კარგი ხარ, შენ აქის ხარ... იმის მოსვლამდე იცოცხლე!“-ო; აქვე იყვნენ:

ხედვრში თორის მასწავლებელი, სამამულო ომის ინვალიდი, ქორფათ ჰილელი, ბატონაი, ომში ორთავე ფეხი რომ მოეჭრათ, თაფლათ ანზორაი, მოშკას მამა, მუშა იცხაკაი, ბუზიყლაპიაი, ბატების მპურტყენავი, დებორაი, ჯართის შემგროვებელი, ყეზრაი (ცნობლი ყეზრათ ბალის მესაკუთრე, რომელიც სომეხმა ბაგრატამ შეისყიდა და შიგ დიდი სახლი ააშენა), დედლოთ ბესას შვილი იაშაი, დამკვრელი რომას ძმა, რომლებსაც ერთი ძმა ზღვაში დახრჩობოდათ, დომინოსა და დამკის ოსტატი, ალექას სიმამრი, ოქროთი მოვაჭრე, კაცობათ სებიანი, ჩელომათ კეზოი და კეზოს მეუღლე, გეოთ სონაი, ლიპოთ მუშკიაი და მოშკაი, ქორბინოთ აშერაი, ვარდიაი, ქოსათ იაყაკობას შვილები ელოი და იოსკაი, პიკეთ ფილხაზაი და იაყობაი, ხანდაზმული, იეკუთელათ ჭიჭიაი, გეჩიაი, ნედლოთ ფერესას დედა რახელი და მამამისი ისაკოი, ფიტიმათ დოლას და, სიფორაი, რომელზეც ცნობილი ლეგენდა დადიოდა: განანყენებულმა სადედოფლომ დასწყევლა და დოლაი, ისე დაბერდა, თავისი სახლის ზღუბლებს გადაალაბიჯებდა თუ არა, პირქვე ეცემოდაო და მისი დლე და მოსწრება სახლის ზღურბლებს არ გასცილებიაო..., პუტიკათ მორდესაი, რომელსაც ყოველდღიურად შეგეძლოთ შეხვედროდით ბუტეთ ბაღში, კონცოლასთან ერთად ყომარობისას, ხშირად მისი მდიდარი ძმა, პუტიკათ ჰილელი, თბილისიდან ახალციხეს ჩამოსული, ცოდოებს ლოცვაზე მასთან ერთად ინანიებდა, რაბათის ებრაელობაში ყველა დროების ყველაზე მდიდარი, მაინც, ვინმე ქურჩიშვილი ყოფილა..., ბიძაჩემი ელინკას ცოლისიანთი, ჰაჯიათ ილოი, იოსკაი, იაშაი, რაიაი და მიშიკოი, პარტნოვი კანზაველათ მიშაი, ბერიშვილი დარჩიას შვილი, ახალციხეში ერთ-ერთი პირველი სატვირთო მანქანის მძღოლი, ბუკიაი, ბურნათის ყნოსვით ნესტოებდაბერილი, ფიტიმათ მეირაი, თორის მასწავლებელი, მელაამედი ხახამ იონათანაი, რომელსაც, საბჭოთა ხელისუფლებამ დეკასთან მიწები გამოუყო და მისი სახლი ახლადაც ამშვენებს ახალციხის ცენტრალურ უბანს; ხახამ იონათანზე ამბობდნენ, მის სახლს ხანძარი როდესაც გაუჩნდა, ცეცხლის ჩაქრობის უფლება მან არავის არ მისცა, ვინაიდან შაბათ დღეს მოეკიდა ცეცხლი მის სახლსაო, ხოლო ხალხის რწმუნებით, რიბი დობერის, რომელიც წარმოშვებით გომელიდან ბრძანდებოდა და სანამ ყურჭოთ შალომამ ერთი ოთახი თავის სახლში არ გამოუყო, ძირითადად ლოცვაში ეძინა, მას თავისი გარდაცვალების დლეც კი, წინასწარ სცოდნია...

ერთი პირობა, სალოცავად იმდენი ჯამაათი იყრიდა თავს, რომ ზემოთა ლოცვაზე, როდესაც ტევა არ იყო, თვით უქმე დღესაც კი, ქვედა ლოცვასაც კი აღებდნენ, სადაც სამი და ოთხი მინიანი ყოველთვის იკრიბებოდა; ომიანობის პერიოდში სახელმწიფო კარნახით ადგილობრივ ხელისუფლებას ლოცვის დროებითი დაკეტვის დეკრეტი როცა გაუცია, ყვითელათ აბრაშკას მამა, იცხაკას, თავისი სახლის შენობაში ორი ოთახი გამოუყვია, სადაც, ერთში ჯამაათი ლოცულობდა, მეორეში, კი, რომელიც სარდაფში იყო განთავსებული, საფესახოდ მასა ცხვებოდა... მოგვიანებით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქვედა ლოცვა ახალგაზრდულ კლუბად გადააკეთა, სადაც კლუბად ამოქმედების პირველ დღეს კინოფილმები „სპარტაკი“ და „დაკები“ გაუშვეს ერთდროულად... უფრო მოგვიანებით კი, მაგ ქვედა ლოცვის შენობაში მუშტი კრივის სავარჯიშო დარბაზი განათავსეს... ამჟამად მისი რესტავრირებისა და ებრაელი თემის კუთვნილებაში დაბრუნებას ჰპირდება არსებული ხელისუფლება ოდეს რაბათის ებრაელობას...



მხატვარი - ნათია ბერიძე

ფურუმის ყოველ დღესასწაულში, რაბათის უბანს ჯამბაზი სტუმრობდა, რომელიც, ორ რკინის სვეტს შორის გაბმულ ტრესზე, მიწაზე ყოველგვარი დამცავი უსაფრთხოების ბადის, ან ლეიბის გარეშე, გრძელი კეტით ხელში მიმოდიოდა და ჰაერში ტრესზე ბუქუნისას, ირგვლივ შეკრებილი, აუარებელი მოსიერების აღფრთოვანებასა და მქუხარე ტაშით, ხმამაღალი შეძახილებითა და ფშტვენით, ისედაც გაკვირვებული ხალხის განცვიფრებას იწვევდა, რომელთა შორის ყველა რჯულისა და ფენის წარმომადგენელი ერია რაბათის უბნიდან; „სალოლ უსტაბამ, სალოლ!“, ისმოდა ოვაციური შეძახილები... ჯამბაზის შეგირდი კი, წრეს უვლიდა დიდი ფოფოხით ხელში და ზრდასრული მოსიერებისაგან ანგარებას ითხოვდა. ყომარბაზები, ვაჭრები და ხახამ იოსკაი ყოველთვის ორ თითო მანეთიანს უყრიდნენ გასამრჯელოს, ხოლო, მენულები, თერძები და მუშა მოსამსახურეები აბაზიანებს; ბავშვებს, არც კი გვაკადრებდა შეგირდი ფულის გაღებას და ამიტომ ჩვენსკენ, არც კი იშვერდა ფოფოხს; გამონაკლისი მხოლოდ მაშინ იყო, როცა უფროსები დაგვაგალებდნენ ფული, ჩვენ, ბავშვებს ჩაგვეყარა მათ მაგივრად ჯამბაზის შეგირდის ფოფოხში... - „იკურთხოს გამჩენო შენი სახელი! რასა და რას არ მოამოქმედებინებ ადამის ნაშიერს, ჰა?!“, თავისთვის ჩაიბუტბუტებდა ხახამ იოსკაი და ბავშვების გასაგონად ხმამაღლა იტყოდა: „ამრაინები, რო აკეთო, გამჩენის უნდა გნამდეს, თორე... მიდი და ნუ ინამებ გამჩენს, ადამიანო!“...

ნიმანდობლივია, აღინიშნოს ისიც, რომ ფესახის სადღესასწაულოდ რაბათის ებრაელობა, ფესახის სამზადისს სამი თვით ადრე იწყებდა, რომელსაც „ფხეკიკვირები“ ეწოდებოდა, ას ფუთ მასას ორი თვით ადრე თვითოეული ოჯახი აცხობდა, რასაც საყოველთაოდ განთქმული, ახალციხეში პირველი მეფაიტონე, ყრუ ყირბუილი დავითაი, თვითოეულ კომლს, მასით დატვირთული, ცალ ცალკედ ჩამოუვლიდა და მასის სახლში შეტანაშიც ეხმარებოდა... ყირბუილს დომინოს თამამში ფარდი არა ჰყავდა მთელს ახალციხეში; ანტოთ იოსკაიც და თაფლათ მოსეიც ბილა, კაი დღეებში ლოცვაზე დადიოდნენ, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ანტოთ იოსკაი, რაილმასკომის განყოფილების უფროსის თანამდებობას იკავებდა, ხოლო თაფლათ მოსეს, კი პარტიული სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული...

ჯერ რა სახელები ერქვათ, იტყარა შემ ბე ხარა სატანი: ბაჯანალი, ბარტყას პუჭურაი, უჭოი, ფერესაი, შავოთ ალექაი, შურმანათ

აბრამაი, კაჭოთ მოშკაი, ქეჯენიენტ დათიკოი, შინიმინიათ ხაიმაი, ქოროთ ლევიაი, დუდლუნათ მიწკაი, კონდოი, ელინკაი, ბინკოი, აბრაშკაი, ტიტიაი, ფილოი, დამიაი... ან, რა ჩარაზე იყენენ დახურულნი?! ამ რაბათელ ვაჟკაცებს, უსათუოდ, მირინოსის ჟემპრი, ბაილონის, ან ლაფსანის შარვალი, ყარაყუმის ქურთუკი და ჯოხიანი კაცის ფინური ტუფლი უნდა სცმოდათ, თანაც მაკასინები კალოშებში უნდა ჰქონოდათ გაყრილი, ტყლაპოებში დასვრის ალბათობის შემცირების მიზნით; გაღელილ პერანგებს ქვეშ კი, თეთრი ფუფაიკები ყველას აშკარად უმჭირვალეზდა ბანჯგვლიან გულმკერდს; რაბათის ებრაელი დედაკაცები განსაკუთრებული სპეტაკი აღნაგობით, ცბიერებითა და სიკაპასით გამოირჩეოდნენ საქართველოს ყველა სხვა კუთხეში მცხოვრები ქართველი ებრაელი ქალებისაგან, ხოლო მამაკაცების ნირი კი, ახმახი აღნაგობითა და ჰალალი, ხშირ შემთხვევაში კი, თვით ბეყე ბუტუსურობით, მორჩილებითა და სიბეცით იყო ნიშანდობლივი... რაბათის ებრაელთა ოჯახების ყველაზე განსაკუთრებული მახასიათებელი კი, ის იყო, რომ იქ, მამაკაცის მიერ მეუღლისადმი ფიზიკური, ან, თუგინდ, სიტყვიერი შეურაცყოფა, ყოვლად გამორიცხული იყო და მეტსაც გეტყვით, რაბათის ებრაელი მამაკაცები ქალბატონებს სრული თავისუფლებით მოსავდნენ და იშვიათ მოვლენად მიიჩნეოდა მამაკაცის ქალის საქმეში ჩარევა... საქართველოში, თქმულებაც კი, დადიოდა იმისა, რომ: ვაჟი ახალციხელი, ხოლო ქალი ქუთაისელი უნდა შეიყვანო ოჯახშიო, ოღონდ, უქონარი და უქომაგო ქუთათელი ქალიც კი არ ვარგაო, მაშინ როდესაც, ახალციხელი კაცის ოჯახში შეყვანა, სანყალისა და გაჭირვებულისაც კი, ყოვლად მოწოდებული იყო... მთავარი იყო ქალი ონელი არ ყოფილიყო; ონელი ქალი, ბარბინამ, ლო ყალეხემ, სახლში არ შეიყვანებო...

მახსოვს, ხშირად, სააღდგომო დღესასწაულის მოახლოებისას, მამიგონას დუქანთან, ბირჟაზე, დალალები, მიმდებარე სოფლებიდან ჩამოსულ აუარებელი რაოდენობის გლეხობას ჩაიგდებდნენ ხელში და მაუდის პალტოებს ასაღებდნენ; საგულისხმოა აღინიშნოს, რომ მოსასხამი ქურთუკები ყველა ერთი და იგივე ზომის იყო, ხოლო მუშტრების ფიზიკური აღნაგობა კი, მყისიერად განმსხვავებოდა ერთმანეთისაგან, ამიტომ, ვინც მაღალი იყო, იმისთვის ორმო ჰქონდათ ამოთხრილი ვაჭრებს და იმ ორმოში ჩააყენებდნენ, ხოლო, ჩია ზომის მუშტრებისთვის კი, დიდი ლოდი მოეთრიათ საგანგებოდ ვაჭრებს და იმ ლოდზე შეაყენებდნენ მორჩილი ტანის მქონე მყიდ-

ველს, თანაც ზედ დააყოლებდნენ: „იფ, იფ, რა გიხდება!? მოკლეთ, გხატავს! აფსუს, შენ ალაგას რო ვიყო, ორ თანას ერთად ავიღებდი... მამა მიცხონდება, დაჟე ას თუმნათაც არ დაგიტომობდი!“ — „მე ვინ მომაქვავა კაცო მაგოტოლა ფარა?!“, იყო გლეხის პასუხი; „თორა თუ მწამს, შეკერათ არა ღირს! (შეკერვათ, კი არა, შეკერათაო), ხო გეუნები, არ გიყაბულებ მანათ, ქოსათ მორდებხასი არა იყოს რა, ისეთ ფასში გაძლევ თავნი ბილა არა მჩება; ზათი, მანათ მინდა, რო ვთქვა, რო საქონელი დავაფანიერე-მეთქი, თორე, ანჯახ, ხალხის პირში ჩავარდა ჩემი მტერი და ოჯახის დამანყევარი“... ერთი ვნახოთ, ატყდებოდა მითქმა-მოთქმა: იმას შემო ვე ბეზიხრო!, „დათელეხდით ჯამათო, ქელებები მოდინან!“ და მილიცია სიმონაიც თავს დაეცემოდა თავისი რაზმით გაჩაღებული ვაჭრობით დაკავებულ დალალებს; იმას თიფახ ვე იაყავირ გილგულიმ ჯართემ!, მიაკურთხებდნენ ცბიერი თვალებით გაცეცებულ მილიცია სიმონას დაფრთხობილი დალალები და ისიც, ისე მაინც არ დატოვებდა უბანს, ყიმას მამა შიმყონასთვის, ის უგემრიელესი და შეუდარებელი საკმაზისით შეზავებული კიტრის მჟავე, ლილისფერ პატარა მარილოვან ქვაბში რომ ეწყო ხოლმე და თითო თანას ორ შაურად, რომ ჰყიდდა, სამი ცალი მაინც რომ არ შეენერა...

...ბავშვებისათვის, ზამთრისას თოვლი რაბათში, ერთი დიდი ზეიმი იყო.

თოვლის პაპას მურით თვალებს, ხოლო ცხვირს ბადრიჯანით და მკლავს კი, ჩამოკიდული ალუმინის ვედროთი შევამკობდით და მიდი! თვითნაჩარხი ციგებით დაღმართზე „ჰოიენე, ჰაიგონ ელავ!“-ის შეძახილებით თავდაყირა დავეშვებოდით ოღრო-ჩოღრო ბილიკებზე, ღრმა თოვლში ტალახგარეულ და უხეშად გაკაფულ ტრასაზე და ხშირ შემთხვევაში, ჩვენი უბნის საბავშვო ბაგა ბალის გასწვრივ, გრიშას ბუტკამდე ღიად ჩამონადენი ღელის ფეკალური ნარჩენების ნუშპეში ვასრულებდით ტყლაშანით ხანგრძლივ ციგით სრიალს, რომელიც სათავეს მალლა, ვაინტორგში იღებდა და მდინარე ფოცხოვის კალაპოტებში ედინებოდა... გრიშას ბუდკა, რომლის მიმდებარეთაც, ერთად ერთი წყლის ონკანი მოიძებნებოდა უბანში და სადაც მთელი უბნელები ყოველდღიურად ვედროებს ვავსებდით და კეტიტ მხარზე გადაკიდებულ, წყლით სავსე ორ-ორ ვედროს, სახლებისაკენ ვეზიდებოდით...

მთელს რაბათში, ერთად ერთი ტელეფონი უბნის კომიტეტის, მიხალას სახლში იდგა და წარმოიდგინეთ, რომ ისეთი ბნელი ხალხი ცხოვრობდა რაბათის უბანში მაშინ, ჯერ ეს ერთი, მიხალა არავის არ დაარეკინებდა ტელეფონზე, მაგრამ, სადმე დარეკვაც რომ ნდომოდა ხალხს, მიხალას დას, ლუბას, რომელიც განათლებით ექთანი იყო და რომელსაც ყველა ლუბა ექიმად მოიხსენიებდა, ნებაც, რომ დაერთო, ტელეფონზე ციფრების აკრეფვაც კი, არ იცოდნენ... ხოლო, მიხალა, მიუხედავად მისი მაღალი თანამდებობრივი უპირატესობისა, ხალხს მხოლოდ ზემოდან დასცქეროდა და ისევე როგორც მისი და ლუბა, საჭიროებისას, იგი ხალხისთვის, არასოდეს არ არსებობდა...

ერთხელ, მე და ბინკოს დათოი, სკოლიდან მომავალნი, სწორედ იმ დროს გავუსწორდით ჩრდილოეთით, აბანოების მიმდებარედ, ხიდის მოაჯირს, როდესაც ახალციხეში, პირველად იჩქეფა თბილმა გოგირდის წყლებმა, სადაც შემდეგში, ბარნეოლოგიური ცენტრი აშენდა...

ახალციხეში, ავტობუსების ვაგზლის მოპირდაპირედ, ხიდგამოღმა, კინოთეატრი ახალი გახსნილი იყო და მახსოვს დედაჩემის თანხლებით, ღამის სევანსზე, ფილმს უკანა რიგებიდან ვუცქეროდით, ფილმს, რომელიც ფრანგული რევოლუციის დროინდელ სამეფო ოჯახის ყოფა-ცხოვრებას აღწერდა და რომელშიც, გარკვეულ ეტაპზე, მეფესა და დედოფალს შორის ცხარე კამათი და მკვეთრი დაპირისპირება იყო ნაჩვენები; ფილმში წარმოჩენილმა, ერთ მხრივ, ამ დიდებული ხალხის ფუფუნებით განებივრებულმა ცხოვრებამა და მეორე მხრივ, მათი უმსგავსო საქციელისა და ყოფაქცევის მანერებმა აღმაშფოთა, ჯერ კიდევ გულუბრყვილო ყმაწვილი და გაოგნებული დედაჩემს მივმართე: „ამათ რაღა აჩხუბებთ, ჰა, დედა?“ — „ეჰ, შვილო, თუ არი, ზათი ამათშია ჩხუბი, ორპირობა, შუღლი, დაუნდობლობა, გაუტანლობა, სიძულვილი და ღალატი, თორე, ანჯახ, ჩვენ ვის რას ვერჩით, ანდაც, ჩვენ ვინ რას გვეკითხება რო?!“, იყო დედაჩემის წრფელი პასუხი, რომლის ექომაც, კინოთეატრის დარბაზში მსუფვევ სრულ სიჩუმეში, დამსწრე, გატრუნული საზოგადოების ტალღებში ელვასავით იჩქეჟა და უნდა გენახათ, გაოცებული თვალებით, მთელმა დარბაზმა, თუ როგორ იქცია ჩვენსკენ პირი და ერთი პირობა, ყველა იქ მჯდომის ყურადღება, წამოჭრილი თემის განხილვით უფრო იქნა მიპყრობილი, ვიდრე ფილმის ყურებით...

მაშინ, ექვსიოდე წლის ვიქნებოდი, დედამ ბათუმს წამიყვანა; ბულვარიდან, ფეხით, ჭავჭავაძის გამზირზე გავედით, სადაც ძალიან დიდ

უნივერსალში მოგვინია შესვლამ; ამოტოლა მალაზია ცხოვრებაში არ მენახა. ჩემი განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობა კი, ვიტრინაში მდგომმა მამაკაცმა გამოიწვია, მას შემდეგ, რაც ჩემს კითხვაზე პასუხის გაცემის მაგივრად, ისევ ისევ გაუნძრევლად განაგრძო თავის მაჯის საათზე ცქერა... - დედა, ეს საწყალი ვილაცაა, გამოშტერებული დასცქერის თავის საათს და გაშეშებული, არც, კი განძრეულა, არადა, ვკითხე, ბოდიშით, საათის რომელია-მეთქი; დედამ გამიღიმა და შეეცადა აეხსნა, რომ ის მხოლოდ თაბაშირისაგან დამზადებული მოდელი იყო და არა ცოცხალი არსება; ფუტლიარი?!, ვკითხე დედას; კი, მაგრამ თვალები, თვალები, რილათი აქვს, გაკეთებული, ჰა?! და ისევ იმ შარვალ კოსტუმში გამოწყობილ საფრთხობელას გავხედე გაცეცხით... როგორც შემდგომში გამოიკვია, იქ დამსწრე საზოგადოების ყურადღება, ჯერ კიდევ მაშინ მიმიპყრია, როდესაც ეჭვის თვალთ, ხელის შეხებას ვლამობდი ფიტულზე, რათა პასუხი გაეცა მას ჩემს კითხვაზე; შექმნილმა ვითარებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იქ მყოფთ შორის; დედაჩემს ეკითხებოდნენ, თუ საიდან ჩამოვედით და ასეთ უცნაურ სიტყვებს, რატომ ვხმარობდით ქართულში; ბოლოს, ვილაც მოლარემ დაასკვნა აუგი, დამცინავი ტონით, რომ საუბარი იყო ვინმე უვიც სოფლელ ბალანაზე, რომელსაც „კუკლა, კაცისგან ვერ გაურჩევიაო“... ჩვეული სიდიწჯით შევაფეთე იმ მოლარეს თვალები და ვკითხე: თქვენ, გამყიდველი ბრძანდებით, ხომ? - „ხო, მთავარი გამყიდველი ვარ“, - მიპასუხა მოლარემ; - „ხოდა, გამყიდველი დარჩები მთელი შენი დღე და მოსწრება!“ - „მითამ, რათაო?“, შემომეკინკლა მოლარე; - „აი, მაგდენს კი, თქვენი ჩალაყრული ტვინი ვერ აიტანს ქალბატო ნო!“ - ვუპასუხე მას მტკიცედ და ყველა იქ მყოფთა თვალებს გადავუარე მზერით...

უკანგზად, ქუთაისში ჩავიარეთ ხანკულიასთან სტუმრად; რა დიდებული მეჩვენა მაშინ ქუთაისი?! ცენტრალურ მოედანს, ჯერ კიდევ სტალინის დიდი ძეგლი ამშვენებდა, რომელიც ღამით პროჟექტორებით იყო განათებული...

... ჩვენი უბნის ბაგა ბალი, განსაკუთრებული არქიტექტურითა და კეთილმოწყობით გამოირჩეოდა, რომლის შესასვლელსაც უძველესი, თორული ასოებით ამოტიხრული დიდი ქვა ამშვენებდა და სადაც, საძინებელი ზალა, სათამაშო და სასწავლო ოთახი და სასაუბრე ურთიერთდამოუკიდებლად იყო განთავსებული, ორი საპირფარეშო კი, ფართე ეზოში, რომელიც დასავლეთით ხახამ იოსკას საყასბეს, ხოლო აღმოსავლეთით კომპტოს სახლს ესაზღვრებოდა, ჩრდილოე-

თით კი, ზემოხსენებულ ღელეს; საახალწლოდ თოვლის ბაბუა მე ვიყავი ხოლმე ბაღში და ხურჯინ მოკიდებული, სანამ ბავშვებს საჩუქრებს დაფურიგებდი, ოთახში შემდეგი ლექსით შემოვდიოდი: „მოვდივარ, მომიხარია, მომაქვს მშვიდობის ალამი, მთელს მსოფლიოზე მშვიდობა, მშვიდობის შვილებს: და ყველა ერთად შევცახებდით: სალამი, სალამი, სალამი!...“

ერთხელ, საბავშვო ბაღიდან, ენძელების დასკრებად, დამრიგებლებმა სასაფლაოზე წაგვიყვანეს ბავშვები და მახსოვს მოშკას ბიჭი დათოი, დედამისის, ლამარას აკლდამასთან დამდგარიყო და სრული გულუბრყვილობით ესაუბრებოდა მას: „დედა, ამოდი რა, მანდ რა გინდა?! - იცი, როგორ მომენატრე, დედა?! - ზათი, აღარავის აღარ უნდვიარ და აღარ მახსოვხარ, მარამ, ვიცი, რო შენ ყველაზე მეტად გიყვარდი...“; არც ის გამომრჩენია დამენახა, თუ როგორ აეფარა ჩვენს დამრიგებელს, თამარა პატარკაციშვილს ორთავე ხელი სახეზე და მწარე ქვითინით, თუ როგორ მოსთქვამდა...

აღრე, მამიგონას დუქანი, სანამ გრიშას ბუდკის გადაღმა გადავიდოდა, ხახამ იოსკას საყასბეს მიმდებარედ იყო განთავსებული, რომელშიც ქაშერი ხორცი იკვლებოდა და იყიდებოდა; სანდროს სიფორაი მამალ კამფეტებს ამზადებდა და მე მაყიდინებდა ბავშვებში; რაც მემტვრეოდა, მე თვითონ ვჭამდი, რაც არა, ვყიდდი შაურად თითოს და დღის ბოლოს, ჩემს წილად, ორი აბაზიც მრჩებოდა გასამრჯელო... ღმერთო ჩემო, როგორი პატიოსანი ქალბატონი ბრძანდებოდა სიფორაი!? მართალია, არასოდეს არ მომიტყუებია მისთვის, მაგრამ, რამდენი მამალი კამფეტიც გინდა დამმტვრეოდა, ან გამეჩუქებინა, უსიტყვოდ სჯეროდა ჩემი ანგარიშის სიფორა დეიდას; იმ ფულით კი, მივიდოდი საყასბეში და იქ კი, ყასაბმა იოსკამ ზუსტად იცოდა, რომ ჩემი ნაშრომი ფულით ვყიდულობდი ჩემს სანუკვარ ულუფას, რომლის ფასიც კილო 2.40 მანეთი იყო, მაგრამ 300 გრამიან ხბოს ჯივრის ნაჭერს ორ აბაზად მაძლევდა, რომელსაც დიდის ამბით, ბაბოჩემ რახელას ავურბენინებდი ერდოში ტაფაზე ზეთში შესანვაჟად... - „ამ თავითვე გეტყობა, რა შემტანიც იქნები ოჯახში“-ო, - მეტყოდა-ხოლმე ცხონებული ბაბოჩემი რახელაი...

ამას წინად, ჩემი სიძის დიშვილმა, ლეილა ჯანაშვილმა, წინამდებარე ფოტოსურათი გამომიგზავნა წარწერით:




„გახსოვთ ბატონო დავით, ერთ დროს ჩვენც ვიყავით ბავშვები...“, რაზეც ლეილას საპასუხოდ მივწერე შემდეგი სიტყვები: „ჩემო სიყრმის მეგობარო, ჩემო ერთგულო და საამაყო დაიკო, ჩემო ლეილა!, დღესავით მახსოვს, ხაჩიკა ფოტოგრაფმა, ახალციხეში, ჩვენი უბნის ბაგა-ბაღის ეზოში, ეს ჯგუფური სურათი რომ გადაგვიღო და ისიც მახსოვს, ნათელა მასწავლებელმა, თუ როგორ აგიპრისხა ეგ ღია ფირუზისფერი ბაფთა და თეთრი ბაილონის ბანტი, თვალებზე რომ მეფხატებოდა...“

...მას შემდეგ, ზუსტად 50 წელი გავიდა, ნახევარი საუკუნე და ზოგჯერ, ისევ იმ ბაღური ხალისითა და გატაცებით გეაღერსები ჩემს ფიქრებში... გახსოვს ლეილა, ეს სურათი, ზოგიერთებისათვის, ბაგა-ბაღის გამოსასვლელი და სკოლისთვის მოსამზადებელი ეტაპი იყო, რაც პირველი კლასის დასაწყისს მოასწავებდა?! შენ, ვადამდე სამიოდე თვით გვიან იყავი დაბადებული და ამის გამო, ბაღში დამატებით ერთი წელიწადი დაგავალდებულეს სიარული... გახსოვს, ამ სურათის გადაღების შემდეგ, რომ ამომხედე და მითხარი: „ერთი წელი რა არი რო, სამაგიეროდ, მე, სხვა თანაკლასელებთან შედარებით, უფრო მოვმწიფდები და ყველაზე საუკეთესო მონაფე ვიქნები“. შენ, როგორც დღესაც, ასე გჩვეოდა მაშინაც, იხტიბარს არ იტყვდი, მაგრამ, მე შენს თვალებში დიდი სინანულის განცდა ამოვიკითხე, მაშინ...“

პოეზია

დავით შემოქმედელი

პოეტი, პროზაიკოსი, ესეისტი. დაიბადა 1953 წლის 8 აპრილს სოფელ შემოქმედში, ოზურგეთის რაიონში. 2005 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ფაკულტეტი. 1975-1985 წლებში მუშაობდა საპროექტო ბიუროში ინჟინრად. 1985-1988 წლებში იყო კულტურის სასახლის დირექტორი. 1988-1990 წლებში აირჩიეს ოზურგეთის რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარედ. იყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოების პრეზიდენტის ნევრი. განახლებულ გაზეთ „ივერიის“ თანარედაქტორი. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების დამფუძნებელი და გამგეობის ნევრი. ამავე საზოგადოების ლიტერატურულ და მეცნიერულ ურთიერთობათა ხელმძღვანელი. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის ნევრი. ახალგაზრდა მწერალთა სექციის თავმჯდომარე. მწერალთა კავშირის მთავარი ლიტერატურული კონსულტანტი. ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქტორი. გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ რედაქტორი. არის სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე. გამომცემლობა „დავითის“ დირექტორი. არის დავით აღმაშენებლის, გალაკტიონ ტაბიძის, ნიკოლორთქიფანიძისა და ივანე მაჩაბლის პრემიების ლაურეატი.



მასსოვს, დედაჩემო,
წვიმიანი დღეა,
გახარებულმა მოვირბინე შინ,
მეზობლის ბიჭი რომ დავამარცხე.
მოვიგეე!! მოვიგეე!!
ხმა სოფლის საყდრამდე აღწევდა.
სიხარულით ლამის შემლილმა
ჩემმა სახემ შეგაშინა....
პირველად მაშინ გავინკეპლე

იმ ხელებით,
სასთუმალს რომ მისწორებდი,
აღარ მახსოვს, დედა,
ვინ ყვიროდა ჩემში.
ის ბიჭი კი, თამაშნაგებული,
სულ თვალწინ მიდგას,
სილაში თავჩარგული და
აქვითინებული.
ჯუჯა ხეებიც ხომ ტირიან,
უფრო დიდი ხეების ქვეშ,
მზეუხილველნი და ჩრდილმისჯილნი...

აზიელი ქმარი

მოვა იგი დანიშნულ დროს,
კარებთან ტალახიან ჩექმებს დაალაგებს და
ფერხთით ნანადირევს დაგინცობს.
კარებზე მიჭედოილ ნალს,
სასაფლაოს ეზოდან სამრეკლოს
ჯვარი გადმოჰყურებს.
ის დარაბას ალებს და ღამეს სახლში
დაჭრილი ნადირივით შემოიყოლებს.
შენ სახეზე სიხარული ფერ-უმარილივით აგეკვრება,
რომ მთვარის სხივი არ დაგიმაღეს.

იეროზანია

თუ შეგეშინდეს, ჩამჭიდე ხელი,
ოკეანეში როცა მარტო ხარ,
ოკეანეში –
ზოგმა ცხოვრება დაარქვა ამას,
ზოგმა გაძლება,
ზოგმა კიდევ დღე სასწაული.
ნუ გეშინია,
ჩამჭიდე ხელი,
ეს ბილიკი, შენ რომ ადგახარ,
ერთისათვის ძალზე ვინროა,
ორისთვის კი ფართო გზა-შარა.
მერცხლებმა უკვე ამოკენკეს

ჩემს ხელისგულზე გაზაფხული
და გაიკრიფნენ თბილ ქვეყნებისკენ.
ინვის კანდელი დედის შუბლთან,
მედავითნე კითხულობს ლოცვებს,
შენ იქ არა ხარ,
სხვადასხვა დროში ვართ,
სხვადასხვა კონტინენტზე,
სხვადასხვა პლანეტაზე,
კაბები გიმოკლდებოდა,
ღლეები გიგრძელდებოდა,
ჯერ ოკეანის მღვრიე ქაფი
არ შეგხვებია...
არ გაგიბედავს მასში შესვლა,
ნაპირთან დგახარ...
რომანტიკოსი მწერლის თვალით
აკვირდები,
შენს თავს შიგნიდან,
სხვებს კი გარედან.
მე ოდის ახლო,
თივის ბუღულში
ვწევარ და მათობს
ნაამბორევ ტყემლებისა და
ნუშების სუნი...
ჩავბლუჯავ ბალახს,
მკერდთან ვიდებ,
ხშირდება სუნთქვა...
ბავშვობასთან ვარ
შესახვედრად გამოსული,
მაგრამ არ მიშვებს,
თითქოს ხელს მკრავს,
გამწყრალა ჩემზე.
იმ ხესავით, ტოტს რომ დავეჭიდე
და სახეში გამიტყლაშუნა.

დრო, დრო სად არის, ვერ მოვიხელოთ,
რომ მეთქვა მისთვის, მორჩა, ნახვამდის,
ჩემს თავს ვეძებდი, ზეცაზე, ფსკერზე,
და მოვალნიე მაინც აქამდის.

რომ დავატოლო ხელისგულები,
საგნებს, რომლებსაც წარსულში ვეძებ,
ბავშვობის თოთო ნათითურები,
ძვირფას თვლებივით გამებნა გზებზე.
ახლადამოშლილ მოღზე გართბმული,
ყელგამშრალ ხევზე, მდუმარ წყაროსთან,
ცეცხლს ნაიკიდებს ტანზე ზაფხული,
ჩამოისვენებს მთებზე ცა როცა.
ყველა ხსოვნისგან ფიქრს ამნეზია,
ისე სასტიკად დაადებს ურდულს,
თითქოს ჯალათი წამომენია,
და შემაფეთა ცხოვრებას ურჩხულს.
მოდი, ჰო, მოდი, წამდვილად მოდი,
შემახე სულზე, კანი, თითები,
დაობლდნენ წლები, გულს ჩასწყდა ლოდი,
და გამებუტნენ ყრმობის მითები.
ჩემს თავთან როცა დავრჩები მარტო,
ხე ხელს მომხვევს და ამიყვანს ხელში,
თითქოს თმებზე და თვალებზე გკოცნი,
ზაფხულის შეშლილ წვიმების თქემში.
დრო არ ჩერდება, ჭიშკართან ლოდზე,
და დიდ ჩამავალ მზეს ვაკვირდები,
ტიტები ჰოლი, ჩიტების მორზე,
ალუჩის მკერდზე თრთიან კვირტები.
ვიცოდე მაინც, მჯეროდეს მაინც,
რომ გადარჩენა ესაა მხოლოდ,
ცხოვრობდე ხეში, ყვაოდე ქვაში
და ჩიტბატონას გათბობდეს სოლო.

ეპიგრამტი

სიკვდილის წინ ერთადერთი,
შენ რომ უნდა გაგიხსენო,
საქართველოვ, სახადივით
შემოყრილო მძიმე სენო...

ხანდახან უნდა სიმართლევ თქვა,
თუნდაც წამოცდენით, ენის ბორძიკით.
ქალაქის თვითმფრინავით
ფრენა შეუძლებელია...

შიშის საფანგში

ეს ნელიც მინვა და მიინურა
ზამთრის ზავით და ბაცი ხედებით,
დროის საცერში ცრემლ-წამებს ვწურავ
და ყოფის გაღმა გზით ვიხედები.
სასრული ან, თუ უსრულო სივრცის
ლოდინს დაუდო წერტილმა ზღვარი,
რა ისმის შემკრთალ ბინდების იქით,
ქარებსაც ჩემ წინ ეცვალათ მხარი.
გავილურსები შიშის საფანგში,
ყულფში, რომელსაც არ უჩანს ბოლო,
ამ უჩვეულო სასტიკ თამაშში
ყურდება წამით ხმარბილი სოლო,
რომელსაც ახლა ყინვები თანგავს,
სანთლებიც სხივით არის ძუნწები,
ვიხურავ ღამეს ტკივილზე საბნად,
და ხსოვნის ნიშში შევიყუჩები.
კარს გამოვალე ფიქრის საკნიდან,
სად ნისლი ზეცის თავანზე იწევს,
სიტყვისთვის, ხმას რომ სტრიქონად ზრდიდა,
ღამე და გული გრდემლივით მიცემს.
ჰა, ეს თორმეტიც და შეაერთებს
საათის გამხდარ და ვინრო თითებს,
კვლავ დაფუროქებ დაღარულ ფესვებს,
და მკერდში ჩაზრდილ ანდრეზს და მითებს.
მე ახლა ვინმენდ ცრემლს მუჭის სიმსხოს,
მზემ ყველა ჩრდილი შორს გადაძალა,
მადლობა უფალს, მასთან რომ მიხმო,
სიცოცხლისაკენ რომ გადაძალა.

ზიხარ, ვერა გრძნობ, შენი ბინა არის კელია,
ყველა საყდარზე ცრემლგამშრალი ჩანან ბზარები,
ვინ დაგაჯერებს, ცის იქითაც ცის სარკმელია,
რომ არყოფნიდან არყოფნისკენ მიემგზავრები...

პოეზია

თავფარავნელი¹

თავკვეთილიდან წარმართთა როკვას,
სამსრის ბოლოზე მთვარე დასცქერდა,
რალაც ძალიან ძველებურს მოჰგავს,
ლამაზი არის შორით სამზერლად.

სავსემთვარობის ღამის მზე იდგა,
მოკვეთილ თავებს ფეხქვეშ ვთელავდით,
ფეხზე გვეკიდა ცხოვრება, რადგან
ვერ შეგვაჩერა ღამემ ვერასგზით.

ღამე რომ ჩრდილებს დაეძებს ვინმე,
მთვარე რომ გავსებს მზის და სინათლის,
იმ ღამეს ვეფხვი გადავინვინე,
ამნაირ ღამეს ეშმაც ვერ ახსნის.

მე შეგისუნთქავ, როგორც სურნელს, როგორც სიკეთეს,
როგორც შორიდან მონაბერი სიოს სინაზეს,
ამ შავგულეთში ოცნებებს რომ გრძნობით მიფეთქებს
და ცისარტყელას ფერებისკენ კვლავაც მიმამზერს.

მერე ყველაფერს დაექმევა ზუსტი სახელი,
გაასმაგდება მთაზე მდგომის ყმუილის განცდა,
გამიკვირდება, უამთებოდ როგორ გავძელი,
ან ეს სათიბი ჩემ გარშემო როდისღა გაჩნდა.

მყის დაემხოზა მოზომილი ლათაიები,
სიველურეში რეესტრები გადიხლართება,
ქვაბლიანს ვეტყვი, ასე ნულარ გადაირევი,
მე დაგიდგები სიყვარულის ბებერ თავდებად.

¹ კიდევ ერთი ანონიმი მოგვევლინა თავფარავნელის სახელით.

მოდი, ნავშალოთ მონყენილი გუშინდელი დღე,
დღევანდელს მივცეთ საჯიჯგნელად ჩვენივე სული,
მტკვარს ვეხვეწები, წასალები დროზე წაიღე,
რომ არ მეტკინოს საკუთარი ისევ წარსული.

ლამე და მთვარე შეთანხმდნენ,
ჟამია პაემანისა.
წვეთმა სხვა წვეთი დანისლა,
წამინამ გაითავისა.
სურვილმა შემომიარა,
სურნელი თვალსანიერი,
წვეთი ჩანჩქერად ქცეული,
ნაზი დამხვდური მშიერი...
გადაიჯაჭვა ფიქრები,
დულილს დაცხრომა სჩვევია,
ცეცხლთან ჭიდილში ანგელოზს
გულ-მკერდი ჩამოხვეია.
დამთვრალან მთვარე და ლამე,
დღის ცეცხლი თან მოჰყოლიათ,
ისედაც მათი არი და
ქვეყანა თვისი ჰგონიათ.

არ გჯერა? სადღაც ზეცაში გაკრთა,
ქუხილს შემოჰყვა შენი სახება,
მართლა იდექი იმ ღია კართან,
სადაც არასდროს არვინ დადგება.

იდექი, როგორც დღის მონატრება,
ვით მწყურვალისთვის ანკარა წყალი,
თითქოს ოცნებას ადევნებულზე
მიმიხვდი ნაფიქრს, გზად წამასწარი.

ძალიან ძნელი და ახლობელი,
შემოჰყვა ღამეს ყველა სურვილი,
ვიცოდი - მოხვალ, იცი -მოგელი,
დავბორიალობ ხოხვით, სირბილით.

და იყო შემდეგ ნათქვამი შორით,
უირონიო, ღია და ნალდი,
ერთმანეთი სულ ღიმილით ვჭორეთ,
არ ჩაერია მესამე რამდის.

ო, ეს მესამე! საუკუნის თქმა!
მგონი, იმ ღამეს მართლა ვენამე,
ვინ გაარკვია ძველი ქარაგმა,
ვინ პირველია და ვინ მესამე.

ჩემი სოფლის ბაღი

ჩემს სოფელში შინდი მნიფობს,
წამო, ბაღი მოვიაროთ,
მამის დარგულ ხეთა ძირებს
ულიკლიკოს რუმ და წყარომ.

ისეთ ფერებს შეგაფეთებ,
გაოგნდე და გაიხარო,
ნუ იეჭვებ, ასე არის,
გული გულობს, დარი დარობს.

შინდებს შინდისფერი ახლავთ,
ქლიავს - რთვილი მოვერცხილი,
შეყვარებულ შაშვებს ვხედავ,
რა სირცხვილი, რის სირცხვილი.

პაპის აჩრდილს გადაგყარო,
კაცი იყო მონატრება,
მერე თავად გაარჩიე,
ვინ კვდება და აქ ვინ რჩება.

დიდედამ რომ დამიბარა,
ის ანდერძი აგისრულო,
თეთრი ვარდი შემოგკადრო
სათქმელად და სამიჯნუროდ.

მერე დედის დედას პურით
გულიანად დაგაპურო,
წამო, წამო, იმ ჩემს ბალში
დრო გაგვექცა საზაფხულო.

შემოდგომა შემობრძანდა,
დავდევი დროს და ვერსად ვიჭერ,
წამო, თორემ გადავყვები
თეთრ ფერსა და მძიმე იჭვებს.

ურგული მთვარიანში

(ნახევრად ხალხურ მოტივზე)

როცა რიხით მიადგები,
გაურკვეველ სანახებს,
როცა მთვარე თავის სხეულს
გაშიშვლებულს განახებს.

შემოდგომის სავარგულში
გზას გაიგნებს ურემი,
როცა ხარი მშეირია,
უძლები და ურები . . .

ჭოტი თითქოს საათია,
მოფერებას დაგიტვლის,
ანგარიშებს დაგიყენებს
ერთი ციდა ღამისთვის.

მერე სომხებს ეგონებათ
კარტოფილის ქურდები,
ფიქრებსა და თლილ თითებში
როცა დაიბურდები.

კუდიგორას, უნაგირას
ნადირი რომ სცოდნებია,
ცხვარ-ძროხა რაც დაკარგულა,
სულ იმათი ცოდვებია.

შორით მოსული ხმებია,
არც ეს არ არის ახალი,
უსმინე, სხვა არ გეგონოს,
ტურების ისმის ხარხარი.

ნუ გეშინის ურმის ქალზე
მაჭახელა გვიკიდია,
სათოფეზე თოფი იდგეს,
დიდ ნატვრაზეც კი დიდია.

მერე ბლიცბრძოლას შებმული,
ხარი გაამტვრევს უღელსა,
საჭორიკნოზე გასული,
მთვარე სულ ურმულს უმღერსა.

შემომეხარჯა ამინდი,
ვერ მოგანვდინე ნაფიქრი,
ოღონდ ამჯერად დამინდე,
თავსნაცარდაყრილს დავირქმევ.

გავალ და გავინაპირებ,
დავიკარგები ღრუბლებში,
მიხარის, დანაპირები
ასე ფერადად თუ შემშლის.

ისევ იწვიმა წვიმამა,
ფიქრი დაგვხურა საფარი,
არ დამისველდე, იამე
ხვალის ოცნების ტაძართ.

მიდექ-მოდექი ნიგნებში,
მეზღაპრეს გუდა მოჰკიდე,
საქმეთა შენთა მიეშვი,
მარანს აახლე აკიდო.

დღეს ხომ ზაფხული არ არი,
საგარანტიო ნათელით!
მზე მღერის „ჰარი ჰარალეს“,
გამზადებულა სათელად.

და ხვალეც, აჰა, მოვიდა,
გზა და ხიდები დავლენე,
გადმოვიკარგე შორიდან,
დამთავრდა ჩუმი საბერნე.

გამთენიისას

ქართლის ველზე თუ აჭარის მთებში
დამათენდება ლამენანვალებს,
გამომექცევა ფიქრები შენკენ,
მონყენილ ნისლებს თავს შეაფარებს.

დამედევნება თასით კიკოლა,
ღვინო გვწყურია ღიმილთა თანა,
ნალიის დარდებს გადაყოლილი
გზაზე დამხვდება სულეიმანა.

მე კი ნაქროლი დილის ნიავით,
ვარჩიო იქნებ ჭიქა არაყი,
ნავალ-ნამოვალ ჩუმი ოცნებით
გადახუნდება ძველი არაკი.

მთვარეს აღეცნებული

ნუხელ მთვარე ამოვიდა
ჯავახეთის მთებიდან,
ჩამოლეღა ღრუბელს მკერდი
გულის გულში შევიდა.
თითქოს ცაზე ცალს ეძებდა
და მეფურად ვიდოდა,
ძონის ფერში გადასული
შემოდგომა იწვოდა.
ლამეს ფიქრი ვინ გაანდო,
ჯერ არავინ იცოდა.
მთვარეს ქალი ადევნა
სამცხის სანახებიდან,
მიმალული ვარსკვლავები
ყელსაბამად ეკიდა,
ნაჩუქარი დღის ბეჭედი
წასძრობოდა ნეკიდან,
რა უნდოდა ქალს ღამეში,
ან რად იყო რებული?
ვიცი, ცის გზას დაეძებდა
სიგიჟეებს შებმული.
მიდიოდა ქალი ქარში
მთვარეს ადევნებული.
ციდან ეტლი ჩამოემვა
ოქროსფერი რაშებით,
ლაგამ-აღვირ-მოსართავი
უებრო მარმაშები,
ცეცხლოვანი ფლოქვებით და
კენარ შეთამაშებით.
ქალი გაჰყვა მთვარის მკლავებს
(არეული გზა-კვალი),
გადაუდგა გველეშაპი
მთვარის მტერი მზაკვარი.
გავაგრძელო, თუ აქ სადმე
დავამთავრო ზღაპარი?

ღუმელის ნოსტალგია ქალაქში

გარეთ წვრილად ცრის,
მიეზამთრა დღე შემოდგომის,
დღე მოწყენის და ფოთოლცვენის,
ლოდინი თოვლის.

ნაღვლიან ღუმელს
წამოსცდება მიძიმე აუგი,
თან ცალი თვალი სიცივისკენ
ჩუმად გაურბის.

მუხის ნაგუზალს
მხიარული უდგას ტაროსი,
ვინ მიგატოვა, სად წავიდა
ის ტარტაროსი?!

ქალი ფუსფუსებს,
გარს ევლება ღუმელის სითბოს,
ცეცხლი არ ჩაქრეს,
თან აზომებს ნაკოდლის სიმსხოს.

„არსაიდან ხმა“ უდაბური
ქალაქის გულში,
ანდა ჩურჩული ვნებიანი
საკუთარ ყურში.

მხოლოდ ღუმელი ერთგული და
ენატარტალა...
შემწვარმა ვაშლმა სურნელებით
ცას მიატანა.

გადაშლილ წიგნის უგუნებო
ლაციცი ხელის,
სახლში თბილა და ქალი, ალბათ,
ვიღაცას ელის.

ფანჯრიდან ისევ იყურება
ბნელი თვალები,
ზამთარი მოდის სხვა მიზნით და
სხვა დავალებით.

გადაიარა შუალამემ
ლუმელთან ერთად,
რუმორეული ქალი, უცებ,
დაიბნა, შეერთა.

ფეხებტანტალა მოსდგომოდა
პერანგით ბავშვი,
ეფერებოდა, გარეოდა
ტირილი ხმაში.

მალხაზ ლომსაძე



მალღი ქანი

- გათენდა. როდის დამთავრდება ცხოვრება. მეტი აღარ შემიძლია ასე! - ხმამაღლა ფიქრობდა ძია გიორგი.

გიორგი ცინცაძეს ორ წელიწადში სამოცდაათი წელი შეუსრულდებოდა. მის თავზე წისქვილის დოლაბი არ დატრიალებულა მხოლოდ, არადა, გაჭირვების მეტი რა უნახავს, თავს რა არ გადახდენია.

კარგი, შეძლებული ოჯახი ჰქონდა - სამოთახიანი საცხოვრებელი ბინა სანზონაში, მეუღლე, შვილი, რძალი და შვილიშვილი. ქალიშვილიც ჰყავდა, მაგრამ გათხოვილი იყო და უქნარა სიძესთან ცოტა უთანხმოება ჰქონდა. მის ბედნიერებას სიძე-ქალიშვილის სოციალური პრობლემა აწუხებდა, არადა, სხვა მხრივ, საქმე საათივით ჰქონდა აწყობილი. მათ ყოველთვის ეხმარებოდა. სტუმრის არ ეშინოდა, შესაფერის პურმარილს გამლიდა. მასპინძლობა საუკეთესო იცოდა.

- ქალო, აბა შენ იცი, სუფრაზე ყველაფერი მოიტანე, რაც გვაბადია, სტუმარს არ ვათქმევინოთ, ძუნწი ოჯახი ჰყავს გიორგისო, - ეტყოდა ხოლმე მეუღლეს, ნინა დეიდას.

ახლა სტუმრად მისვლა როგორი იცოდა, არ იკითხავთ? ყველასთვის სანატრელი! ისეთ ძღვენს მიაერთმევდა, მასპინძელს გააკვირვებდა, თან იტყოდა:

- კაცი შენი მისვლითა და შენი მიტანილი ძღვენით უნდა გაახარო.

ძია გიორგი მდიდარი არ ყოფილა, მაგრამ ბედს არ უჩიოდა, საკუთარი ოჯახის სამყოფი პური და ღვინო ყოველთვის ჰქონდა. ერთი სიტყვით, არაფერი აკლდა. მისი ბედის ჩარხი უკუღმა დაატრიალა აფხაზეთში განვითარებულმა მოვლენებმა. მისი ვაჟი - გელა, მოხალისედ წავიდა სოხუმში, მშობლიურ მინა-წყალს იცავდა. 1993 წლის 23 სექტემბერს ტამიშთან დაეცა. ახალგაზრდა, სიცოცხლით გაუმაძღარმა, სულ რაღაც 22 წლის ბიჭმა სამშობლოს აჩუქა სიცოცხლე. გელა მეგობრებმა დიდი პატივით დაკრძალეს, საუკეთესო ქვაც დაადგეს საფლავზე, მაგრამ რად გინდა, მისმა სიკვდილმა ძია გიორგის ოჯახის ბედნიერების დასასრულის დასაწყისს ჩაუყარა საფუძველი.

გელას სიკვდილიდან წელიწადიც არ იყო გასული, გიორგის შვილიშვილს, დათოს, უკუზრუნებელი სენი შეეყარა. შვილიშვილის სამკურნალო ფული არ ჰქონდა, ბინა იპოთეკით დატვირთა და ბანკიდან კრედიტი გამოიტანა. მაინც ვერაფერი უშველა, პატარა დათუნამ მამის საფლავის გვერდით დაიდო სამუდამო ბინა. სულ მალე, შვილიშვილის სიკვდილიდან ერთ წელიწადში, ნინა დეიდაც გარდაიცვალა. შვილისა და შვილიშვილის დარდმა გადაიტანაო, - ამბობდნენ მეზობლები. ძია გიორგის გაუჭირდა. ძველებურად აღარ უჭრიდა თვალი, ძველებურად არც მუხლი და მკლავი მოჰყვებოდა. რძალი სახლიდან წავიდა და გათხოვდა. აბა, რას იზამდა, გიორგის ხომ არ მიაჩერდებოდა? თავისი გზა იპოვა. ბედნიერების უფლება ყველას აქვს, - ამბობდა გიორგი. საბრალო კაცი საკუთარ ფიქრებთან ერთად მარტოდმარტო დარჩა. კრედიტის გადახდა ვერ შეძლო, ბანკმა ბინა გაუყიდა. ქუჩაში დარჩა ძია გიორგი. რა უნდა ექნა? სიძემ არ შეიფარა. ასეა, როცა შენგან ელოდებიან რამეს, მლიქვნელობას საზღვარი არა აქვს, ყველა გეფერება, ცდილობს შენი გულის მოგებას.

- აბა, ბატონო გიორგი, მობრძანდით, რამე ხომ არ გჭირდებათ, - ხშირად უთქვამს სიძეს.

როცა გვიანობამდე შემორჩებოდა სტუმრად, ხვეწნად იქცეოდნენ მძახლები:

- დღეს ჩვენთან დარჩი, დაღამდა უკვე, დაისვენეთ, კარგად გამოიძინეთ და ხვალ დილით სამსახურში წაბრძანდით.

კაცი როცა დაეცემი, წამოდგომაში არავინ შეგეშველება, ყველა ზურგს შეგაქცევს, საკუთარი შვილიც, შენთვის წიხლს ყველა გაიმეტებს.

გიორგი ცინცაძემ ელმავალშემკეთებელ დეპოში ერთ მიტოვებულ, გასარემონტებელ ვაგონს მიაგნო და ბინა იქ დაიდო. მუშაობა აღარ შეეძლო, თავს ვერ მოიკლავდა, ეშმაკს სულს არ მიჰყიდდა, არადა, სიცოცხლე მობეზრდა, აუტანელი გახდა.

ყოველ დილით ვაგონის კედელზე დაკიდებული უფლის ხატის წინ პირჯვარს გადაინერდა, სანთელს აანთებდა, მიცვალეზულთა სულელებს შეავედრებდა ღმერთს და გარეთ ისე გავიდოდა. ფეხით გაუყვებოდა გზას მეტროსადგურამდე, მერე მეტროს ვაგონიდან ვაგონში გადადიოდა და მგზავრებს მონყალებას სთხოვდა.

ასე მისდევდა დღეებს დღეები, კვირებს კვირები, თვეებს თვეები და ასე დაუსაბამოდ გაგრძელდებოდა, ვიდრე არ ჩამოკრავდა ამ ქვეყნიდან გასვლის ზარები. სიკვდილს ნატრობდა, მაგრამ ის არსად ჩანდა. ერთფეროვანი გახდა ცხოვრება - დილით მონყალების თხოვნა, საღამოს სამი საფლავის მონახულება, ღამით ცივ ვაგონში ძილი და სიკვდილის ნატვრაში დილის სუსხით გაღვიძება.

- გათენდა, როდის გათავდება ცხოვრება? ასე აღარ შემიძლია, - ხმამაღლა ფიქრობდა ძია გიორგი, - როდემდე უნდა ვიარო ასე დამცირებულმა, ასე გაუბედურებულმა. მერე ფეხზე წამოდგა, ზენარგადაუკრავი სანჯავი გაასწორა, უფლის ხატის წინ დადგა, პირჯვარი გადაინერა, ვაგონიდან გავიდა და ვინ იცის, უკვე მერამდენედ გაუყვა მეტროსადგურამდე მიმავალ გზას.

გვიანი შემოდგომა იყო, სუსხი იდგა. გიორგის ცოტათი შესცივდა და ნაბიჯებს აუჩქარა. აქა-იქ შერჩენოდათ ხეებს გაყვითლებული ფოთლები. მეეზოვეებს საგულდაგულოდ დაესუფთავებინათ ქუჩები.

ძია გიორგი მეტროსადგურ „ელდეპოში“ შევიდა და მატარებელს დაელოდა. პირველ მარშრუტს არ გაჰყვა, ვაგონები გადაჭედული იყო ხალხით, არ უნდოდა, ვინმე შეეწუხებინა. შემდეგი შემადგენლობა ათ წუთში ჩამოდგა. ჯერ მგზავრები გამოატარა და მერე შევიდა ვაგონში. მგზავრებს თვალი გადაავლო, მეტი წილი სტუდენტობა იყო, ალბათ, უნივერსიტეტებში ეჩქარებოდათ ლექციებზე. აკანკალებული ხელი წინ გასწია მოწყალების მოლოდინში. ვაგონის კუთხეში ახალგაზრდა ბიჭი გოგონას ეაღერებოდა.

- სულ გადავიდა ჭკუაზე ეს ახალგაზრდობა, ნახეს შესაფერისი ადგილი, - ხმადაბლა ჩაილაპარაკა ძია გიორგიმ.

შემდეგ გაჩერებაზე მეორე ვაგონში გადავიდა. ყოველ გაჩერებაზე ასე იცვლიდა ადგილს და გადადიოდა ვაგონიდან ვაგონში. საღამოს მოწყალებით მიღებული ფული დათვალა. ორმოც ლარამდე იყო. გადანყვიტა, მატარებელს ერთ წრეზეც გაჰყოლოდა, მერე ჯერ სასაფლაოზე წავიდოდა, შემდეგ სუპერმარკეტში შეიძინა ძეხვსა და პურს და საცხოვრებელ ვაგონში დაბრუნდებოდა. მატარებელი ჩამოდგა. ვაგონში შევიდა. ის იყო, ხელი უნდა გაეწვინა მოწყალების სათხოვნელად, რომ თვალი მოჰკრა ახალგაზრდა ქალს, რომელსაც ხელში დაახლოებით ხუთი წლის ბავშვის სურათი ეკავა და მორიდებით წარმოთქვამდა სიტყვებს:

- კეთილო ადამიანებო, დამეხმარეთ, ავადმყოფი შვილი მყავს, არა მაქვს წამლის ფული, ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

ძია გიორგის საკუთარი გარდაცვლილი შვილიშვილი - დათუნა გაახსენდა, მისი ალენილი სახე წარმოუდგა თვალწინ, სიკვდილს რომ ებრძოდა. ყელში ბურთივით გაეჩხირა ცრემლი. „მადლი ქენი, მადლი ქენი“, - ჩაესმოდა ყურში შორეული ძახილი. ვინ იცის, ფული რომ ჰქონოდა და დროულად მიეცა პრეპარატები შვილიშვილისთვის, შეიძლება სიკვდილისათვის ხელიდან გამოეთქვა. თვალებით ერთ წერტილს მიაჩერდა, მერე, თითქოს, გამოფხიზლდა, მიიბრინა იმ ქალთან, რაც ფული ჰქონდა ჯიბეში, უკლებლივ მისცა.

ენერჯის მოზღვავება იგრძნო, მონყალების გაღებით ისე გაიხარა, თითქოს იმ პატარა ბიჭს კი არა, საკუთარ შვილიშვილს აჩუქა ფული. ვაგონიდან გამოვიდა, სადგური დატოვა და წელი ნაბიჯებით გაუყვა სასაფლაოსკენ მიმავალ თიანეთის ქუჩას, იქ უნდა მოენახულებინა მეუღლის, შვილისა და შვილიშვილის საფლავები. სასაფლაოზე ბინდი ჩამონოლილიყო. გიორგიმ ჯიბიდან ხელსახოცი ამოიღო და მიცვალებულების საფლავების ქვებს მტვერი გადააცალა.

- ბოდიში მონდა მოგიხადოთ, ჩემო კარგებო, დღეს სანთელი ვერ აგინთეთ, ფული აღარ მქონდა მის შესაძენად, - მიცვალებულებს ხმადაბლა გაესაუბრა ძია გიორგი და იქვე ჩამოჯდა ქვის სკამზე, - სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აღარ მყავხართ. რად მინდა სიცოცხლე უთქვენოდ, მაგრამ არ გაჩერდა ეს ოხერი გული, გამძლე და ამტანი გამოდგა. ნეტა, ცოცხლები მყავდეთ და ამაზე მეტ გაჭირვებას ავიტანდი. ბავშვი ანგელოზია. მას არ უნდა შეეყაროს მძიმე სენი. ნეტა, იმას, ვინც განდგეილივით მარტოდმარტომ იცხოვრა, ვისაც არც ცოლი ჰყოლია, არც შვილი და შვილიშვილი. თუ კაცი ამქვეყნად მოვა, გვარის გამგრძელებელი უნდა დატოვოს ნიშნად სიცოცხლის მარადიულობისა, - ამბობდა ძია გიორგი. მერე ცრემლები ჩამოსცვივდა თვალებიდან, ატირდა კაცი. ტირილით როცა გული იჯერა, ფეხზე წამოდგა, შარვალი შეისწორა და ახლა, პირიქით, სასაფლაოდან ქალაქში მიმავალ თიანეთის ქუჩას ფეხით დაუყვა.

ისე მივიდა საცხოვრებელ ვაგონამდე, ვერც შეამჩნია. იმ დღეს მშვიერი დანვა დასაძინებლად, ციოდა, მაგრამ არც შიმშილი და არც სიცივე უგრძვნია, ტკბილად ჩაეძინა. ცაზე ვარსკვლავები აკიაფდნენ, ქალაქში ღამდებოდა.

2 აპრილი, 2016 წელი

ემიგრანტული ჩანაწერები

მზია გაგაძე - კანდელაკი, საბერძნეთი, ათენი

დაიბადა ქ. თბილისში. დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი - მაია, ნია, სანდრო. ემიგრაციაში იმყოფება 2005 წლიდან. არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. გამოცემული აქვს სამი წიგნი. პირველი წიგნი - „მე ქართველი ვარ“, გამოიცა 2008 წელს, მეორე - „ნისლისფრად ნაქარგი სიტყვა“, გამოიცა 2010 წელს, მესამე - „სანდრო კანდელაკი“ - 2014 წელს.



თილისა

ცივი დღე იყო, დილიდანვე ჟინჟლავდა, წვიმისაგან დასველებულ ლამაზ, ქათქათა შენობებს ნაცრისფერი დასდებოდათ, ჰაერში გამჯდარი, ზღვისპირა ქალაქისათვის დამახასიათებელი ტენი ქალს ძვლებში გასჯდომოდა და ტანში ერთიანად ამტვრევდა. თბილად ჩაიცვა და არქარებული ნაბიჯით გამოვიდა სახლიდან. დღეს კვირა დღეა, დასვენების დღე, ქანცგამწყვეტი მუშაობის შემდეგ უნდა ვეცადო, კარგად დავისვენო, ძალა და ენერჯია მოვიკრიბო, ნერვები დავინწყნარო და მოვემზადო ახალი სამუშაო კვირის დასაწყებად, ჯერ ბანკში შევირბენ, შემდეგ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ვიყიდი და მერე მეგობარ ქალებთან გავატარებ მთელ დღეს - გეგმავდა დღეს გუნებაში ქალი...

ავტობუსი ომონიას, ათენის ცენტრს მოუახლოვდა, გაჩერებაზე ქალი ავტობუსიდან ჩამოვიდა და ხალხმრავალ ქუჩას შეერია, ხალხის ნაკადმა ქალი თან გაიყოლია...

ქართული ბანკისაკენ მიმავალ ვიწრო ქუჩას გაუყვა, ხელფასი აეღო, ცოტა გადანახული ფულიც ჰქონდა და ოჯახს უგზავნიდა. ბიჭი წამოზრდილიყო, დავაჟკაცებულიყო, სიყვარულიც მოესწრო და დედას გამოსტყდომოდა, უნდა დავქორწინდეო. ქალი გახარებული იყო: უპატრონოდ, კაცების ანაბარად დარჩენილ სახლ-კარს

პატრონი გაუჩნდება, ქალის ხელი დაეტყობა, ოჯახი გამრავლდება, აქოთქოთდება და მეც ხომ ეს მინდაო, - ფიქრებში ილიმებოდა ქალი.

თვალი ვიტრინაში გამოფენილმა საქორწინო კაბებმა მოსტაცა, შედგა, გაულიმა, თავისი უღიმღამო წარსული გაახსენდა.

ფიქრებში გართულს შორიდან ჩაესმა „კირია ენა ლეპტო“ (ქალბატონო, ერთი ნუთით). ქალი უცბად გამოფხიზლდა, თავი ასწია. მის წინ ლურჯ ფორმაში გამონყობილი სამი პოლიციელი იდგა და პირადობის დამადასტურებელ საბუთებს სთხოვდნენ...

ქალს არ ჰქონდა ქვეყანაში ცხოვრების ნებართვა, ის არალეგალი იყო.

იქვე მდგომ საპატრულო მანქანაში ჩასვეს და პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს. იქ, პირველ რიგში, გაჩხრიკეს. ჩანთა მთლად გამოუბრუნეს, ფული ცალკე გადადეს, ყველაფერი გულდასმით დაათვალიერეს. პოლიციელმა გოგონამ ტანსაცმელი და თმაც კი შეუმოწმა, ბოლოს ხელების გაშლა უბრძანა. ქალმა შეკრული მუშტები უფრო მოკუმშა. ძალით გაახსენებინეს, პატარა, ლამაზ პარკში ჩაყრილი ფხვნილი უპოვეს. ქალს ჩანთიდან ამოღება მოესწრო და მუჭში მალავდა. მაგიდაზე წამოყარეს, დაყნოსეს. ვერაფრით მიხვდნენ, რა იყო. ქალი ხმას ვერ იღებდა. გადანყვიტეს, შესამოწმებლად წაეღოთ. ქალი უცბად აქვითინდა: „ამას ნუ წამართმევთ, გთხოვთ, ეს ჩემი ეზოს მიწაა, ქართული მიწა. შვიდი წელია, ჩემს სამშობლოში არ ვყოფილვარ და ეს მიწა მატანინებს ყველანაირ გაჭირვებას. ეს ჩემი თილისმაა“, - გულსაკლავად ქვითინებდა ელდისაგან, უმწეობისაგან, ტკივილისაგან, შვილის ჩაშლილი ქორწილისაგან და ციხეში მოხვედრის საშინელებისაგან შეშინებული და აკანკალებული ქალი.

უმკაცრესი, ბევრის მომსწრე და მნახველი პოლიციელები გაოგნებულნი იდგნენ და ხან ქალს მისჩერებოდნენ და ხან მაგიდაზე დაყრილ მიწას. პოლიციელ გოგონას თვალები ცრემლით ავესო. მათ ერთმანეთს გადახედეს. პოლიციელმა გოგონამ ჩანთაში ქალის ნივთები ჩაანყო, მიწა პარკში ჩააბრუნა და გახვეებული ქალი განყოფილების შენობიდან ქუჩაში გამოიყვანა, ჩანთა მისცა და თავისუფალი ხარო, - უთხრა. ქალი გონზე ჯერ ვერ მოსულიყო, მადლობაც კი ვერ გადაუხადა. კიდევ დიდხანს იდგა დაბნეული ქუჩაში; სიცივემ გამოაფხიზლა. გახარებულმა პირჯვარი გადაიწერა. ჩანთაში ყველაფერი ადგილზე იყო, „თილისმაც“, თავისუფალი ვარ, ესე იგი

ქორწილიც იქნება... ღმერთო, დიდება შენს სახელს... ამას კი არ მოველოდი... გმადლობთ, ღვთისმშობელო, ამ სასწაულისათვის... - ბუტბუტებდა ბანკისკენ მიმავალი ქალი და გულში იხუტებდა მუჭში ჩაბლუჯულ მშობლიურ მინას!

დიდება, შენ, ქართული მინავ, დედის მანდილში სათუთად გამოკრული, ნაფერებო, დედის ცრემლით დანამულო და დედის გულით გამთბარო, თვალის ჩინივით რომ გიფრთხილდება ათასობით ქართველი ემიგრანტი და მათი სამშობლოში დაბრუნებისას შენც დაბრუნდები მონატრებული და ვალმოხდილი, მაგრამ, თუ ბედმა უმუხთლა რომელიმე მათგანს, უცხო მინაში ჩასულ ქართველს გულზე დაეფრქვევი და გაუგრილებ ქართული მინის მონატრებას!

დიდება შენ, საყვარელო, თბილო, ძლიერო და მარადიულო, უცხოთათვის არგამეტებულო, ქართული მინავ!

მოლოდინი

სახლი, სადაც ვცხოვრობ, დიდ, ულამაზეს პარკს ემიჯნება, იგი უამრავ ადამიანს იზიდავს და დღედაღამე ჟრიაბულია, მუდმივად ისმის მუსიკის, სიმღერების ხმა და სიცოცხლით ავსებს არემარეს. მე კი, ერთი მელოდია მაქვს ამოჩემებული და სულგანაბული ველი ხოლმე მის აჟღერებას. ეს მელოდია, როგორც მივხვდი, კვარაში ერთხელ გაისმის, იგი ძველ ბერძნულ მტვერნაყრილ ფილმებში თუ მაქვს მოსმენილი.

ერთხელაც, ველარ მოვითმინე და მელოდიის ხმას მივყევი...

პარკს მეორე მხარეს ერთი ძველი, დრო-ჟამისაგან გამოხუნებული და გავერანებული სახლი ემიჯნება, სადაც ასევე ჩამომჭკნარი და ფერწასული მოხუცი ქალბატონი ცხოვრობს. იგი ხანდისხან თუ გამოდის აივანზე და ჩამორღვეულ კიბეზე ჩამოჯდება, ხშირად ვესალმები, მაგრამ, თითქოს, ვერც კი მამჩნევს. იქ არც შესული და არც გამოსული არავინ მინახავს. რამდენჯერ მიფიქრია, თვით ცნობისმოყვარე მეზობელ ქალებსაც კი დავინყებიათ მეთქი... სწორედ ამ სახლის ჭიშკართან დგას მოხუცი ბოშა მუსიკოსი და ჩემს საყვარელ მუსიკას მოძველებულ აკორდიონზე უკრავს. მოხუცი ქალბატონი კი უჩვეულოდ მორთულ-მოკაზმული აივანს დაყრდნობია, თვალეზე ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდის და სადღაც შორს, ჰორიზონტს მისჩერებია. ბოშამ დაკვრა დაამთავრა, მოხუცმა ფული გადმოუგდო აივნიდან. ბოშა რომ წავიდა, ქალბატონს გამოველაპა-

რაკე, მაგრამ ყურადღება არ მომაქცია და სახლში შევიდა. მე ისევ იმ ადგილას ვიდექი, რომ ბებო უკან გამობრუნდა, კარი გამიღო და სახლში შებრუნდა. უთქმელად ავირბინე კიბეები და სახლში შევედი. სიძველის სუნი მეცა, მაგრამ შიგნით პედანტური წესრიგი მეფობდა. ყველაფერს მზრუნველი ხელი ეტყობოდა, იქვე მდგომ სკამზე უხმოდ ჩამოვჯექი. ჩემი ყურადღება ერთმა კედელმა მიიქცია, სადაც აბობოქრებული ზღვა და ყალყზე შემდგარი უზარმაზარი გემი იყო დახატული. მოხუცმა ფინჯანი ყავა მომიტანა, მოშორებით ჩამოჯდა და თავისით ალაპარაკდა:

- მამაჩემი მთელს ათენში უმდიდრესი, ცნობილი და სახელგანთქმული ექიმი იყო. მე კი მისი ერთადერთი, ნანატრი ქალიშვილი. ფუფუნებაში ვიზრდებოდი. ლამაზი, მეოცნებე გოგონა ვიყავი, ჩემი ნებისმიერი სურვილი თუ ახირება უთქმელად სრულდებოდა, წინააღმდეგობას არ ვიყავი მიჩვეული... ლამაზ პრინცსა და ბედნიერ მომავალზე ვოცნებობდი და კიდევ ექიმობა მინდოდა, მამასავით რომ ბევრ ადამიანს დავხმარებოდი და მისი საქმე გამეგრძელებინა. ასეც მოხდა, მეც ექიმი გავხდი და ღრმა სიბერემდის ვმუშაობდი, არ მიღალატია მამის საქმისთვის. ერთხელ, მეგობრებთან ერთად საახალწლო კარნავალზე წავედი. სწორედ იქ შევხვდი ჩემი ოცნების პრინცს და თავდავინყებით შემიყვარდა ღარიბი მეზღვაური... ჩემს მშობლებს კი არ მოენონათ პატარა მეოცნებე გოგონას არჩევანი და სასტიკად ამიკრძალეს მეზღვაურთან შეხვედრა და სახლში გამოძკეტეს... შეყვარებულებს კი ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და ჩუმიად აგრძელებდნენ შეხვედრებს, მათი მესაიდუმლე კი - პატარა ბომა მუსიკოსი ყოფილა, რომელიც მეზღვაურის ნაოსნობიდან დაბრუნებას თავისი მუსიკით ამცნობდა გოგონას და ისიც სულმოუთქმელად გარბოდა წინასწარ დათქმულ ადგილას.

ასე გაგრძელებულა წლები და როდესაც გოგონა სრულწლოვანი გახდა, გადანყვიტეს მშობლების ფარულად დაქორწინება. ამისათვის კი ფული იყო საჭირო. მეზღვაური ექვსი თვით შორეულ ნაოსნობაში გაემგზავრა და დაგეგმეს, რომ იქიდან დაბრუნებისთანავე დაქორწინდებოდნენ, რადგან საჭირო თანხა უკვე ექნებოდათ.

მეზღვაური წავიდა. გოგონა კი ელოდა მის დაბრუნებას, რომელიც, აგერ, 75 წელია, გრძელდება... მეზღვაური აბობოქრებულ ზღვაში გემთან ერთად დაიღუპა ქარიშხლის დროს, ავსტრალიის ნაპირებთან, დრომ კი - შეყვარებული ცქრიალა გოგონა მოხუც, ჩამოძქვანარ ბებოდ აქცია, მაგრამ იგი ბოლომდე ერთგული დარჩა თა-

ვისი პრინციის. მისი გული ისევ ძველებურად ძგერს მეზღვაურის სიყვარულით, მოგონებად კი შემორჩენია - კედელზე მოხატული აბობოქრებულ ზღვაში განწირული გემი, მოხუცი ბოშა მუსიკოსი, წარსულის შესხენება და მარადიული სიყვარული, რომელსაც თვალის ჩინივით უფრთხილდება...

„იავნანამ რა ჰქმნა“

ერთ დღეს ავტობუსით ვმგზავრობდი ათენში, ერთ-ერთ გაჩერებაზე დედა-შვილი ამოვიდა და ჩემ წინ თავისუფალ სკამზე დასხდნენ. გოგონა რაღაცას შეუჩერებლივ უყვებოდა დედას და ორივე გულიანად იცინოდა. მივხვდი, რომ ქართველები იყვნენ, გულმა არ მომიტმინა და გოგონას გამოველაპარაკე. მან გაკვირვებულმა შემომხედა და დედას მიეკრა, დედა წამოემველა: ქართველები კი ვართ, მაგრამ ქართული არ იცის, ერთი წლისა ჩამოვიყვანე, ბერძნულ ოჯახში ვმუშაობ და ესეც მათ ბავშვებთან ერთად იზრდება, ქართული არ ვასწავლე, ბერძნული რომ კარგად შეესწავლაო, ამაყად მითხრა ქალმა...

გულში რაღაცა ჩამწყდა და ცრემლები მომადგა, იქნებ, გოგონამ არც იცოდა, ქართველი რომ იყო? იქნებ, იმ ლამაზ ჯიშსა და გენზეც არ იცოდა რამე, ასე ძალუმად რომ ამშვენებდა და ყველასგან გამოარჩევდა? ისეთი ლამაზი იყო, დედოფალს ჰგავდა... იქნება არც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაზე“ იცოდა რამე და არც ჩვენი სათაყვანებელი „იავნანა“ მოესმინა ოდესმე? ისინი მოულოდნელად ჩავიდნენ ავტობუსიდან და ფიქრებში წასულმა საყვედურის თქმაც კი ვერ მოვასწარი, ანდა, რა აზრი ჰქონდა რამის თქმას? სხვაგან არ ვიცი, მაგრამ აქ, საბერძნეთში, ოჯახებში სამუშაოდ, განსაკუთრებით კი, ბავშვების მომვლელად, დიდი მოთხოვნაა ქართველ ქალებზე. ბუნებით ბოძებული ნიჭი დედობისა და ოჯახის მზრუნველობისა, სასურველ მოახლეებად გვაქცევს, საკუთარს მონყვეტილნი, სხვის ოჯახებსა და ბავშვებს ვეამაგებით. ბევრ შრომას, სიყვარულს და გულს ვდებთ საქმეში და ეს სიყვარული ისევ ჩვენ გვანკება მძიმე ტვირთად.



მხატვარი - თამარ თამარაძე

ერთი ამბავი გამახსსენდა. ჩემი მეგობარი ბერძნულ ოჯახში მუშაობდა. საოჯახო საქმეებთან ერთად ბავშვების მოვლაც ევალებოდა, ექესი წლის თომას და ოთხი წლის მარიას უვლიდა. ისინი ძალიან ცელქები იყვნენ და, რომ არა ჩემი მეგობრის პედაგოგიური გამოცდილება, მათთან ვერაფერს გახდებოდა. ბავშვების მშობლები მთელი დღეები სამსახურში იყვნენ და ამ დიდი ოჯახის საქმე მისთვის მძიმე შესასრულებელი იყო.

ერთ დღეს ჩემს მეგობარს მალალანაზლაურებადი სამსახური გამოუჩნდა და საქმეც ნაკლები ჰქონდა. იქ გადავიდა სამუშაოდ. მისი წასვლა ოჯახმა ძალიან განიცადა, განსაკუთრებით კი, პატარა თომამ. იგი ხუთი დღის განმავლობაში სანოლზე დამხობილი ტიროდა — „ჩემი მარკა“, „ჩემი ქეთო“, „ჩემი „იავნანა“ მინდაო...

ოჯახი გამუდმებით ურეკავდა ჩემს მეგობარს და დაბრუნებას სთხოვდა. თომაც ჰპირდებოდა: აღარასოდეს განწყენინებ, ყველაფერს დაგიჯერებო. იგი დაბრუნდა, რადგან ველარ გაუძლო თომას ცრემლებს.

ოჯახმა სიხარულით მიიღო და თან მორიდებით ჰკითხა: ვინ არის ქეთო და „იავნანაო“? მან მოკლედ მოუყვა „იავნანამ რა ჰქმნას“ შინაარსი და მოასმენინა თამრიკო ჭოხონელიძის შესრულებული „იავნანა“, რომელიც მაგიურად მოქმედებდა საღამოობით გაჯიუტებულ თომაზე და ტკბილად აძინებდა. თომას დედამ ცრემლები ვერ შეიკავა და ძიძა გულში ჩაიკრა...

ჩემო ემიგრანტო ქართველებო, დედებო, მამებო და ბებოებო, უცხო ქვეყანა ნუ აგიჭრელებთ თვალებს, ყოველთვის, სადაც არ უნდა იყოთ, რა პირობებშიც არ უნდა მუშაობდეთ, ნუ დაგავინწყდებთ თქვენი ვალი სამშობლოს, ერისა და ღვთის წინაშე, ასწავლეთ უცხოობაში მყოფ თქვენს შვილებს თავიანთი უძველესი, ლამაზი, უკვდავი და ტკბილხმოვანი ქართული ენა, თავისი ქვეყნის ისტორია, საიდან მოდის მათი ფუძე და გენი, აზიარეთ ქართულ მადლს, თუ არა, ისინი დაემსგავსებიან ფესვებგადაჭრილ ხეს, რომელიც მალევე ფუღუროვდება და ქარის უბრალო წამოქროლვაც კი მიწას დასცემს და ნაცრად აქცევს... ყოველთვის გახსოვდეთ, პატარა ბერძენი ბიჭუნა, რომელმაც იცის თავისი აღმზრდელის სამშობლო, მისი ისტორია და ყოველ საღამოს „იავნანას“ ტკბილ ჰანგებზე იძინებს!

სამშობლოვ, შინ გეპარებოდეს მისი ტანჯული სული

ნათია ქინჭარაულის ხსოვნას

ქალი ადრინად წამოდგა სანოლიდან, პატარა, თმახუჭუჭა გოგონები სასწრაფოდ წამოყარა ფეხზე და სოფლიდან მოშორებით, არაგვის პირას ლამაზ მდელოზე წაიყვანა. ბავშვებმა გაიხარეს, გვირილებსა და ყაყაჩოებზე მოფენილ ჭიამაიებს დაუწყეს თამაში...

პირველი სექტემბერი იყო. ქალმა უსახსრობის გამო, სასკოლოდ ვერ შემოსა გოგონები და დღეს სკოლაში მიმავალი გოგო-ბიჭებით აჟრიაშულებულ სოფელს გამოარაიდა, მათთვის გული რომ არ დაეწყვიტა.

ახალგაზრდა ქალი არაგვის ქვიშიან ნაპირთან გარინდებული იდგა. მდინარის ყინულივით ცივი წყლის შხეფები ფეხებს უსველებდა, მაგრამ ვერაფერს გრძნობდა, ქვაში გამოთლილ ქანდაკებას დამსგავსებოდა, ბროლივით ქათქათა ყელზე ძარღვები დაბერვოდა, სახე გაფითრებოდა და სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა მის ლამაზ სახეს! თმის კულულებს მთიდან მონაბერი სიო უწენავდა. ერთ დროს სიცოცხლით და ეშხით სავსე თავლები ჩაჰქრობოდა და ჰორიზონტს უაზროდ მისჩერებოდა... სადაც მომავალს ვერ ხედავდა, ყველაფერს შავი ღრუბელი გადაჰკვროდა, პატარა მზის სხივი, იმედის ნაპერწკალი მაინც რომ დაენახა, ბედნიერებისთვის ესეც ეყოფოდა, მაგრამ მწარე იყო სინამდვილე, იმედი არსაიდან ჩანდა.

- დედა, ნახე რა ლამაზი ყვავილები მოგიკრიფეთ, - მინდვრის ყვავილებით შეკრულ თაიგულს გოგონები ხელში აჩეჩებდნენ.

ქალს არ გაუგონია მათი ხმა, მისი ფიქრები შორს, მომავალში დაჰქროდა, სადაც მხოლოდ გაჭირვება, შიმშილი და სიცივე მოჩანდა.

- დედა, - შეანჯღღრის ქალი პატარა ნონამ და მაკამ. ქალი გამოფხიზლდა, შეხედა გოგონების აცრემლებულ თვალებს. ისინი სიცივისაგან ერთიანად კანკალებდნენ და დედის მოალერსე, თბილი ხელების შეხებას ელოდნენ. ქალს შეეცოდა ისინი და მოუალერსა. გელში ჩაიკრა, დაუყვავა.

- დედა, სკოლაში როდის წაგვიყვან? - გათამამდნენ გოგონები, - ქეთიას გუშინ ახალი ტანსაცმელები და ჩანთა მოუტანეს, - მეზობლის გოგოზე ეუბნებოდნენ. ქალმა უაზროდ გააყოლა თვალი ბავშვების მორღვეულ ფეხსაცმელებს, გაფითრდა, სიმწრით ტუჩები

მოიკვნიტა. ცხოვრებასთან ცალუღელა ჭიდილს, ყოველდღიურ სარჩო-საბადებელზე ზრუნვას და მისი სამსახურიდან დათხოვნას (შემცირებაში მოჰყვა) ქალი ერთიანად დაებეჩავებინა. ქვეყანა შეაჯერა, მაგრამ სამსახური ვერსად იშოვა, პური რომ მაინც ეყიდა შვილებისთვის.

„წავალ, აუცილებლად წავალ, მოვშორდები ამ გაუსაძლის გაჭირვებას და უმუშევრობას, ოღონდაც სამსახური მქონდეს და დღეღამ ვიშრომებდი, ჩემს შვილებს ამ გაჭირვებაში აღარ ვაცხოვრებ, მაგრამ რა ეშველებათ უჩემოდ? დამეჩაგრებიან, ან მე როგორ გავძლებ ამათ უნახავად? მოხუცი დედის ანაბარა როგორ დავტოვო? მაგრამ გამოსავალიც რომ არსაიდან ჩანს? არა, წავალ, დღესვე დავურეკავ ჩემს ნათესავს საბერძნეთში და დახმარებას ვთხოვ, რომ წამიყვანოს. ვიცი, უარს არ მეტყვის“, - მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება ქალმა.

შემდეგ იყო გამომშვიდობება, უთვალავი ცრემლი და დარდი, ნათია უკვე საბერძნეთის დედაქალაქში, ათენში, ერთ-ერთ ოჯახში მოეწყო სამუშაოდ. დღედაღამეს ასწორებდა, თავდაუზოგავად და ერთგულად მუშაობდა, ბავშვების აღმზრდელი იყო, თავის შვილების მონატრებას მათზე ზრუნვით ავსებდა და ბავშვებსაც ძალიან უყვარდათ იგი. ბერძნების ოჯახს არ გამოპარვია ნათიას ერთგულება და შრომისმოყვარეობა და სათანადოდ აფასებდნენ, შეიყვარეს და ოჯახის წევრად მიიღეს. ნათია წელში გაიმართა, მისი გოგონები უკვე ლამაზად ჩაცმულნი დადიოდნენ და მეგობრებსაც ეხმარებოდნენ დედის გამოგზავნილი საჩუქრებით. ოჯახმა ამოისუნთქა და ფეხზე დადგა. ნათია ხარობდა შვილების ბედნიერებით. ისევ დაუბრუნდა სიცოცხლის ხალისი და მის თვალებში აკაიფდა მზის სხივი, თუმცა, საღამოს ჯაფით დაღლილი ძლივს მიაღწევდა საწოლამდის და თავისი შვილების სურათებზე ალერსში დაღლილს ჩაეძინებოდა. ასე გრძელდებოდა წლები. ბოლო დროს თავის ტკივილმა შეაწუხა. ტკივილგამაყურებელი აბები ცოტა ხანს შველოდა, მაგრამ თანდათან უმატა ტკივილმა. გადატვირთული სამუშაო გრაფიკი ჰქონდა და ექიმთან მისვლას ყოველთვის სახვალიოდ სდებდა... ერთ დილას კი ნათია საწოლში უგონო მდგომარეობაში ნახეს. სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში. მთელი მისი ნათესაობა და მეგობარი ემიგრანტები ფეხზე დადგნენ და არაფერი დაიშურეს მის გამოსაჯანმრთელებლად...

ქალი ორი კვირა იყო ხელოვნური სუნთქვის აპარატზე შეერთებული, ორი კვირა ებრძოდა სიცოცხლე სიკვდილს. მას არაფერი ესმოდა, მხოლოდ მისი სახიდან ირეკლებოდა არაგვის წყალივით ანკარა სხივი ტკივილისა, დიდი ხნის უნახავი შვილების მონატრებისა, უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლისა...

ნათია გონებაზე მოუსვლელად გარდაიცვალა. სამშობლოდან შორს ჩაიფერფლა კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე... მის ცხედარს უამრავი ატირებული ემიგრანტი და ახლობელი აცილებდა უზომოდ მონატრებულ სამშობლოში, საბოლოო განსასვენებელში. მონატრებული, უკვე საკმაოდ წამოზრდილი გოგონები კი მწარედ დასტიროდნენ მრავალი წლის უნახავი დედის მოალერსე, ნაამაგარ ხელებს, მის ცხედარს... და, ალბათ, დედის საფლავზე არ გამოლევენ არაგვის ნაპირას დაკრეფილ მინდვრის ყვავილებს...



მხატვარი - თამარ თამარაძე

ემიგრანტული პოეზია

მაია გოგოლაძე-კილიჩი, გერმანია



რამდენჯერ გრძნობას ვუპოვე ბოლო,
რამდენჯერ გზები შემხვდა წყვეტილი,
მე ვაბიჯებდი წერტილებს მხოლოდ...
გამომდიოდა მრავალწერტილი...
გუბებს ჭუჭყით, ტალახით სავსეს,
ფეხშველი ვვლიდი ნაცრისფერ კაბით,
ვკრეფდი, ვკრიბავდი გზადაგზა წუთებს,
სულ შემიგროვდა ცამეტი წამი...
ვარჩევდი ფერებს და ხან შავებში
გზაგაყინული ვბოდავდი სითბოს,
ხან მეჩვენება, ცაში სახლი მაქვს,
კერა, რომელიც სათბობად მიხმობს...
ღრუბლებზე წოლას გაფუგე გემო,
ველარ ვცვლი ქვების წვეტიან ცივზე,
მე შეიძლება წვიმაში მოვკვდე,
როდესაც სხვები კვდებიან სხივზე...
თვალეში ჩრდილი დაჯაბნა ჭრელმა,
და გაღიმებულს მითრთოლავს ბაგე,
გულში სიცოცხლეც ორმაგად ფეთქავს,
არც სიშავეა ორმაგად მწარე...
მივდივარ სწორი ნაბიჯის კვალზე,
და ხან ბილიკი მხვდება წყვეტილი,
რამდენჯერ „ბოლო“ მინდოდა მეთქვა,
გამომვიდა მრავალწერტილი...

11.06.16

მივიკვლევ ბილიკს, ბალახები მუხლამდე მიფარავს,
შიში დიდია, ქვენარმავლებს არ სძინავს დღისით,
შორს, ჰორიზონტზე კვლავ საშიში ბენვის ხიდია,
ქვემოთ მდინარე გადარეულ სიჩქარით მიდის...
მივიკვლევ ბილიკს, ბალახები მიფარავს მუხლებს,
და გვირილები თუ მართობენ ხანგამოშვებით,
გზა ხან მარჯვნივ და ხანაც მარცხნივ სასტიკად უხვევს,
უნდა ნავიდე, მე ცხოვრებას ვერ გამოვრჩები...
იქ, სადაც უფრო მეტი ხრამი, მეტი შიშია,
თვალებს ვხუჭავ და ხელებს გკიდებ, სხეულს განებებ,
ჩემ წინ ჯერ ისევ გასავლელი ბენვის ხიდია,
ნება არ მომცე, რომ სიშავეს შიშით დავენებდე...
მივიკვლევ ბილიკს, ბალახები ნელ-ნელა ქრება,
ასეთ ხრიოკში არ ხარობენ არც გვირილები,
გადამავინწყდა გაფრთხილება საკუთარ გულის,
და მე სნეული სწორ გზას ვეძებ ლაბირინთებით...

22.07.16

(შვილს)

ვფიქრობდი, ვერ გადავწყვიტე,
ვარდისფერი თუ წითელი,
რომელი უნდა ჩამეცვა,
გამოსულიყო მზისფერი.
ბოლოს ავდექი, მოვედი,
სიყვარულისფრად ჩაცმული,
მძივით კი არა, უამრავ
სიხარულებით ასხმული...
არც ტუჩზე საცხი დამჭირდა,
არც თმების აწევ-დანევა,
რალაც საოცრად მომინდა
შენი გულმკერდთან დარწევა...

შემოგხედე და შემხედე,
და მოგეწონე მაშინვე,
იმხელა გრძნობად მოხვედი,
გაგიჟებამდე მაშინებ...

16. მაისი, 2016

შენი ძილის დრო მოსულა,
ნანა, დედიკო, ნანაო,
რომ არ შეშინდე, დავხვეწე
ეს ჩემი „იავნანაო“.
ხმას შევურიე თაფლი და,
ვარდისფრად ვღებე მზერაო,
მაბედნიერებს მე შენი
თითოეული ბგერაო.
შიმშილს ვერ თოკავ, წუნუნებ,
ძლიერ მაცოდებ თავსაო,
ხელში აგიყვან, წყნარდები,
შემომიკნავლებ ხმასაო.
თვალებს მილულავ ნეტარად,
გულში გულს მიდებ თანაო,
შენი ძილის დრო მოსულა,
იავ ნანინა, ნანაო...

24. 06.16

მოვიდა ის დღე და მე მივდივარ,
ბოლო შეგრძნებებს ვუვლი ტკივილით,
მიმყავს შენ მიმართ შეთხზული გრძნობა
სხეულში შვილად გამოზრდილივით...
მიმოვიარე კუნჭული ცრემლით,
ავკრიფე ყველა ნათელი სხივი,
თან ფეხებს ვითრევ, დარდს ვიკლავ გულში,
როგორც ძაძებით მოსილი ქვრივი...
ჩავაქვრე ჭაღად მნათობი მზე და,

ავკრიფე თბილად ვარსკვლავის ჯარი,
შემოვიარე უკანასკნელად,
შევაღე ყველა ნაცნობი კარი...
დაცარიელდა... დაკარგა ფერი,
ოდესლაც ჭრელად შეფერილ სახლმა,
გამოვიკეტე მთავარი კარი,
თვალეზდახრილი გავედი გაღმა...
მოვძებნე ერთი ნათელი კუთხე...
გადაირია ზეცა ტირილით,
გულში ვიხუტებ შენ მიმართ გრძნობას
სხეულში შვილად გამოზრდილივით.

25.07.16

არც ორქიდეა, არც ვარდი,
მხოლოდ მლიმარი კესანე,
დამიკრიფე და მომართვი,
მახარე, შენი კვნესა მე...
არც შავი მზე და ვარსკვლავი,
არც დაბურული მთვარეო,
მოდი, მომგვარე ნათელი
და გული გამიხარეო...
ნურც სიტყვას მეტყვი, ნურც მიმღერ,
ნურც წერილს მომწერ, არ მინდა,
ოღონდ, მარტო ნუ დამტოვებ
ცრემლით თვალები დაბინდდა.
ყრუ-მუნჯი გრძნობაც მეყოფა,
მარტო მხედავდე თვალებით,
მოდი ჩემთან და მიყურე,
გადამიჭრელე შავები...
არც ორქიდეა, არც ვარდი,
მინდვრის მომართვი კესანე,
მხოლოდ მაგ მზერაც მეყოფა,
შენ რომ მმზერ, შენი კვნესა მე...

03.07.16

მინდა, იდგეს შემოდგომის შუა ხანა,
ოქტომბერის მინდა იყოს თუნდაც... ოცი,
ყურში მუდამ ჩამესმოდეს „განდაგანა“,
და მეც ცეკვად მიმიწვევდნენ, სრულად მოცლილს...
შემოდგომას, მინდა, ერქვას მხიარული,
რატომ წერენ სევდიანად ქარვის ფერებს,
რატომ ვლელავთ და ქუჩაზე გადასვლისას
მივაქანებთ უღიმღამოდ დაყრილ ხელებს...
შემოდგომის, მინდა, იყოს თუნდაც... ოცი,
და ყურებში ჩამესმოდეს „განდაგანა“,
გამიცეკვოს სასურველმა და მე, მოცლილს,
არ მიწვედეს ემოციის გადამალვა...

ემიგრანტული ჰოვია

მზლო ოსიშვილი, საბერძნეთი, თესსალონიკი

დავობადე 1963 წლის 16 აპრილს კასპის რაიონის სოფელ ლამისყანაში. დავამთავრე ლამისყანის დავით გურამიშვილის სახელობის სკოლა. შემდეგ კი ჟ. ბენდელიანის ტექნიკური სასწავლებელი თბილისში. გაჭირვებულმა ცხოვრებამ მეც ემიგრანტობა ამარჩევინა და 2002 წლის მერე, საბუთების არქონის გამო, სამშობლოში მხოლოდ ერთხელ ვიყავი ჩასული. მყავს სამი შვილი - ორი გოგონა და ერთი ვაჟი, სამი შვილიშვილი. მეუღლე გარდამეცვალა ემიგრანტობის პერიოდში და სამწუხაროდ, ვერც კი დავიტირე. ლექსების ნერა ემიგრაციაში დავინყე. ვარ ორი ნიგნის ავტორი. პირველი ნიგნი ქალბატონ ნანა მეტრეველთან ერთად გამოიცა და „მონატრება“ დავარქვით, მეორე - ჩემი საკუთარი ნიგნია სახელწოდებით: „ჩემი სამოთხე საქართველო“. ჩემი ერთ-ერთი ლექსი, „თვალეები“, ჯგუფმა „მთიელმა“ სიმღერად ჩაწერა. საბერძნეთის ქართული დიასპორის გაზეთში „ელადა“ რამდენჯერმე დაიბეჭდა ჩემი ლექსები, აგრეთვე, ინგა გოგიბერიძის რედაქტორობით გამოიცა რჩეული, სადაც ჩემი ლექსებიცაა შეტანილი.



ზღვა ლელავს...

ზღვა მოაგორებს ტალღებს,
კაცის გულივით ლელავს,
ფიქრები კვლავ მანვალებს,
მამულო, შენზე ვლელავ.
ქართველი უცხო მხარეს,
უცხო ბილიკებს ვთელავ,
ო, როგორ დავიჩაგრე,
საშველს კი ვერა ვხედავ.
ვერა, ვერ გავიხარე,
მიჭირს უსამშობლობა,
რამდენი ცრემლი ვღვარე,
თქმაც ჭირს და უთქმელობაც.

ცხოვრება, ოხ, რა მწარე,
ყოფილა დასაწვავე,
უშენოდ, ჩემო მხარევე,
მომბეზრდა უკვე თავი.
მხოლოდ შენ გვერდით ვიყავ,
ბედნიერი და ლალი,
ვნატრობ, ყველაფერს ვფიცავ,
რომ ვიყო ისევ ბალღი.
არაფრის მქონდეს ფიქრი,
არც არაფრისა ჯავრი,
არ ვიცი, საით მიჰქრის,
სად მიმახეთქებს ქარი.
საით წამიღებს, ნეტავ,
სად ამისრულებს ბოლოს,
სადა ხარ, რომ ვერ გხედავ,
სამშობლოვ, საქართველო.
ზღვა მოაგორებს ტალღებს,
ჩემი გულივით ღელავს,
ქართველი უცხო მხარეს,
უცხო ბილიკებს ვთელავ.

დამნიფებულა ჩემს ეზოში
თუთა და ბალი,
მე კი შორიდან ნერწყვსა ვყლაპავ,
საწყალი ქალი,
გამახსენდება ბავშვი ვიყავ,
დაუდგრომელი,
არ არსებობდა ჩემთვის ტოტი
მიუნვდომელი.
თუთას ჩიტვით კენწეროზე
მოვექცეოდი,
თან მივირთმევი გემრიელად
და თან ვმღეროდი.

ოჰ, ნეტავ იმ დროს,
ნუთით მაინც დაბრუნდებოდეს,
ან ეს წყეული ნოსტალგია
დასრულდებოდეს...

თუ რამ ცოდვა მაქვს, უფალო,
გთხოვ, მე დამსაჯე თავადა,
შვილები, შვილიშვილები,
ყველა მიმყოფე კარგადა.
ვინც მიყვარს, ვისაც შევხარი,
ნურვინ გახდება ავადა,
ისედაც ტანჯვით მივათრევ,
ამ ნუთისოფელს ცალადა.
მარტოკამ ვნეე ჭაპანი,
დედაც მე ვიყავ, მამაცა,
ნება შენია, შენ იცი,
ვერასა ვხდებით ძალადა.
მათთვის ყველაფერს ავიტან,
მტლად დავედები, წამლადა,
ოლონდაც, მათ ცუდს იმქვეყნად,
ნუ გამაყოლებ ჯავრადა.

ვინა თქვა, რომ ნებით დავტოვე შვილები,
ან უცხო მინაზე ცხოვრება მინდოდა,
უჩემოდ არიან თითქმის დაზრდილები,
რამდენჯერ სიმწრისგან ცრემლები მცვიოდა.

ვინა თქვა, რომ სხვისი მინა მირჩევნია,
ჩემს მინას მადლიანს, პატარა სამოთხეს,
სულს ხომ მონატრების კვალი ამჩნევია,
რამდენჯერ ტირილით გული მოვიოხე.

დაფიქრდით, ნუ მატკენტ გულს, ისეც მტკივა და
ნუ მეტყვით, რომ ნებით დავტოვე შვილები,
ფვიცავარ, ცრემლები ღვარღვარად მდიოდა,
როცა მაცილებდნენ ჭრელჭრულა მინდვრები.

ვინა თქვა, მითხარით, რომ ბედნიერი ვარ,
სამშობლოს არ ვნატრობ, რაიმე მახარებს,
ამდენი დარდისგან დაღლილი დავდივარ,
მე ჩემი ქვეყანა მტკივა და მადარდებს.

ვინა თქვა, რომ ნებით დავტოვე სამშობლო
არ მცივა, ან მათბობს სხვა ქვეყნის ივლისი,
ნეტავი, ასეთი შორს მაინც არ იყოს
ამ სალონიკიდან, ის ჩემი თბილისი.

მინდა, შევსვა მონატრების სადღეგრძელო,
წამოვუდგე ფეხზე ქართველ ემიგრანტებს,
ჩვენი ქვეყნის დედაბურჯი ვადღეგრძელო,
ვინც წლებია, ქართულად ვერ გაიმარტეს.

ვის გულშიაც სახლობს მხოლოდ დიდი სევდა,
უჭირს, მაგრამ მაინც გააქვს ბოლოს ლელო,
ვადღეგრძელო შვილებისთვის მკვდარი დედა,
ვინაც მხრებზე შემოიდგა საქართველო.

ვინც სამშობლოს ვერ ესწრება მაისობას,
გაუმარჯოს, იმ ემიგრანტ ქართველ დედას,
ვინც ვერ ხედავს შვილიშვილთა ყვავილობას,
დაღლილია, მაგრამ უძლებს დარდს და სევდას.

ვისაც ლუკმა არ გადასდის ხშირად ყელში,
შვილებისკენ როს გაურბის მას გონება,

შერყეული ჯანმრთელობა შერჩა ხელში,
გულს უკანრავს წარსულისა მოგონება.

გაუმარჯოს, სულის ტკივილს, მონატრებას,
გაუსაძლისს, რომელსაც არ უჩანს ბოლო,
დედას, ვინაც ვალმოხდილი უბრუნდება,
ოჯახსა და მონატრებულ საქართველოს.

ჩემთვისაც გაიაპრილებს,
მჯერა, ჩემი დროც მოვა,
გაზაფხულის მზე გამათბობს,
სულში შეწყდება თოვა.

აყვავილდება მთა-ბარი,
არაკრაკდება ლელე,
სულ მარტომ, უმისამართოდ,
გზები ვთელე და ვთელე.

ვეცადე, გზად რომ მეთესა.
იები, ქრიზანთემები...
თუმც წლებს მიმატებს აპრილი,
მე მაინც არ დაგნებდები.

ჩემთვისაც გაიაპრილებს,
მჯერა, ჩემი დროც მოვა,
გაზაფხულის მზე გამათბობს,
სულში შეწყდება თოვა.

ვენაცვალე ჩემს სამშობლოს,
მის მადლიან მინას ქართლის,
მონატრებულ სოფელს და სახლს,
საფიცარი დედის მანდილს.
გლები კაცის ნაჯაფ ხელებს,
გუთნისდედას, ხნულში ჩამდგარს,
ჭრიჭინების ჭრიჭინს ღამით,
ურმულს, ტკბილად ნალილინარს.
ფუძის მფარველ ანგელოზს და
დედის გულს სითბოთი სავსეს,
გაზაფხულზე მწვანე ჯეჯილს,
სურნელებით რომ აგავსებს.
ვენაცვალე ნაწამებ ქართლს,
მტრისგან ბევრჯერ გადათელილს,
ყველა კუნჭულს, ჩემი მხრისა,
სამაჩაბლოს - გულის ტკივილს.
ჩემი კუთხის სალოცავებს,
მაღლა მთის და დაბლა ბარის,
შუბისტარზე შემომდგარ მზეს,
მთის მწვერვალზე ციალს მთვარის,
ჭიგოს, საყრდენს მომავლისას,
სოფელს, იმედს - ჩვენი ქვეყნის,
საქართველოს, ყველა ქართველს,
სისხლს, მონაგარს დიდი გენის!

„თინათინი — კავკასიის ავაზა“¹

ძველი, უნიკალური გამოცემებით დამძიმებული თაროები... წიგნები, წიგნები - ყველგან. სადაც წიგნები არ არის, ხატებია, კანდელები... სადაც ხატები არ დაბრძანებულიან, ულამაზესი ნახატებია - ზოგი კედელზე, ზოგი კედელთან. ჯილდოები, სიგელები, საჩუქრები... დასადგომი ადგილი არ არის. სახლი გადავსებულია, სავსეა ხელოვნებით, სულიერებით. ჩვეულებრივ ადამიანებს იქ არაფერი ესაქმებათ. ეს ქართველი საზოგადო მოღვაწის, პოეტის, პროზაიკოსის, მხატვრის, ხატთა შემამკობელის - თინათინ მღვდლიაშვილის, მინიერი სამყოფელია.



თინათინი - შემოქმედი, რომელსაც ბედმა მოღვაწეობა ორი საუკუნის მიჯნაზე არგუნა. საუკუნეთა გასაყარისთვის ჩვეული ყველა ქართველი გამოატარა, გამოაწრთო პოეტის სული ეროვნული და ადამიანური ტკივილებით. ყველა ჯილდო და ტიტული, რაც თინათინ მღვდლიაშვილისთვის ურგუნებიათ, ღირებულია, თუმცა, სრულად მაინც ვერ ასახავს მისი შემოქმედების მრავალფეროვნებას.

იშვიათად ხდება, მაგრამ თინათინ მღვდლიაშვილი ის ბედნიერი შემთხვევაა, როდესაც მწერლის გავლილი გზა მისი ნათქვამის დადასტურებაა. რაც უთქვამს, მისთვის ბოლომდე უერთგულია! როგორც უთქვამს, ისე უცხოვრია!

- ქალბატონო თინათინ, „ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ“ - ამტიკცებენ ფსიქოლოგები. საინტერესოა, როგორი ბავშვობიდან მოდის პოეტი თინათინ მღვდლიაშვილი. სიტყვა „ბავშვობა“ რა სურათებს აცოცხლებს თქვენს წარმოსახვაში და ვისი სახე ამოტივტივდება წარსულიდან?

¹ „თინათინი - კავკასიის ავაზა, ამორძალი იბერთა და იქტერიელთა...“ - მექა ხანგოშვილი.

- ბავშვობასთან, რა თქმა უნდა, უპირველესად, ოჯახი ასოცირდება, ხომ მართალია? სამწუხაროდ, მშობლები დღეს ცოცხლები აღარა მყავს. მამაჩემი გახლდათ სამხედრო პირი, ქართული დივიზიის ოფიცერი. მაშინ ქართული დივიზია იდგა ქუთაისში და მე ხარება დღეს, 7 აპრილს, ქუთაისში მოვევლინე კაცობრიობას. მოვინათლე იქვე, პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიაში. სხვათა შორის, ძალიან გამიმართლა და ჩემი ნათლობის საიდუმლოს განმხორციელებელი გახლდათ გაენათელ-ქუთათელი მიტროპოლიტი მეუფე გაბრიელ ჩაჩანიძე, დიაკონი კი - მელიტონ ბალანჩივაძის ძმა, აპოლონ ბალანჩივაძე. ასე რომ, დიდებულმა ადამიანებმა ჩამაწვინეს ემბაზში. მეუფე გაბრიელ ჩაჩანიძე, ძალიან საინტერესო პიროვნება გახლდათ - პატრიარქობის ერთ-ერთი კანდიდატი, მაგრამ 1956 წელს, მოულოდნელად, საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. დაკრძალულია სიონის ტაძრის ეზოში. აღსანიშნავია გაბრიელ ჩაჩანიძის ღვაწლი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წინაშე. ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი დიდი წმინდანების — დავით და კონსტანტინე მხეიძეების წმინდა ნაწილები (ძვლები), მოთავსებული იყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, როგორც რაიმე ექსპონატი... სწორედ გაბრიელ ჩაჩანიძის დამსახურებაა, რომ დიდი მუქარის მიუხედავად, მან აღადგინა მონამეთას მონასტერი და წმინდა ნაწილები მონამეთაში გადააბრძანა. ვფიქრობ, რომ იგი, ზოგადად, ამისთვის მოვევლინა კაცობრიობას და დედამიწას. მეუფე გაბრიელი ერთგვარ მფარველ ანგელოზად მიმაჩნია და, ალბათ, ასეც არის. თურმე, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ და რა რანგის საეკლესიო პირი მოგნათლავს. ნება მომეცით, გიამბოთ ისტორია, რომელიც ადასტურებს, რომ გაბრიელ ჩაჩანიძე უაღრესად საინტერესო პიროვნება ბრძანდებოდა. იმერეთში ყოფილა საშინელი გვალვა, აუტანელი შიმშილობა, ხალხი იხოცებოდა - ისედაც ხომ ვიცით, იმერეთს ცოტა უჭირდა და, ისიც ხომ ცნობილია, რომ ადამიანს როდესაც უჭირს, მაშინ ახსენდება ღმერთი და ეკლესია. ადამიანები, რომლებიც საერთოდ არ დადიოდნენ ტაძარში და არაეკლესიურები იყვნენ, მივიდნენ მიტროპოლიტთან და თავისი გაჭირვება შესჩვილეს: ვიხოცებით შიმშილით, წვიმა არ მოდის, წვიმის ერთი წვეთი გვენატრებაო. გაბრიელ ჩაჩანიძემ უთხრა მათ: შევიკრიბოთ ყველა ერთად, ვილოცოთ და შევთხოვოთ უფალს, რომ წვიმა მოვიდესო. მართლაც, შეიკრიბა ხალხი. ლოცვის დროს ნელ-ნელა წამოწვიმა... წამოწვიმა... წამოწვიმა... და ისე წამოწვიმა,

ისეთი კოკისპირული წვიმა მოვიდა, რომ ადიდდა რიონი და ჩეკას შენობა წაიღო (იკინის). ჩვენ კი ვიციანით, მაგრამ ამ ამბავმა მეუფე გაბრიელს მრავალი უსიამოვნება შეამთხვია... მით უფრო, რომ გაბრიელს ისედაც უამრავი მტერი ჰყავდა... წარმოიდგინეთ, ამ საოცარმა, განათლებულმა, ენაწყლიანმა, დიდებულმა ადამიანმა, უცბად, უარი თქვა ერისკაცობაზე და ეკლესიას მიაშურა. ამ ამბავმა საოცარი შოკი გამოიწვია იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში. სამწუხაროდ, მეუფე გაბრიელს მტრები ეკლესიაშიც გაუჩნდა... იმ პერიოდში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე გახლდათ. თურმე, ეუბნებოდნენ, გაბრიელი გეცილება, მომავალში, ალბათ, პატრიარქობა უნდაო. ცნობილია, რომ წმინდა კალისტრატეს სახით დიდებული პატრიარქი გვყავდა და გაბრიელზე გავრცელებული ამ შემზარავი ჭორების მიუხედავად, ის გაბრიელს აწინაურებდა, საფეხურებზე აჰყავდა, ქვემოთ კი არ ჩამოჰყავდა... აი, როგორი დიდი პიროვნება გახლდათ კათალიკოსი წმინდა კალისტრატე.

როგორც გითხარით, ქუთაისში, უძველეს აიაში მოვევლინე კაცობრიობას. 1956 წელს ხრუშოვმა ქართული ჯარი დაშალა და დემობილიზაციის შემდეგ ჩამოვედით თბილისში. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისში დავიბადე, რა ვქნა, ნამდვილი თბილისელი ვარ, რადგან მთელი ჩემი ცხოვრება თბილისში გავატარე.

მინდა გავიხსენო ჩემი ლამაზი დედიკო, რომელიც კარგი გარეგნობის გამო „დაჩაგრა“ მამაჩემმა, ანუ არ მისცა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების უფლება. დედაჩემი უნიჭიერესი ქალი იყო, სიცოცხლის ბოლომდე მესხიერება არ დაუკარგავს და ფიზიკმათემატიკაში ამეცადინებდა მეზობლის ბავშვებს. მათემატიკოსად იყო დაბადებული. მითხარით, ვინმეს ახსოვს ფიზიკა ან მათემატიკის სკოლის დამთავრების შემდეგ? დედაჩემის გატაცება იყო მათემატიკის ამოცანებისა და მაგალითების გამოყვანა. ამ თვალსაზრისით, ნამდვილად არ ვგავარ დედაჩემს, რასაკვირველია, მათემატიკას ვგულისხმობ. ერთ ხელოვნებათმცოდნეს ვკითხე, ნეტავ, რატომ არ დავემსგავსე დედაჩემს-მეთქი და მიპასუხა: რაც გჭირდებოდა, კარგად გაქვს ალებული, მაგალითად, ანალიტიკური უნარიო. იცით, რამხელა მნიშვნელობა აქვს ლექსის წერის დროს სიზუსტეს ან ზომიერებას? მიუხედავად ამისა, მე მაინც ვთვლი, რომ მამაჩემის, ალექსანდრე მღვდლიაშვილისა და ბიძაჩემის — გიორგი მღვდლიაშვილის ასლი ვარ (გიორგი უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის

ფაკულტეტის სტუდენტი იყო, როდესაც მეორე მსოფლიო ომში წავიდა და უკან აღარ დაბრუნდა. მოგვიანებით გავიგეთ, რომ კავკასიის ფრონტს შეეწირა).

- **კიდევ რაიმეს ხომ არ გაიხსენებდით ბავშვობიდან?**

იცით, ახლა რა გამახსენდა? ბავშვობაში გუდიანი კაცის მეშინოდა. **ქალს, რომელიც თოფიანმა კაცებმა ვერ შეაშინეს, ბავშვობაში გუდიანი კაცის ეშინოდა. როგორია?! (იცინის).** რატომ მაშინებდნენ, არ ვიცი, მაგრამ ის შიში დღემდე მახსოვს. რაც შეეხება ბავშვობის სამწუხარო შთაბეჭდილებას – ჩემ თვალწინ გარდაიცვალა ცნობილი მსახიობი გიორგი შავგულიძე. ჩვენ პლენხანოვზე ვცხოვრობდით. იმ დღეს ჩემს ნათესავ ქალს ქუჩაში მივყავდი. ალბათ, ოთხი ან ხუთი წლის ვიქნებოდი. უცბად, მარჯანიშვილის მოედანზე ხმაური ატყდა. მახსოვს, ტროლეიბუსის თოკები როგორ ირხეოდა ჰაერში. რაც მთავარია, მახსოვს კივილ-წივილი და დაცემული კაცის ფიგურა, რომელსაც თვალს ვერ ვწყვეტდი. ჩემმა ნათესავმა, ოლიკო დეიდამ, თავისი კაბა შემომმაფარა და კისრისტეხით მიმარბენინებდა, რომ ნაქცეული ადამიანი არ დამენახა და ამ სანახაობისთვის რომ მოვეშორებინე, მე კი თვალები უკან მრჩებოდა. ოლიკო დეიდამ იქვე, მარჯანიშვილის მოედანზე მდებარე საყვავილეში ჩამარბენინა, და მხოლოდ მოგვიანებით გავიგე, რომ ის დაცემული კაცი გიორგი შავგულიძე იყო. რასაკვირველია, დიდი ქართველი მსახიობი ნიკოველთვის მიყვარდა, მაგრამ იმ ფაქტმა, რომ, უნებლიედ მის გარდაცვალებას შევესწარი, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და მისდამი სიყვარული გამიასკეცა.

ცამეტი წლის ასაკში უსაყვარლესი მამა გარდამეცვალა. ეს ნამდვილი ტრაგედია იყო ჩემთვის, რადგან მამასავით არასოდეს არავინ მყვარებია. მიუხედავად ამ უსიამოვნო მოგონებებისა, მე, როგორც ყველა მოზარდს, ძალიან მხიარული და ხალისიანი ბავშვობა მქონდა. ვიყავი დღევანდელი მოსწავლეთა და ახალგაზრდების სასახლის უამრავი კაბინეტის აქტიური წევრი. მოვლილი მაქვს მთელი საბჭოთა კავშირი. **წარმოგიდგენიათ, რამდენიმე ზის ლენინის ნაკვალევზე ნასიარულევი ბავშვი, ბოლოს დისიდენტი გამოვედი (იცინის)?** ულიანოვსკში რა მინდოდა? ხუთჯერ ვარ ნამყოფი!.. პატარა ვალოდიას ოთახებს ვათვალიერებდი... ის კი არადა, ყაზანშიც კი გავემგზავრეთ, რადგან, თურმე, ვალოდიას გიმნაზიაში იქ უს-

წავლია... ან ყაზანში რა მინდოდა, მაგრამ, ლენინის ნაკვალევს ვინ გადაუხვევდა?.. ისე, ერთი მხრივ, „ძია ლენინის“ მადლობელი ვარ, რადგან საბჭოთა კავშირის ბევრი ქალაქი მისი წყალობით მაქვს დათვალიერებული. რაც მართალია, მართალია, ლენინი არც ჩვენს მასწავლებლებს ეხატებოდათ გულზე. გუმში, ცუმში დარბოდნენ და „ლუსტრებს“ და კიდევ რაღაცებს ყიდულობდნენ... აქტიურ ბავშვებს, ხშირად, რადიოსა და ტელევიზიაში გვინვევდნენ. მახსოვს, ულიანოვსკიდან ჩამოსული რადიომსმენელს ვუყვებოდი ჩემი შთაბეჭდილებების შესახებ და ძალიან ცნობილი დიქტორი იყო, ყავლამვილი და... ლენინს დასცინა. მე გაკვირვებულმა შევხედე, მან კი მითხრა: ეს ამბავი არსად თქვა, თორემ მომკლავებო. საიდუმლო სამუდამოდ შევუნახე, თუმცა, ძალიან გაკვირვებული კი დავრჩი მაშინ. რა კაკალიც ბრძანდებოდა პატარა ვალოდია, მომავალში გავიგე (იციინის)!.. სკოლაში „საჭირო“ გოგონა ვიყავი, არცერთი სალამო, არცერთი შეხვედრა არ ტარდებოდა რომელიმე მწერალთან, მუსიკოსთან, ან ვისთანაც გნებავთ, რომ მე მთავარ როლში, სცენაზე არ ვმდგარიყავი. ამავე დროს, ძნელად აღსაზრდელი კი არა, საკმაოდ „მოხულიგნო“, უფრო ზუსტად, მოუხელთებელი გოგონა ვიყავი. **კარგი მოსწავლის სახელი კი მქონდა, მაგრამ იოლად ვერ მიმორჩილებდნენ. ეს ჩემი ბუნებაა, ასე ვყალიბდებოდი სამომავლოდ, ალბათ, დიდი ბრძოლებისათვის ხასიათი იწითობოდა...** მართალია, ჩვენი ეკლესია არ ცნობს ჰოროსკოპს, მაგრამ, ვერძი ვარ და უსამართლობას, წინააღმდეგობებს ვერასდროს ვიტანდი და ჩემს პირვანდელ აზრს მუდამ ჯიუტად ვიცავდი. შემთხვევით არაფერი ხდებოდა. მოგვიანებით მივხვდი, რომ ამ თვისებებმა მომავალში შექმნა დაუმორჩილებელი პოეტი თინათინ მღვდლიაშვილი.

- **სტრიქონები:**

„და, როგორც სათნო ქრისტიანი, ჯვარისმტვირთველი,

ვცხოვრობ ანწყობში - ძველი დროით, ძველი მითებით ...“

ხატებით სავსე თქვენი ოთახი... უფლის რწმენა და გვარი - მღვდლიაშვილი... თითქოს სიმბოლურიც კია. გვიამბეთ თქვენი ფესვების შესახებ.

- ჩვენი გვარი, ვფიქრობ, არ არის ძალიან ძველი, მაგრამ, ნამდვილად ვიცი, რომ ჩემი დიდი პაპის, იოსების მამა, აბრაამი, იყო მღვდელი. აბრია მღვდელი - ასე მოიხსენიებდნენ. ის ბოლშევიკების შემოსვლას შეეხსნო. როგორც ვიცი, აბრია სასტიკად დასაჯეს.

საერთოდ, ბავშვობაში, სოფელში რომ ჩავდიოდი, მიკვირდა, რომ არცერთი ნივთი არ მეტყველებდა იმაზე, რომ ის ოჯახი წარსულში მღვდლის ოჯახი იყო. ეს ხომ წარმოუდგენელია? როგორ შეიძლება ხატები, ან წმინდა ქურჭელი, ან რაიმე არ ჰქონოდა ოჯახს? არაფერი!.. სხვათა შორის, ზუსტად ვიცი, რომ აბრიას ატერორებდნენ, ოქროს სთხოვდნენ. თუ მითითებულ ადგილზე ოქროს არ დატოვებდა, უმცროსი შვილის, არსენას, მოკვლით ემუქრებოდნენ. ზუსტად არ ვიცი, ჰქონდა თუ არა აბრიას ოქრო, მაგრამ, ამბობენ, რომ ბოლშევიკების მიერ მითითებულ ადგილზე ქისით ტოვებდა ოქროსო. მოკლედ, სასტიკად ატერორებდნენ, დღეს კი მისი საფლავიც არა გვაქვს. ეტყობა, რაღაც სერიოზული მოხდა, რომელიც, სამწუხაროდ, ჩემთვის უცნობია. ძალიან კი მაინტერესებს, მაგრამ, არ ვიცი. ალბათ, საგულდაგულოდ ნაშაღეს კვალი.

პაპაჩემი იოსები დიდი ხნის წინათ გარდაიცვალა, მაშინ ძალიან პატარა ვიყავი. სამაგიეროდ, კარგად მახსოვს ჩემი ბაბო - ელიზავეტა, მორწმუნე ქალი, მორწმუნე ოჯახიდან. დარაპილი იყო გვარად. ჩემი ოჯახი, გნებავთ პაპაჩემის, გნებავთ ბებიაჩემის მხრიდან დიდგვაროვნებით არ იყო ცნობილი, მაგრამ მუდამ გამორჩეულები ვიყავით და აი, რატომ: გადმოცემით ვიცი, რომ ბებიაჩემის დედა - მამო ბაბო, თურმე, სოფლის გამორჩეული ქალბატონი ბრძანდებოდა - მას ჭკუას ეკითხებოდნენ. მამო ბაბოს შეეძლო თავადებთან ურთიერთობა, სხვადასხვა საქმის მოგვარება, ქალიშვილების გათხოვება-დაოჯახება. წარმოსადეგი და ბრძენი ქალი ყოფილა. ბებიაჩემი ღიზა ძალიან განათლებული ქალი იყო, მუდამ წიგნი ეჭირა ხელში, ვიდრე მძიმე სკლეროზით არ დაავადდებოდა და არ მოეჩვენებოდა, რომ სააკაძესთან ერთად ბრძოლებში იყო ნამყოფი. თქვენ იცინეთ და ბებიაჩემი სერიოზულად გვიყვებოდა ამ ბრძოლების შესახებ. მოკლედ, რაც ჰქონდა ნაკითხული (და ნაკითხული ჰქონდა ბევრი), გონებაში უცოცხლდებოდა და თავი ამ მოვლენების თანამონაწილედ მიაჩნდა. ეტყობა, შინაგანად მებრძოლი სული ჰქონდა (იცინის). ბებიაჩემი იმდენად კოპნია, მონესრიგებული ქალი იყო, რომ მეტსახელად „კობტა ღიზას“ ეძახდნენ. მაგალითად, ქათამს ისე დაჭრიდა, რომ აანყობდით, ერთ ხარვეზს ვერ უპოვიდით. ვენახში ისე ჩავიდოდა და ამოვიდოდა, მტვერს ვერ უპოვიდით. ვენახში თან მიჰქონდა, ღმერთმა იცის, რომელ საუკუნეში შეკერილი ლაკის ფეხსაცმელი, რომელიც იმდენად გამძლე იყო, რომ ბაბოს სიცოცხლეში არასდროს გაცვეთილა. ვენახიდან

რომ ამოვიდოდა, 18 კილომეტრს რომ გაივლიდა და „ახალ გზას“ მიადგებოდა, იმ ლაკის ფესსაცმელებს იცვამდა და ისე ამოდიოდა სახლში. ჯერ რა ტანსაცმელი ეცვა! ბებიჩემის ფარჩის კაბასა და ჩისტკოვში დაინერა, თურმე, ჯვარი ნახევარმა სოფელმა. ოჯახში ძალიან ძვირფასი სამკაულები ჰქონდათ, სურათებშიც კარგად ჩანს, რომელთა ნაწილი მამაჩემმა (ტოქსინი ერქვა მგონი, სადაც ძვირფას ლითონს პირველადი მომსახურების საგნებში ცვლიდნენ), პაპიროსებში გაცვალა (იციინის). ამგვარი ისტორია მრავალგზის განმეორდა: ქართველი ხალხისგან მრავალჯერ ამოიღეს ოქრო, ძვირფასი ნივთები, აი, ასე, მუქთად, უბრალოდ... მოგვიანებით, ბებიჩემს ანდერძი შევუსრულეთ: იმ ჩისტკოვსა და ფარჩის კაბაში დავკრძალეთ, რომელიც, მართლაც, უნიკალური ნამუშევარი იყო. უბედური ქალი გახლდათ ლიზა ბაბო. ისე წავიდა ამქვეყნიდან, ოთხი შვილის, ვაჟების, სიკვდილი ნახა. რაც შეეხება პაპაჩემს, იოსებს, ამბობენ, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვიცი, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში პოლიციის უფროსი ყოფილა. **პაპაჩემმა შემოუნახა ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიას უმნიშვნელოვანესი ამბავი - კაკო ყაჩაღის გვარი - გაუხარაშვილი. დიახ, ეს ჩემი ოჯახის დამსახურებაა. ასეა, პაპამ ყველაფერი კარგად იცოდა.** მამაჩემის და ბიძაჩემის ჩანაწერებში ამოვიკითხე, რომ ჩვენი ოჯახი საკმაოდ შეჭირვებული ყოფილა. ეტყობა, პაპაჩემი, რადგან იმ პირველი, დემოკრატიული ხელისუფლების დროს სახელმწიფო სამსახურში იდგა, როგორც არასანდო ახალი ხელისუფლებისთვის, სავარაუდოდ, რეპრესირებული იყო. მოკლედ, რეპრესიები ოჯახში მოგვდგამს.

და კიდევ, მყავს ორი და - ლია და ლედი. რაც შემეხება მე, გახლავართ „მარტოხელა, მარტოსული ქალბატონი“.

- მღვდლიაშვილი ახალი გვარია?

- აბრამდე ვინმე საეკლესიო პირი გვყავდა თუ არა, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, სავარაუდოდ, ალბათ, გვეყოლებოდა, რადგან აბრია მამამისმა სასწავლებლად სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. გადავხედოთ ჩემი წინაპრების სახელებს: რომანოზი, იოსები, გიორგი, ილია... ხომ გსმენიათ, ხანდახან კახელებს ქორავენ, შაჰ-აბაზის მოდგმისა არიანო (იციინის)... თუ ეს ასეა, **დიდი მადლობა აღმოსავლეთს, თუ მათგან რაიმე ნიჭი „დავითრიე“, ქართველებში წამოვიღე და მერე ჩემს საყვარელ საქართველოს მოვახმარე.**

- არ გკითხავთ, რომელია თქვენი საყვარელი ლექსი-მეთქი, რადგან ვიცი თქვენი პასუხი. არაერთხელ აღვინიშნავთ, რომ საყვარელია ის ლექსი, რომელმაც პოეტს წარმატება მოუტანა და თქვენ ასეთად „დავით მეფეს“ მიგაჩნიათ. თუმცა, გვერდს ვერ აუღვლი თქვენს ორ გამორჩეულ ლექსს, რომლებიც ათონის მთაზე იწახება. რომელი ლექსებია ისინი და როგორ მოხვდა წმინდა მინაზე, ქართველთათვის უძვირფასეს ტაძარში?

- ეს ორი ლექსი - „სამადლობელი“ და „ტაძართა და ვაზთა საგალობელი“, მართლაც, გამორჩეულია. პირველად შეიქმნა უზარმაზარი ლექსი „ტაძართა და ვაზთა საგალობელი“, რომელზეც ძალიან ბევრი ვიმუშავე და ძალიან დამეხმარა მამაჩემის მიერ დატოვებული ბიბლიოთეკა - ბრწყინვალე, ძველი, უნიკალური გამოცემებით. ამ ლექსის შექმნაში სწორედ მამის მიერ დატოვებულმა წიგნმა - ამპელოგრაფიამ გამიწვია დახმარება. ათონის მთაზე კი ლექსები ასე მოხვდნენ: ჩემმა ნაცნობმა ქალბატონმა ლექსი „ტაძართა და ვაზთა საგალობელი“ საბერძნეთის დედაქალაქიდან სალონიკში მგობარს გადაუგზავნა, საიდანაც ვილაც უცნობმა რუსმა ორთოდოქსმა ათონის მთაზე აიტანა. ასე ვიცი გადმოცემით. რაც შეეხება „სამადლობელის“ ისტორიას, ყველა ინფორმაციას არაჩვეულებრივად ვფლობ: ვინ, როდის, როგორ აიტანა. როდესაც „ტაძართა და ვაზთა საგალობელმა“ ათონის წმინდა მთას მიაღწია, ჩემმა ახლობელმა ქალბატონმა საბერძნეთიდან ეს ამბავი საზეიმოდ მახარა. ვერ აღვინერთ, მაშინ რა განცდა დამეუფლა. წარმოიდგინეთ, ვცხოვრობდი უკიდურესად მძიმე პირობებში, სიბნელეში, თითქოსდა ყველასგან მივიწყებული და ამ დროს, ღვთისმშობლის მადლით, ჩემი ლექსი ათონის მთაზე ავიდა!.. ცნობილია, რომ ათონზე უცხო ქალი, ზოგადად ქალი, აკრძალულია, იქ მხოლოდ და მხოლოდ ღვთისმშობელი დედოფლობს. და, მოხდა სასწაული! ღვთისმშობელმა სათნოჰყო ჩემი ლექსი და მომცა ძალა, რომ შემექმნა მეორე ვრცელი ლექსი, ღვთისმშობლის ქებათა-ქება - „სამადლობელი“.

„სამადლობელი“ თავიდან არ იყო ასეთი ვრცელი, მაგრამ, შემდეგ, თითქოს ღვთისმშობლმა რაღაც მოისაკლისაო, დამსვა ფანჯარასთან და ლექსი განმავრცობინა... იცით, ცას ვუყურებდი და ზეცილიდან, თითქოს, კარნახით იწერებოდა ლექსი (კარნახით არც თუ ისე ბევრი რამ მაქვს დანერვილი). მას შემდეგ „სამადლობელი“ არაერთხელ აიტანეს ათონის მთაზე. ერთ-ერთ ისტორიას გიამბობთ:

თბილისის მერმა (ბატონი ზვიად გამსახურდიას დროინდელ ქალაქის მერს ვგულისხმობ), ბატონმა თამაზ ვაშაძემ, აიტანა ათონის მთაზე „სამადლობელი“. იმ პერიოდში უკვე დაბეჭდილი მქონდა პატარა ბუკლეტი. ბატონი თამაზი გვიან ღამე მიადგა, თურმე, ივერიის ღვთისმშობლის ტაძარს. კარები ჩაკეტილი დახვდა. კარზე რომ დააკაკუნა, ვიღაც ბერძენი გამოეხმაურა: **ვინ ხარო? ბატონმა თამაზმა ბერძნულ ენაზე (დედით ბერძენია) უპასუხა: ქართველი ვარ, ივერიიდანო და გაუხსნეს კარები.** ამ ბრწყინვალე, განათებულ, გასხივოსნებულ ტაძარში რომ შევიდა და „პორტაიდის ღვთისმშობლის“, ანუ ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ კარიბჭის ხატს შეხედა, თურმე, მუხლებზე დაეცა, ფეხზე ვეღარ დგებოდა კაცი. მერე, გონს რომ მოეგო, ნებართვა ითხოვა, რომ ჩემი ლექსი ათონის ღვთისმშობლის ხატთან დაებრძანებინათ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ბატონი ზვიად გამსახურდიას, ფერად ფოტოსურათთან ერთად. მაშინვე მოინახა ქართული ენის მცოდნე ბერძენი, რომელმაც გულდასმით წაიკითხა ლექსი (მოგეხსენებათ, ბერძნებმა ივერიის მონასტრიდან გააძევეს ქართველი ბერები და სპეციალურად ჰყავთ ქართულის მცოდნე სასულიერო პირები, თუმცა, მგონი, ახლა ქართველებიც მოღვაწეობენ იქ). ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩემი ლექსები სამი დღის მანძილზე იყო დასვენებული ღვთისმშობლის ხატთან და შემდეგ, ორივე: „ტაძართა და ვაზთა საგალობელი“ და „სამადლობელი“, ათონის წიგნთსაცავში შეინახეს. დღეს ეს ლექსები დავანებულია იმ ზღაპრულ, უძვირფასეს სავანეში, სადაც ჩვენი წმინდა მამები - გიორგი მთაწმინდელი, იოანე და ექვთიმე მთაწმინდელები და სხვანი მოღვაწეობდნენ. დიას, ასეთი ღამაში ისტორია გადამხდა. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს, თითქოს, შეწყდა ათონის მთიდან მადლი, რომელიც ადრე უხვად მოედინებოდა ჩემზე... წელი არ გავიდოდა, რომ სანთლები, სასწაულმოქმედი წყალი ან ხატები არ მომსვლოდა ათონიდან. რაც შეეხება წყალს, მოგეხსენებათ, რომ ზღვით შემობრძანდა ღვთისმშობლის ხატი. გაბრიელ ქართველმა ფეხით გაიარა ზღვაზე და მხოლოდ მას დაემორჩილა იგი, და სადაც დაასვენეს ხატი, იქ ამოხეთქა სულისა და ხორცის განმკურნებელმა წმინდა წყარომ. ღვთისმშობლის წყალობით, ეს წმინდა წყალი არაერთგზის გამომიგზავნეს ათონიდან. იმის თქმა მინდა, რომ მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ვყავდი ღვთისმშობელს. ახლაც, არა მგონია, რომ არ მწყალობდეს, აღარ მაქცევდეს ყურადღებას, მაგრამ, ასეთია ცხოვრება - არის პერიოდები, როდესაც ადამიანი ძა-

ლიან ახლოს მიდის უფალთან და არის პერიოდები, როდესაც შორდება მას... ისიც სათქმელია, რომ დიდი გაჭირვების დროს, თითქოს, უფრო ახლოს ხარ ღმერთთან, რადგან ღმერთის, ღვთისმშობლისა და წმინდანების გარდა პატრონი აღარავინ გყავს. ეს, რასაკვირველია, ღვთის წყალობაა. **ღვთის წყალობაა ისიც, რომ მე, ერთმა ცოდვილმა ქალმა, თერთმეტი ხატი შევამკე და ჩემი უძვირფასესი ხატები დაბრძანებულები არიან საქართველოს უბრწყინვალეს ეკლესიამონასტრებში.** სამწუხაროდ, ერთის გარდა, რომელიც დამტვრეული მისვენია სახლში.

- ეს, მართლაც, სამწუხარო შემთხვევაა. როგორ, რა ვითარებაში დამტვრა ხატი?

- 2008 წლის 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, სამების დიდ ტაძარში, პატრიარქის კურთხევით, ანალოლიაზე დააბრძანეს ჩემ მიერ შემკობილი აღმაშენებლის ხატი... იმ დღეს მას სამების ტაძარში მიბრძანებული უამრავი ხალხი ეამბორა. ლოცვის დამთავრების შემდეგ სტიქაროსნებს ხელიდან გაუვარდათ ხატი და დამიტვრა. ეს ამბავი პატრიარქმა რამდენიმე თვის წინ, პირადად ჩემგან შეიტყო. სწორედ მაშინ, როდესაც ჩემს ნაოპერაციევ მარჯვენა ხელზე ოქროს სამაჯური შემაბა თავისი ავტოგრაფით.

დავითის ხატის დამტვრევის შემდეგ შევწყვიტე ხატების შემკობა, ასევე შევწყვიტე საქართველოს რუკაზე მუშაობა, რომელიც ყველაზე დიდ მასშტაბში მქონდა დაწყებული... ადრეც მითქვამს და კვლავ გავიმეორებ, ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს ვიღაც უჩინარმა ხელბორკილი დამადო... იმედია, ოდესმე კვლავ გავაგრძელებ მუშაობას, რადგან ორი წლის წინათ, როდესაც ონკოლოგიური ოპერაცია გავიკეთე და ღმერთს დახმარებას ვთხოვდი, ჩამოვთვლიდი, რა მქონდა კიდევ ამქვეყნად გასაკეთებელი, ჩამონათვალში, უპირველესად, საქართველოს შესამკობ რუკას მოვიხსენიებდი. საერთოდ, იმ პერიოდში, ჩემი ცხოვრების უდიდესი განსაცდელის ჟამს, ღმერთთან ძალიან ახლოს მივედი. მკაფიოდ შევიგრძნობდი წმინდანების მიერ გადატანილ ტკივილებს, რაც მწვალებლებმა მიაყენეს. ვესაუბრებოდი წმინდა გიორგის, წმინდა ნინოს ოქროსფერ ნაწნავებს, გობრონ-მიქაელს... ძალიან მიყვარს წმინდა გობრონი, ყველისციხესთან აწამა არაბმა აბულ კასიმმა. ვითარცა ჯალალედინი სთავაზობდა შალვა ახალციხელს გადაბირებას, ზუს-

ტად იგივე მოთხოვნა ნაუყენა გობრონს მოძალადე მტარვალმა. გობრონი მტკიცედ დადგა ქრისტეს სარწმუნოებაზე, მაშინ განრისხებულმა მოძალადემ 133 მეგობარი მოუკლა გობრონს, ხოლო ერთ-გული მეგობრების სისხლში ამოთხვრილ წმინდანს, კეფაზე დაჰკრეს მახვილი. წმინდა მონამე გობრონმა ხელი ჩაანო თავისსავე სისხლში და იმ სისხლიანი თითებით გადაინერა პირჯვარი. მერე მოკვეთეს თავი მას. ჰოდა, იმ დიდი განსაცდელის ჟამს ვეკითხებოდი გობრონ-მიქაელს: 133 მეგობარი სად იპოვნე, გობრონ, მე ერთი ვერ მიპოვნია-მეთქი. გული მწყდება, რომ იმ სიტყვებს, რომელი სიტყვებითაც მათ ვესაუბრებოდი, ქალაქზე ვერასდროს გადავიტან. უნდა არსებობდეს რაიმე ძალა, რომელიც მოახერხებს გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანის სიტყვების ჩანერას, როდესაც ის უკიდურესად გულწრფელია და ტკივილებისგან გათანგული სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ქანაობს.

- ერთ-ერთ ინტერვიუში ბრძანეთ, რომ ახალგაზრდობაში გქონდათ სურვილი, ქართულ მწერლობაში დარჩენილიყავით, როგორც პროზაიკოსი. ვავიდა წლები, თქვენს შემოქმედებაში პროზას სძლია პოეზიამ, დღეს ბრძანდებით 20-მდე პოეტური კრებულის ავტორი. მათ შორის: „და შინდისფერი ვნერე ლექსები“, „მარტოხელა, მარტოსულო ქალბატონო“, „ჭრიჭინებენ, ჭრიჭინებენ ჭრიჭინები“ და სხვა. რა მოხდა, რამ შეგაცვლევინათ გადანყვეტილება?

- სკოლის პერიოდიდან ვწერდი, პოეზია იმდენად მიტაცებდა, რომ კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენით“ ვერ დავეკმაყოფილდი და კონსტანტინეს პროზის პოეზიაში გადატანა ვცადე. ვგიჟდებოდი გამსახურდიაზე, ან ვის არ უყვარდა კონსტანტინე გამსახურდია? სერიოზული, იმ პერიოდში, არაფერი შემიქმნია, თუმცა, თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ასაკში დაწერილ ლექსებში ჩანს, რომ ამ გოგონასგან, შესაძლოა, ან პოეტი დადგეს, ან პროზაიკოსი. საკმაოდ გამორჩეული, ნიჭიერი ბავშვი ვიყავი. აბა, რა ვიცოდი, თუ მომავალში ანგელოზი მაკოცებდა შუბლზე. მოგვიანებით, ოცდაერთი-ოცდაორი წლის ასაკში, მოთხრობებს ვწერდი. ერთ-ერთი მათგანი ბათუმში გამომავალ ჟურნალ „ჭოროხში“ დაიბეჭდა. ჩემს მოთხრობას ერქვა „ყავახანაში“, მაგრამ რატომღაც „ჯოტო“ დაარქვეს. მოთხრობა ცნობილი აჭარელი პოეტის, ზურაბ გორგილაძის ხელში მოხვდა და, როგორც მითხრეს, ზურას ის ხელახლა

მოუნათლავს. მოკლედ, პირველი მოთხრობა ბათუმში დაიბეჭდა. შემდეგ რამდენიმე ლექსი დაგებეჭდე სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება არავის მიუქცევია. და აი, დადგა 1989 წელი, ანუ მოვიდა ის დრო, როდესაც მე ხელახლა უნდა დავბადებულიყავი. მოგეხსენებათ, პირველად ფიზიკურად ვიბადებით ამქვეყნად, მეორედ - ნათლობის დროს და ეს, ალბათ, ჩემი მესამე დაბადება იყო, როდესაც 1989 წლის 8 თებერვალს, აღმაშენებლის ხსენების დღეს, მზეს შევხვდი ლექსით - „დავით მეფეს“. დიახ, ასე დაიბადა შემდგომში სიმღერადქცეული ცნობილი ლექსი - „აღმაშენებელი თბილისის მობრძანდება“, რომელმაც დღემდე შეინარჩუნა თავისი ადგილი ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში. დიახ, გამოიღვიძა მიძინებულმა ქართველმა ერმა და გაიღვიძა ჩემში ჩაბუდებულმა მემამბოხემ, რომელიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ფორმით ავლენდა თავის თავს... იმის თქმა მინდა, რომ, რა ვითარებაშიც ვხოვრობდი, იმ ვითარებაში ვლინდებოდა ჩემი ურჩი და დაუმორჩილებელი ბუნება, რადგან, პატრიოტული გრძნობები ყოველთვის მქონდა და საქართველოს დამოუკიდებლობაზე მუდამ ვოცნებობდი. ადამიანის ცნობიერება ბავშვობიდან იწყება და ვითარდება. მამაჩემი, ალექსანდრე მღვდლიაშვილი, გახლდათ ქართული ხალხური მელოდიების არა მხოლოდ კარგი მცოდნე, არამედ საუკეთესო შემსრულებელი. ოთხი-ხუთი წლის ბავშვს, სრულიად პატარა გოგონას, იცით, რა სიმღერებს მასწავლიდა? - „დაიგვიანეს“, „ზამთარია“, „მრავლუჟამიერი“... აი, ასეთ მელოდიებზე მზრდიდა მამა. მამაჩემი ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე მცოდნე გახლდათ, თავადაც კარგად წერდა და ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან თანამშრომლობდა. ხოლო ჩემთვის, თავისი მთვარესავით გოგონასათვის, საგანგებოდ თხზავდა ზღაპრებს. ამ ზღაპრების სახელწოდებები დღემდე მახსოვს: „თინიკო კარდანახელი იების ქორწილში“, „თინიკო და ბაჭიაურის მარწყვები“, „თინიკო კაკაბეთის საყაყაჩოეთში“, „თინიკო და პატარძეულის ია“ და სხვა. გარდა ამისა, ჩემი სიძე, ჩემი უფროსი დის ქმარი, ჯემალ მჭედლოშვილი, სუბიშვილების ანსამბლის სოლისტი გახლდათ. აქედან გამომდინარე, ქართული ცეკვაც შემოიჭრა ჩვენს ოჯახში, რაღაც პერიოდი ჩემი სიძის ანსამბლში ვცეკვავდი კიდეც. ასე რომ, ეროვნული გრძნობები და სამშობლოს სიყვარული ბავშვობიდან სისხლსა და ხორცში მქონდა გამჯდარი. ანტისაბჭოთა ბავშვი ვიყავი, უბრალოდ, ეს არ ვიცოდი. ამას სჭირდებოდა დრო, ასაკი და ცოდნა...

და აი, უცბად, ერთ მშვენიერ დღეს, დადგა ის დრო, მე და ჩემს სამშობლოს ძალიან რომ გეჭირდებოდა, უფალმა კი წყალობა მოილო და ანგელოზმაც მაკოცა შუბლზე... რა თქმა უნდა, ჩემი წარმატება, მრავალს გაუხარდა. თუმცა, მრავალმა შოკიც მიიღო. ხომ იცით, ადამიანური თვისებაა შური. ჩემი ზოგიერთი ნაცნობი ლამის გაგიჟდა, ნეტავ, რა დაემართა ამ გოგოსო?... ეს კითხვა ზოგმა დამისვა, ზოგმა თავი შეიკავა, მაგრამ გაიბერნენ, ცხვირები ჩამოუშვეს და ცუდ გუნებაზე დადგნენ.

ძველი მეგობრები, რომლებსაც გული წყდებოდათ: თინიკო ყველაზე ნიჭიერი იყო ჩვენ შორის და თავი ვერაფერში რატომ ვერ გამოიჩინაო, გაოგნდნენ... იმ პერიოდში, ჩემს სამეგობროს ატომური ბომბივით მოვევლინე, ვულკანივით ამოიფრქვა ჩემგან პოეზია. ეს იყო საოცრებაა! ჩემი ცხოვრების მანძილზე რაც წამიკითხავს, რაც მიფიქრია, რა სანუხარსაც ვატარებდი, ყველაფერი რითმებად, ლექსებად და, თქვენ წარმოიდგინეთ, ნახატებად იქცა. მოვიდა ისეთი დრო, როდესაც მონოდებები, ხალხთან ურთიერთობა იყო საჭირო. მიტინგებზე პროზით ხომ ვერ გამოხვალ? სამაგიეროდ, ლექსს აქვს უდიდესი ძალა, იმიტომაც სძულთ დიქტატორებს პოეტები და ფილოსოფოსები. ორი სიტყვა: „ხმალი ავლესოთ, ქართველებო, ხმალი ავლესოთ!“, ხომ უკვე შეძახილია?!. ჩემს ლექსებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშის პატივი ერგო!.. ერთხელ, მუხრან მაჭავარიანმა აღნიშნა, და მეც კარგად ვიცი, რომ პოეტებს ათეული წლები სჭირდებათ ყურადღების მისაპყრობად. აღარაფერს ვამბობ ქართველი პოეტის სახელის მოპოვებაზე იმ ქვეყანაში, რომელსაც პოეტების ქვეყნად მოიაზრებენ. ერთ-ერთ სუფრაზე, რომელსაც მუხრან მაჭავარიანი თამადაობდა და, რომელსაც ესწრებოდნენ ელიზბარ ჯაველიძე, სოსო სიგუა, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ლია ელიავა, გოგი ოჩიაური და სხვა პატივსაცემი სტუმრები, **მუხრანმა ბრძანა: თინათინი უნიკალური შემთხვევაა ქართულ მწერლობაში, ვინაიდან, ჩვენ, მამაკაცები, მწერალ ქალს, როგორც ასეთს, საერთოდ არ ვცნობდითო. თინამ კი წელიწადნახევარში მთელ საქართველოს გააცნო თავი, ასეთი რამ საქართველოში არ მომხდარაო.** სხვათა შორის, მუხრანი კომპლიმენტებს არ მაკლებდა, თუმცა, ქება მას დიდად არ უყვარდა. რამდენჯერაც კი შევხვედრივართ ერთმანეთს სუფრასთან (მუხრანი ყოველთვის თამადა იყო, არყით თამადაობდა და ისე ტოვებდა სუფრას, რომ არ შებარბაცდებოდა), ვილაცის ქებას რომ იწყებდა, ყველანი დაჭყეტი-

ლები, დაცქვეტილები ისხდნენ და ფიქრობდნენ: ნეტა, ვის აქებს, ვისი სადღეგრძელოს დაღევას აპირებსო? მოგეხსენებათ, მუხრანმა თავისებური ჩაცინება იცოდა და ასეთ დროს იტყოდა ხოლმე: თინას (არ მსიამოვნებდა ხოლმე ძალიან, მაგრამ, რატომღაც, ასე მეძახდა) გაუმარჯოსო! ეს ჩემთვის დიდი კომპლიმენტი იყო, რადგან მუხრანის ლექსებზე ვარ გაზრდილი და კარგად მახსოვს, ახალგაზრდობაში მის აკრძალულ ლექსებს უბრალო, მარტივ მელოდიაზე როგორ დავამღერებდით ხოლმე, რადგან მთავარი, მელოდია კი არა - მუხრანისეული სიტყვა იყო. გავიდა დრო და **როდესაც მუხრანი მთანმინდაზე დაკრძალეს, მეც მომეცა ლექსის წაკითხვის საშუალება და ჩემ მიერ წაკითხული ლექსის შემდეგ ჩაუშვეს საფლავში...**

ასეთი საოცრება ორჯერ მოხდა ჩემს ცხოვრებაში, რადგან სწორედ ჩემი ლექსების ფონზე ამოივსო მიწით ქაქუცა ჩილოყაშვილის საფლავიც. ეს ამბავი კი ასე მოხდა: ოფიციალურად თავისი „საქმე“ გააკეთა და პურმარილის მისაღებად წაბრძანდნენ... **ბოლოს ჩვენ, გულანთებულ შინდისფერდროშიან ქართველებს, დაგვრჩა ქაქუცა ჩილოყაშვილის ცხედარი. დაუვინყარი წუთები იყო. მე ვიდექი საფლავთან, თავზე შინდისფერი დროშა დამფრიალებდა. ვკითხულობდი ეროვნულ ლექსებს, ხოლო ლევილიდან გადმოსვენებულ დიდ ქართველ მეომარს მთანმინდის მიწა ეყრებოდა გულზე.**

- გისმენთ და გაცეხებული გახლავართ - შეიძლება ითქვას, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან არ მომხდარა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, თქვენ რომ გულისგულში არ ყოფილიყავით. იყავით მონაწილე ეროვნული მოძრაობის აღმასვლის და საკუთარ თავზე განიცადეთ მის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის ტრაგიზმი. თქვენი ბიოგრაფია იმდენად მრავალფეროვანია, ისტორიის მატყანედაც კი გამოდგება...

- გეთანხმებით, ერთმა ახლობელმა, რომელსაც, რასაკვირველია, აქვს თავისი ისტორიები (ჩვეულებრივ, ცხოვრებისეულ ისტორიებს ვგულისხმობ), ჩემი ცხოვრების ძნელებელობის უამს მითხრა: რომ იცოდე, რა ბედნიერი ხარ, რა საინტერესო, დრამატული ცხოვრება გაქვს: წარმატებები, პატიმრობა, აღმაფრენები, დევნილობა, „მაგარი“ ცხოვრებით ცხოვრობ, ცოტა გიჟურიც კი არის, მაგრამ, გამოგიტყდები, მშურს შენო!.. შეშურდებათ აბა, რა (იცინის)! **ხან დედოფლის ტიტული მომანიჭეს, ხან წმინდა ნინოს ორდენის კავალერი**

გამხადეს, ხან მოოქროვილი „ბატის ფრთა“ გადმომცეს, პოეზიის შერიფი, ქალღმერთი მინოდეს, ხოლო პროფესორმა მარინე გოგორიშვილმა თავად რუსთაველის თინათინს შემადარა: „ხელისგულზე სატარებელი პოეტი გვყავს თანამედროვე საქართველოში. ისეთი ასოციაცია მიჩნდება, თითქოს, რუსთაველი, პოეზიის ეს მარადიული მეფე, თავისი სულიერი ქალიშვილის, თინათინ მღვდლიაშვილის, მომავლის პოეზიაში გამეფებაზე წინასწარმეტყველებს თინათინის კორონაციის უმშვენიერეს დასაწყისში (ლიტერატურული რემინისცენციებისთვის ვერავინ განმსჯის). ეს დიდი თინათინია!..“

- თინათინ მღვდლიაშვილზე ბევრი გვსმენია, უამრავ ღირსეულ ადამიანს სათანადოდ შეუფასებია თქვენი შემოქმედება, მაგრამ საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ბატონი ზვიად გამსახურდიას სიტყვებს, ვფიქრობთ, განსაკუთრებული ფასი უნდა ჰქონდეს. „დაიმახსოვრეთ, ეს გოგონა თინათინ მღვდლიაშვილია, ქართული პოეზიის მომავალი მშვენება და ვარსკვლავი!“ - წლების წინ ზვიად გამსახურდიას წინასწარმეტყველება, რომელიც ახდა, პირველად ბატონმა ვახტანგ გაჩეჩილაძემ გააცნო საზოგადოებას...

- ბატონი ვახტანგ გაჩეჩილაძე გახლავთ კეთილშობილი, დიდებული ადამიანი, რომელიც ამქვეყნად ჩემს საქებრად დაიბადა. ვინმეს რომ ეხვეწო, ფული რომ გადაუხადო, ამდენს ვერ შეძლებს. შეიძლება, ახლა, მე და თქვენ რომ ვსაუბრობთ, ის სადღაც მაქვს. მოკლედ, გიყდება ჩემზე და ჩემს პოეზიაზე. საერთოდაც, გიყდება თინათინ მღვდლიაშვილზე. ოპერაციას რომ მიკეთებდნენ, დერეფანში ოთხი საათი დარბოდა, ვერ ისვენებდა... ვინაიდან პროფესიით ექიმი გახლავთ, მოახერხა და ჯერ კიდევ ნარკოზში მყოფი მნახა.

რაც შეეხება ბატონი ზვიადის სიტყვებს... შარშან, ჩემს შემოქმედებით საღამოზე, რომელიც სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრში გაიმართა, ბატონი ვახტანგი სცენაზე ყავარჯნებით ამოვიდა (ავლანეთის ომისდროინდელი ტყვია ამოუღეს მუხლიდან) და დარბაზს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ნათქვამი სიტყვები კიდევ ერთხელ შეახსენა. უნდა აღვნიშნო, რომ ადრე არავის უთქვამს ეს ჩემთვის. სამწუხაროდ, ადამიანებს ენანებათ კარგი ამბის მოტანა, ცუდ ამბავს, კი, იცოცხლებ, სასწრაფოდ მოგახლიან და გულს გაგიხეთქავენ! საქმე ის არის, რომ ჩემ შესახებ ბატონი ზვიადის

ნათქვამი ტექსტი თავის დროზე მრავალმა გაიგონა და ბატონი ვახტანგის მიერ ამ ამბის გახმაურების შემდეგ მითხრეს: ჩვენც იქ ვიყავითო. ხვდებით, ალბათ, რასაც ვგულისხმობ! ძალიან მიყვარს ბატონი ვახტანგი, რადგან ჩემი სათაყვანებელი პრეზიდენტის ტექსტი შემომინახა და ბიოგრაფია გამილამაზა. ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ უთქვამს ჩემზე ბატონ ზვიადს. თან, პირველად ეს სიტყვები, იცით, სად მომასმენინა ბატონმა ვახტანგმა? არც მეტი, არც ნაკლები - ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ზვიად გამსახურდიას საფლავებთან, მთანინდაზე! იმ დღეს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავთან, მეცნიერებთან, მწერლებთან და სხვა საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, მეც ვიყავი მინვეული. სიტყვა მისცეს ჭაღარა, სიმპატიურ კაცს. გამოაცხადეს - მოგესალმებათ ცნობილი ექიმი, ოფთოლმოლოგი ვახტანგ გაჩეჩილაძეო. მოულოდნელად, ჩემთვის ეს სრულიად უცნობი მამაკაცი მომიტრიალდა და ბრძანა: ნება მომეცით, ვიდრე ქაქუცას ღვანლს შევეხები, ამ ხუჭუჭთმებიან გოგონაზე ვთქვა ორიოდ სიტყვაო. გამიკვირდა, ვიფიქრე, ნეტავ, ხუჭუჭთმიანი სად მიხილა-მეთქი? და სწორედ მაშინ გააჟღერა პირველი პრეზიდენტის სიტყვები: **„დაიმახსოვრეთ, ეს გოგონა თინათინ მღვდლიაშვილია, ქართული პოეზიის მომავალი მშვენება და ვარსკვლავი“**. სიმართლე გითხრათ, ამ ამბავმა ძალიან გამახარა. ვიცოდი, რომ ბატონი ზვიადი პატივს მცემდა, ჩემი ქართველობა და პოეზია უყვარდა, თინიკოდ მომიხსენიებდა (არც თინათინად, მით უფრო არც თინად, რაც ძალიან არ მიყვარს), მაგრამ, თუ ასეთ მაღალ შეფასებას აძლევდა თინიკო მღვდლიაშვილს, ნამდვილად არ ვიცოდი. საერთოდ, საზოგადოებას მცდარი ინფორმაცია ჰქონდა ჩვენი ურთიერთობის შესახებ. ეგონათ, რომ ახლოს ვიცნობდით ერთმანეთს. მაგრამ, ჩემი ხასიათი რომ სცოდნოდათ, მიხვდებოდნენ, რომ მას შემდეგ, რაც ზვიად გამსახურდიას ლექსები მივუძღვენი, ახლოს არ გავეკარებოდი. ძალიან მცხვენოდა გამსახურდიასი. ჩემი პირველი წიგნი - „და შინდისფერი ვწერე ლექსები“ რომ დაიბეჭდა (წიგნების დაბეჭდვა ომის ქარცეცხლში დამებედა), მთავრობის სახლში მივედი და წიგნი პრეზიდენტს პირადი დაცვის მეშვეობით ავუგზავნე. იქ რაც მოხდა, ყველაფერი დაწვრილებით ვიცი, რადგან პრეზიდენტის კაბინეტში იმყოფებოდა ჩემი უმცროსი მეგობარი, თვითმფრინავის საქმეზე დახრეტილი ბერის, მამა თევდორეს (თემურ ჩიხლაძის), ქალიშვილი ეკა ჩიხლაძე, და აი, სწორედ მაშინ მოახსენეს ბატონ ზვიადს, რომ თინათინ მღვდლიაშვილმა ეს პატარა

წიგნი გამოგიგზავნათ. ბატონ ზვიადს ეგონა, რომ მე, იქვე, მისაღებ ოთახში ვიყავი და იკითხა:

- აქ არისო? - ალბათ, გაუხარდა, რომ, როგორც იქნა, მოვიდაო. ეკამ მითხრა, დაცვის უფროსი შეკრთა, ისე დარწმუნებით მოგიკითხაო.

- არა, უბრალოდ, წიგნი გამოგვატანა და წავიდაო, - უპასუხა მან. ზვიად გამსახურდიამ ილია მართლის საზოგადოების წევრი, გია ჩხიკვაძე მოიხმო და ჰკითხა: თინათინ მღვდლიაშვილს იცნობო?

- ვიცნობო, - უპასუხა ჩხიკვაძემ.

- წარმოგიდგენია, მოსულა, წიგნი დაუტოვებია და კი არ ამოსულა, წასულაო, - ჩაიციხა თურმე პრეზიდენტმა (ჩემი ხასიათი ამოცნობილი ჰქონდა, რაც განსაცვიფრებელია, რადგან გამსახურდიამ ახლო ურთიერთობისა და კონტაქტის გარეშე შეიცნო ჩემი ბუნება... რაც, რასაკვირველია, მის დიდ გონიერებაზე მეტყველებს).

- გამოდის, რომ არასოდეს შეხვედრიხართ პირადად ბატონ ზვიად გამსახურდიას?

- როგორ არა, ადრე გვექონდა წამიერი შეხვედრა. თურმე, მერაბ კოსტავაც ნანახი მყოლია, უბრალოდ, მე ფიზიკურად არ ვიცნობდი მერაბს. მერაბი თეთრთმიანი იყო, ზვიად გამსახურდია - შავთმიანი. გენეტიკურად იყო მერაბი ნაადრევად გაჭალარავებული, ამიტომ კოსტავა ვერ ამოვიცანი.

- როდის და სად შეხვდით ერთმანეთს?

- თუ არ ვცდები, 1976 წელი იყო. ქაშვეთის ეკლესიაში, ლიტონიობის დამთავრების შემდეგ, ტაძრის ჭიშკართან დაგვაპატიმრეს „კომკავშირული ასაკის“ ახალგაზრდები და კინო „რუსთაველში“ დასაკითხად მიგვიყვანეს. ჩვენ გარდა უამრავი ადამიანი ჰყავდათ მოყვანილი, მათ შორის, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა... კინოთატრის დირექტორის კაბინეტში რომ შემეყვანეს, გავოგნდი! სავსე იყო კომკავშირის ცეკასა და უშიშროების თანამშრომლებით. იქვე ბრძანდებოდა ერთი დაბალი, საკმაოდ შეუხედავი ქალი, რომელმაც ჩემი ფოტოსურათის გადაღება ერთ-ერთ თანამშრომელს თვალით ანიშნა, რომელიც სასწაულებრივად ჰგავდა გივი ბერიკაშვილს (იციინის). აი, ამ ქალის გრიმასმა, წყობილებიდან გამომიყვანა.

იცით, მაშინ რას აკეთებდნენ? ქუჩებში, ტროლეიბუსებსა და ავტობუსებში კიდედნენ გრძელთმიანი ახალგაზრდების, ან ეკლესიებში მლოცველი ახალგაზრდების ფოტოებს, რომელთაც აშარჟებდნენ. მაგალითად, დიდ თავს პატარა ტანს მოაბამდნენ, და ასე, ტრანსპორტით დაარბენინებდნენ აქეთ-იქით: აი, ვინ არცხვენს ჩვენს ქვეყანასო! ქუჩაში მრავლად იყო ამგვარი სტენდები. ეს რომ გავიაზრე, ნამდვილი ომი ავტეხე! უცბად, კარები შავგვრემანმა, ხუჭუჭთმიანმა, ახალგაზრდა მამაკაცმა შემოხსნა და, დამშვიდდო, მითხრა. წარმოგიდგენიათ, ეს ახალგაზრდა, ხუჭუჭთმიანი მამაკაცი, რომელსაც შავი როლინგი და შავი ტყავის ქურთუკი ეცვა, თურმე, ზვიად გამსახურდია ყოფილა?!. ზვიადს სასწრაფოდ დაატოვებინეს ოთახი და ბრძანეს: ეს გამსახურდიაა, მაგას მერე დავკითხავთ და მივხედავთ კიდეცო! სამწუხაროდ, „მიხედეს“ კიდეც, რადგან სწორედ იმ დღეს, ჩვენ თვალწინ დააპატიმრეს საქართველოს ორი ეროვნული გმირი - მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია... (წლების შემდეგ ბატონმა ზვიადმა ჩემი სახელი და გვარი იატაკქვეშეთის ჟურნალში - „ოქროს საწმისსა“ თუ „მომამბუში“ მოიხსენია). სიმართლე გითხრათ, ზოგიერთი მოვლენა კარგად არ მახსოვს, რადგან ძალიან აღელვებული ვიყავი. მე, ახალგაზრდა, ამაყ გოგონას ვილაც უცნობი კაცები მეჩხუბებოდნენ, მიყვიროდნენ, ხელებს მიქნევდნენ! კინალამ გავგვიჟდი, ესენი ვინ არიან-მეთქი?!

- აგაფეთქებთ-მეთქი სუყველას! - ვყვიროდი.

- გიჟიანო, - ამბობდნენ, ალბათ, იმიტომ, რომ იმ პერიოდში რუსთაველის პროსპექტზე რაღაც დივერსიული აქტი მოხდა და პირველი სამუალო სკოლის ფანჯრები ჩაიმსხვრა. იმავე პერიოდში დაინვა ოპერის თეატრი (რასაც, სამწუხაროდ, მე და ჩემი მეგობრებიც შევესწარი), და ამ დროს, ვდგავარ მათ წინაშე და ვიმუქრები: ვის ელაპარაკებით, აგაფეთქებთ ყველას-მეთქი! არადა, რისი ან ვისი ამფეთქებელი ვიყავი?! უბრალოდ, გადავირიე:

- თქვე გაუნათლებლებო, ის მაინც თუ იცით, ქვაშვეთის ტაძრის ჭერზე, სადაც დამიჭირეთ, რა არის მოხატული, ან ვინ მოხატა-მეთქი? - მოკლედ, ერთ ამბავში ვიყავი, არადა, თურმე, ცეცხლს ვეთამაშებოდი. ვის ველაპარაკებოდი, ვილაც მხეცებს - უშიშროებას, პოლიციას, კომკავშირის ცეკას უსულგულო თანამშრომლებს?!. დიახ, სამწუხაროდ, მე მერაბისა და ზვიადის დაპატიმრებასაც შევესწარი, მოთქმით ვტიროდი, ძლივს მაკავებდნენ, თურმე, მეგობრები...

- ქალბატონო თინათინ, როგორც ვიცი, უცნაური ამბავი შემთხვევით იმ ფოტოსურათთან დაკავშირებით, რომელიც თქვენი ნებართვის გარეშე გადაგიღეს?

- ო, ეს, მართლაც, ძალიან საინტერესო ამბავია. გინდ დაიჯერეთ, გინდ - არა: ერთ მშვენიერ დღეს ჩემი „ნებართვის“ გარეშე გადაღებულმა ფოტოებმა, ჩემივე სახლში ამოყვეს თავი. ეს ამბავი კი ასე მოხდა: ჩვენი დაპატიმრებიდან გარკვეული დროის შემდეგ, რუსთაველის პროსპექტს მიუყვებოდა ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი, რომელიც, სრულიად შემთხვევით მოხვდა ლიტონიობის ღამეს დატრიალებულ გაუგებრობაში, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ იმ საბედისწერო საღამოს ჩემს დაბადების დღეზე იმყოფებოდა. შემდეგ, მოულოდნელად, ჯერ ქაშვეთის ეკლესიაში ამოყო თავი, შემდეგ კინო „რუსთაველში“, სადაც, ვილაც სამინელი ადამიანები წითელ კვერცხებს და პასკებს გვესროდნენ, გვემუქრობდნენ და ბოლოს, თვით გამსახურდიასა და კოსტავას დაპატიმრებასაც შეესწრო (მოკლედ, ბედი უნდა ყველაფერს!). ჰოდა, მოულოდნელად, შეაჩერა ვილაც ახალგაზრდა ხალიანმა კაცმა და ჰკითხა, თქვენთან ერთად გოგონა რომ იყო, თინიკო, მისი მისამართი მომეციო. რასაკვირველია, ჩემს მეგობარს შეეშინდა და მისამართს არ უმხელდა: იმ საღამოს შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს და არაფერი ვიცით. ხალიანმა უთხრა:

- ჩვენს სამსახურში ძველი „სტენდია“ ჩამოსახსნელი, ჰოდა, იმ სტენდზე თქვენი ისეთი ფოტოსურათებია გამოფენილი, მსგავსს ვერსად ნახავთ, კინოფილმის კადრებს ჰგავს, ასე რომ, მისამართი მომეცი, თორემ ფოტოსურათებს დაკარგავთო. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, სახლში, პლენხანოვზე, მომივიდა თხელი მუყაოს კონვერტი, რომელსაც ზედ არაფერი წარწერა არ ჰქონდა, უბრალოდ, მუყაოს კონვერტი იყო, რომელშიც ორი ფოტო იყო მოთავსებული. ასეთი რამ გაგიგიათ? გამოდის, რომ „კაგებესაც“ ჰქონია იუმორის გრძნობა?! რას წარმოიდგენდნენ, რომ გავიძოდა ოცი წელი და ამ ფოტოსურათებს პრესაში გამოვაქვეყნებდი!.. მაგრამ, მოხდა გაუთვალისწინებელი რამ - 1993 წელს ერთ სანდო ქალბატონს ფოტოსურათები გაზეთ „საქართველოს სამრეკლოს“ რედაქტორთან, ბატონ ელიზბარ ჯაველიძესთან გავატანე. სამწუხაროდ, ორი ფოტოდან ერთ-ერთი, ჩემთვის უმნიშვნელოვანესი ფოტო, დაიკარგა. მხოლოდ ერთი ფოტო დამრჩა, რომელშიც, უბრალოდ, პოლიციელი

მადგას თავს, რაც, ნაკლებად მნიშვნელოვანია. დაკარგულ ფოტოზე კი ის ადამიანები იყვნენ ჩამონიკნიკებულები, რომლებმაც ჩვენ დაგვაპატიმრეს. მე ამ ფოტოს ცენტრში ვიდექი - ახალგაზრდა, ლამაზი, დაუმორჩილებელი, მამაცი, აბა, გული როგორ არ დამწყდება? მართალია, ფოტო გაზეთ „საქართველოს სამრეკლოში“ დაიბეჭდა, მაგრამ პატარა მასშტაბით, რომელიც ძალიან ძნელად იკითხება. სხვათა შორის, ამ პუბლიკაციასაც უსიამოვნო ისტორია მოჰყვა: ერთ-ერთი „პარლამენტარი პოეტი“ პარლამენტის სხდომაზე წამოდგა და ჩემი დაპატიმრება მოითხოვა - აქაოდა, სახლში, უსაფრთხოდ, რატომ ბრძანდება, წესით და რიგით, ციხეში უნდა იჯდეს, რადგან ედუარდ შევარდნაძეს „კავკასიის ჟანდარმი“ უწოდაო!.. მართლაც, საოცარია ცხოვრება! გავიდა წლები და ეს პოეტი, სადაც კი გადამეყრება ხოლმე, ცდილობს, რომ ჩემ გვერდით დაიმკვიდროს ადგილი!.. ხოლო მისი ნამოქმედარი კი, უფალმა განსაჯოს!.. ერთი კია, პოეტმა მამაკაცმა ახალგაზრდა პოეტი ქალის დაპატიმრება გულშიც რომ გაივლოს, ხმამაღლა, ამის შესახებ, როგორ უნდა განაცხადოს?! რაც შეეხება მის სურვილს, რომ ჩემს სიმაღლეზე დადგეს, სრულიად გამორიცხულია!

- თქვენ დამსახურებული წარმატება, დიდი სიყვარული, აღიარება გხვდათ წილად. ეს, ბუნებრივია, მტრებს მოგიმრავლებდათ. როგორც კი ამის საშუალება მიეცათ და ძალაუფლება იგრძნეს, მწერალი თინათინ მღვდლიაშვილი არ დაინდეს, არც როგორც შემოქმედი, არც როგორც ადამიანი. გაუსაძლისი ტკივილებისთვის გაგიმეტეს. კარგად იცოდნენ, რომ ჭეშმარიტ ხელოვანთან და მამულიშვილთან ჰქონდათ საქმე, ვფიქრობთ, სწორედ ამიტომ იყვნენ განსაკუთრებულად სასტიკები. საკუთარ თავზე გამოსცადეთ დიდი შემოქმედის ნაბრძანები: „დიდი კაცი თუ გამოგვერია, ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვაეები“.

- დიას, ჭეშმარიტად ასე იციან საქართველოში - ჯერ ზეცაში აგაფრენენ და მერე, დიდი სიმაღლიდან მიწაზე დაგანარცხებენ!.. (ყოველ შემთხვევაში, ეცდებიან მაინც...). 90-იან წლებში წარმატება, პოპულარობა და ხალხის სიყვარული, ერთბაშად, ქარიშხალივით დამემხო თავს. საქართველომ უცბად, ელვის სისწრაფით, გამიცნო. თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთის პირველ გვერდზე ჩემი ლექსი, ან ფოტოსურათი იბეჭდებოდა. ისე ვიყავი გათამამებული, რედაქციებ-

შიც არ მივდიოდი, რედაქტორებს ლექსებს ტელეფონით ვკარნახობდი. ასეთი რამ გასმენიათ? ქუჩაში ქალაღი რომ დამეგდო, აუცილებლად გავრცელებოდა. მუდმივად მირეკავდნენ ცნობილი კომპოზიტორები, თითქოსდა, ჩემ გარდა ლექსს არავინ წერდა. მავანთ ეგონათ, რომ მე პრეზიდენტის ფავორიტი ვიყავი, ჩემი დრო მოვიდა!.. ლმერთო, რა მედროვეები ყოფილან ადამიანები!.. თურმე, ადამიანებს საერთოდ არ ვიცნობდი. ისეთი კრიტიკოსები მეგებოდნენ ფინანდაზად, ერთ კეთილ სიტყვასაც რომ ვერ გააგებინებდა მწერალი (ივინის). მინვევდნენ სხვადასხვა დარბაზში, მჩუქნიდნენ ყვავილებს, კომპლიმენტებით მაცვებდნენ და, ერთ მშვენიერ დღეს, იმავე ადამიანებმა სასიკვდილოდ გამიმეტეს. **ჩვენ მამების თაობამ გავვწირა, დიახ, მამების თაობამ! შემდეგ, იმავე თაობამ, თბილი სკამების მოსაპოვებლად, თავიანთი შვილები განირა - ისე, უბრალოდ, იარაღით გამოაგდეს რუსთაველზე თავიანთი შვილები, თუმცა, დარწმუნებულები იყვნენ კი, რომ ცოცხლები დაუბრუნდებოდნენ?** წლების შემდეგ ერთ-ერთი ცნობილი პუტჩისტის შვილს გადავეყარე, რომელმაც მითხრა: ჩვენი მამები ჩირგვებში, კურდღლებივით ჩასხდნენ და შვილები ქუჩებში იარაღით გამოგვყარეს, რომ საქართველოს პრეზიდენტისთვის - კურდღელო! კურდღელო! - გვეძახაო (სხვათა შორის, ამ ახალგაზრდა ბიჭმა, ჩემ მიმართ ჩადენილი მამის ცოდვა იმით გამოისყიდა, რომ 500 ცალი პატარა ბუკლეტი: „ლურჯი იების ვატერლოო“ უვერცხლოდ, ანუ უფასოდ დამიბეჭდა...). მოკლედ, 90-იან წლებში წარმატების ზენიტში ვიყავი. ბატონმა გურამ ფანჯიკიძემ წიგნის გამოცემა შემომთავაზა (სამწუხაროდ, პუტჩამდე რამდენიმე თვით ადრე, ამ წიგნის გამოცემა აიკრძალა, თუმცა, მაკეტი უკვე მზად იყო. ეს მაკეტი ლადო ასათიანის დამ, მედეა ასათიანმა, გამომცემლობიდან „მოიპარა“ და მე გადმომცა, მითხრა, შენს ბიოგრაფიას წაადგებაო), ბატონი თამაზ წივნივაძე, რომლისგანაც შექებას მრავალი ნატრობდა, ხოტბას მასხამდა. კრიტიკოსმა კობა იმედაშვილმა, ჯერ იყო და, ერთსაათიანი გადაცემა მომიწყო რადიოში, შემდეგ უზარმაზარი წერილი გამოაქვეყნა ჩემი შემოქმედების შესახებ, სადაც აღნიშნა, რომ 9 აპრილის უპირველესი შედეგი თინათინ მღვდლიაშვილის ქართულ პოეზიაში დამკვიდრებააო... **იციო, ჩემი ცხოვრება ერთგვარ ზღაპარს დაემსგავსა. მე ვიყავი კონკია, რომელმაც ბროლის ქოში იპოვა...** და, უცბად, სამხედრო გადატრიალება, ხელისუფლების დამხობა, პუტჩი!.. **საქართველოს თავისუფლების მზე რუსთაველის პროსპექტზე ჩაესვენა. თავისუფალ საქართველოს,**

როგორც, ახალდაბადებულ ჩვილს, აკვანშივე ჩასცეს მახვილი, სწორედ ისევე, როგორც შიდა ქართლში, სოფელ ფრისში, აკვანში დაახალა ტყვია ბიძამ ცხრა თვის პაატა ნიკორიშვილს, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ დედით ქართველი იყო. ქვეყნიდან განდევნეს საქართველოს პირველი პრეზიდენტი, უზენაესი საბჭო. დახვრიტეს მშვიდობიანი მანიფესტანტები, ციხეებში აწამეს ათასობით ქართველი... მოკლედ, საქართველოს ზედ დააკლეს თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერი!.. თბილისის ქუჩებში, შემდეგ კი დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში, დაღვრილი სისხლი არასდროს წაიშლება ხალხის მეხსიერებიდან. დიახ, ასე მოხდა - ესროლეს ზვიადს და მოარტყეს საქართველოს!..

- ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის, მართლაც, უმძიმეს პერიოდზე საუბრობთ. პერიოდზე, რომელიც ყველას შეეხო, მაგრამ, განსაკუთრებით თქვენ, ვინც სულდგმულობდით ქვეყნის ბედით და აქტიურად იბრძოდით მისთვის. სად და როგორ ცხოვრობდით იმ მძიმე დროში?

- 1993 წლის სექტემბრის თვეში მე სამეგრელოში, კერძოდ, ზუგდიდში, გავემგზავრე, სადაც 2 სექტემბერს მოენყო უზენაესი საბჭოს სესია, რომელზეც გადაწყდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი გროზნიდან უნდა დაბრუნებულიყო. ამ სესიაზე სტუმრის სტატუსით ვიყავი მიწვეული, თუმცა, რატომღაც, სესიას არ დავესწარი... რალაც უცნაური, გაურკვეველი შიში და წინათგრძნობა მიღრღნიდა სულს.

შემდეგ კი, უცბად, ფეხი დავკარი და პრეზიდენტის ჩამოსვლამდე ორი დღით ადრე თბილისში დავბრუნდი. ეს გახლდათ ჩემ მიერ დაშვებული ერთ-ერთი სერიოზული შეცდომა. გამოგიტყდებით, ზუგდიდში გავრცელებული სხვადასხვა ხმების მიუხედავად, პრეზიდენტის დაბრუნებას მაინც არ ველოდი, რადგან ლალატის სუნს ვგრძნობდი... მაგრამ, ბატონი ზვიადი ხომ გმირი გახლდათ? გმირები უკან არ იხევენ! შეიძლება ითქვას, რომ მე, მიუხედავად ჩემი გონიერებისა, მოვლენები სწორად ვერ ამოვიცანი... თბილისში ჩემი დაბრუნების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ხელნაწერებისა და ნახატების გადარჩენა იყო... მე კი, მოულოდნელად, საკანში, მიქვლად ამოვყავი თავი. მოკლედ, ჩემმა ხელოვნებამ ჩამომიყვანა თბილისში. ვფიქრობდი, ხელნაწერებს მეზობლებთან გადავმალავ-მეთქი. ვერ წარმოიდგენთ, რამდენჯერ მითრევია ეს ყუთები მეზობლებთან.

ასეა თუ ისე, სამწუხაროდ, კვლავ ავცდი ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრას.

- **„ყელში ერრებათ ჩემი სახელი,
ჩემი სათქმელი, ჩემი ხსენება...
გამომიტანეს მძიმე სასჯელი, -**

ცოცხლად სიკვდილი და გასვენება!..“ - წერო ლექსში „საქართველოში სჯიან ავაზებს“ და რამდენიმე სტრიქონში ყველაფერია ნათქვამი. მაგრამ სძლიეთ განსაცდელებს და არა მარტო ცხოვრება გააგრძელებთ, არამედ არ უღალატებთ პრინციპებს, არ შეიცვალეთ მრწამსი, რაც მთავარია, არ გაბოროტდით. ლექსში „შემოქმედება“ ბრძანებთ:

**„მე ღირსეულად ვეგებები ყველა განსაცდელს,
რადგან მფარველობს ჩემი ჯვარი — შემოქმედება“.**

როგორც წესი, ხელოვანი ადამიანები შემოქმედებას ტვირთად და მძიმე ჯვრად მიიჩნევენ, რომელიც ღირსეულად უნდა ზიდოთ. თქვენთვის ის მფარველი ჯვარია. როგორ დაგიცვათ თქვენმა შემოქმედებამ?

- **უპირველესად, უფალმა და, შემდეგ, ჩემმა შემოქმედებამ, ფიზიკურად დამიფარა, რადგან ჩვენი მწვალებელი ბიჭები მაინც ქართველები იყვნენ და ჩემს პოეზიასაც კარგად იცნობდნენ.** მიუხედავად ამისა, მათი ენით აღუნერელი სისასტიკე მრავალგზის ვინვნიე... შარშან გამოიცა ჩემი ახალი წიგნი - „მთელი თბილისი ციხეშია, ანუ საკანი №7“, რომელშიც, შეძლებისდაგვარად, აღვწერე ჩემი პატიმრობის ათი, უმძიმესი დღე. თავდაპირველად ამ მოთხრობის ნაწყვეტებს გაზეთ „საქართველოს სამრეკლოში“ ვბეჭდავდი, რომლის რედაქტორიც, როგორც მოგახსენეთ, ბატონი ელიზბარ ჯაველიძე გახლდათ. დროთა განმავლობაში მასალა გაიზარდა და ისეთი პლასტიკური ფორმა მიიღო, რომ, თუ მომესურვება, ჩვენი დღევანდელი შეხვედრა და ინტერვიუც შემიძლია ჩავრთო. თუმცა, მატერიალური შეჭირვების გამო, ჩემს ოცნებებს ჯერჯერობით ვერ ვახორციელებ... ბევრი რომ არ გავაგრძელო, საბოლოო ჯამში, ჩემი ნამუშევარი, ავტობიოგრაფიული წიგნის სახეს მიიღებს, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩემს თავს დატეხილი განსაცდელი, რა მოსატანია იმ შეურაცხყოფასთან და წამებასთან, რაც სხვა პოლიტპატიმრებმა გადაიტანეს. მეუხერხულეა ამის თქმა, მაგრამ პატიმრობის ჟამს მამაკაცად ყოფნას, ქალად ყოფნა ჯობდა, ვინაიდან, მამაკაცებს განსაკუთრებული სისასტიკითა და ცინიზმით ეპყრობოდნენ,

ხოლო ძალადობა, რომელიც, შესაძლოა, ქალმა გადაიტანოს, მამაკაცისთვის, უბრალოდ, მომაკვდინებელია...

მე და ჩემი ახლობლები, **კომენდანტის საათის დარღვევის ბრალდებით**, დაგვაპატიმრეს 1993 წლის 4 ოქტომბერს, დაახლოებით საღამოს ხუთ საათზე, ჩემს სახლში, ყავის სმის დროს და უშიშროების სამმართველოში მიგვაბრძანეს. დაპატიმრებულებიდან ჩემ გარდა ყველა გაათავისუფლეს, მე კი ჩუღურეთის რაიონის პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში გადამიყვანეს. საოცარი კი ის გახლავთ, რომ კომენდანტის საათი 5 ოქტომბერს გამოცხადდა, **მე კი „მოვახერხე“ და კომენდანტის საათი კომენდანტის საათის გამოცხადებამდე ერთი დღით ადრე დავარღვიე! აი, ასეთი მოხერხებული, მოუხელთებელი და სპორტული პოეტი გახლავართ** (იციინის). ექვსი დღის პატიმრობის შემდეგ, გვიან ღამით, როგორც დაუმორჩილებელი პიროვნება, სამხედრო კომენდატურის №7 საკანში, ანუ ჰაუპტგახტში ჩამსვეს. კაცმა რომ თქვას, სად უნდა მოეთავსებინათ ცნობილი ლექსის - „ხმალი ავლესოთ, ქართველებო“, ავტორი (იციინის)? რასაკვირველია, სამხედრო კომენდატურაში!.. როგორც ადრე გითხარით, მე სამხედრო მოსამსახურის ოჯახში დავიბადე. თვალი რომ გავახილე, პირველი მამაკაცი, რომელიც დავინახე, ქართველი სამხედრო, ანუ მამაჩემი გახლდათ. წლები გავიდა და ჩემი „გასამხედროებული“ პოეზიის გამო, სამხედრო კომენდატურაში მიმაბრძანეს, რაც სრულიად ლოგიკურად მიმაჩნია (იციინის). საოცარია ცხოვრება! სამი წლის წინათ, სრულიად მოულოდნელად, საავიაციო ბაზაზე მიმიწვიეს, რათა ჩემი ლექსებით გამემხნევებინა და გამეძლიერებინა ქართველი სამხედრო მფრინავები. **ვიდექი, სამხედრო კომენდატურაში „ნაჯდომი“ ქართველი პოეტი, ქართული ჯარის წინაშე და იმ ლექსებს ვკითხულობდი, რომელთა გამოც 1993 წელს კინალამ დამხვრიტეს.** ლექსების წაკითხვის შემდეგ გენერალ ვახტანგ კაპანაძეს ვთხოვე, სამხედრო ქუდი და ოფიცრის წოდება მიბოძეთ-მეთქი. გენერალმა ამათვალიერ-ჩამათვალიერა და მითხრა: ქალბატონო თინათინ, თქვენ ოფიცერი კი არა, პოეზიის გენერალი ბრძანდებითო. აი, ასეთი უცნაური და მრავალფეროვანია ცხოვრება. სამხედრო კომენდატურაში ჩემი პატიმრობის ჟამს, ამას წარმოვიდგენდი? არადა, იმ დღეებში, არა მარტო ჩემი ლექსები, არამედ ქუთაისში დაბადებაც კი კინალამ სიცოცხლის ფასად დამიჯდა.

- კომენდანტის საათის გამოცხადებამდე მისი დარღვევის ბრალდება - ზუსტად ასახავს იმდროინდელ „მართლმსაჯულებას“, თუმცა, რაც ახლა ბრძანეთ, გასაოცარია. ნუთუ, ქუთაისში დაბადება დანაშაულად ჩაგეთვალიათ, ქალბატონო თინათინ?

- რასაკვირველია!.. თბილისში, მინიმუმ მესამე სამშობიაროში, თუ მაინც არ იყავი დაბადებული, ცუდად გქონდა საქმე. **წარმოიდგინეთ, ამ გზაკვალარეულებს ვაჟა-ფშაველა რომ დაეპატიმრებინათ, რა დღეს დააყრიდნენ (იციინის)? იმ პერიოდში ქუთაისში კი არა, საქართველოს ნებისმიერ ქალაქში დაბადება, დანაშაულად ითვლებოდა და მე, თბილისის 55-ე საშუალო სკოლადამთავრებულს, ამას მაპატიებდნენ?..** ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჯერ იყო და ეს „დაუჯერებელი“ ამბავი შეიცხადეს, თავში ხელი შემოირტყეს, ხოლო შემდეგ სამხედრო კომენდანტის მოადგილემ ბრძანა (კომენდანტს იმდენი მოადგილე ჰყავდა, ვერ დაითვლიდით): აქედან გასვლას თუ ელირსები, გინდა ქუთაისში წადი, გინდა ჩხორონწყუში. მეორედ ხელში არ ჩაგვივარდე, თორემ, ვერავინ გიშველის. „პიდისიატ პიატი“ გაქვს დამთავრებული და ქუთაისში რატომ დაიბადეო?!

- **წიგნში, რომელიც თქვენ ახსენეთ, „მთელი თბილისი ციხეშია, ანუ საკანი №7“, ძალიან საინტერესოდ, და, როგორც გჩვევიათ, მაღალმხატვრულად ასახავთ თქვენი პატიმრობის დროს თავს გადახდენილ უძძიძეს ისტორიებს. მკითხველს შევთავაზებთ ორ პატარა ამონარიდს თქვენი დოკუმენტური მოთხრობიდან:**

პირველი ეპიზოდი:

„- ის ლექსი, აღმაშენებელზე რომ არის დანერილი, აი, ის, „მუმლი, მუხასაო, დავით“, მართალა შენია? – მეკითხება „ეო“.

- ჩემია.
- არ ვიცოდი. შენ ჯიმი მაისურაძე გაგიგია?
- მგონი, გამიგია, მაგრამ, სად და როდის, ვერ ვიგონებ...
- ერთხელ, მთელი ღამე ვსვამდით, მე, ჯიმი და კიდევ სხვები. დილით კი „ალიონში“ მივისმინეთ ეს სიმღერა. ჯიმი ნასვამი იყო და ატირდა, მერე ფეხზე წამოდგა და მაგ ლექსის ავტორის სადღეგრძელო დალია. რა თქმა უნდა, ჩვენც დავლიეთ. თურმე, შენი სადღეგრძელო დაგვიღვია... - მეუბნება

და სინანულით აყოლებს, - იმ დღეებში მოკვდა ჯიმი, მისი თვითმფრინავი ჩამოაგდეს...

- სიკვდილამდე ჩემი სადღეგრძელო დალია?
- ასე გამოდის.“

მეორე ეპიზოდი:

- „იცი, ახლა, რა გამახსენა? ერთ-ერთ მიტინგზე, რალაც ლექსი წაიკითხე და, მგონი, ირმები გვინოდე, არა? - მეკითხება „ე-ო“.

- ეს ლექსი ძალადობის წინააღმდეგ, უფრო სწორად, ძმათა ომის წინააღმდეგ დავწერე. კარგი ლექსია. ამ ლექსზე მშვენიერი სიმღერაც შეიქმნა. რა, არ მოგეწონათ? - განცვიფრებას ვერ ვმაღავ.

- მერე? ვინ არის შენი ირემი? — თვალებს ბნელიანივით ატრიელებს „ე-ო“.

- კი მაგრამ, ლამაზები და მამაცებიც ხომ გინოდეთ? მეტი რა გინდათ? - მიკვირს მე.

- როგორ მთავრდება ეგ ლექსი?

- „ჩემო ლამაზებო,

ჩემო მამაცებო,

ჩემო შეცდენილო ირმებო!

დადეთ იარაღი,

დადეთ იარაღი,

დადეთ იარაღი, ბიჭებო!“

- ირმებო, არა? - არ ასვენებს გამჩენი, - თან, არც მეტი, არც ნაკლები, „შეცდენილო ირმებო“, არა?..

- ჰო, ირმებო!

- ირმებო!.. ჰმ!.. მოიცა, მოიცა! ადრე ბოკვრებიც გვინოდე, ხომ? - შარზეა ბიჭი.

- რა კარგად შეგისწავლიათ ჩემი პოეზია?.. დიახ, ჩემი ბოკვრები გინოდეთ.

- როგორ, როგორ?.. აბა, გამახსენე?!

- „ისევ ისვრიან! შეიშალნენ ჩემი ბოკვრები...

თითქოს სიზმრებში დაეკარგათ მტერი ვერაგი,

თითქოს ნისლებში ჩაეკარგათ თეთრი გელათი,

ჯანსაღ სხეულზე შემოისხეს ჯაჭვის პერანგი,

და საოცარი დაჟინებით ხოცავენ ერთურთს!“ - ვიგონებ 1991 წელს დანერილი ლექსის სევდიან სტრიქონებს.

- მერე, ვინ არის შენი ბოკვერი?... ირმები!.. ბოკვერები!.. არ მევასება!.. ვაა, არ მომწონს და, რა ვქნა, - ბუზლუნებს ნაწყენი.

მხრებს ვიჩეჩავ!

არც მე „მევასება“ საკანში ჯდომა, მაგრამ ხომ ვზივარ?“

- **პასუხი ურთულეს კითხვაზე: რა ძალას ფლობს პოეტი, რა ძალუძს შემოქმედ ადამიანს, ვიპოვე თქვენს ულამაზეს სტრიქონებში:**

**„ჩვენ ვაგებთ ქვიშისგან კოშკებს და დარბაზებს,
ვაგროვებთ ბგერათა მარჯნებს და ალმასებს!
ჩვენ ვზეობთ ზვირთების ზეგარდმო განცდებით, -
არც როდის ვიმარჯვებთ! არც როდის ვმარცხდებით!
ჩვენ ვთვრებით ომებით და ვცხრებით კოცონთან,
ჩვენ მეხთატეხებით ვზავდებით კოსმოსთან!
ჩვენ მუდამ გვლენავდნენ ვერაგი მიზნებით!-
ტყვიით და მახვილით, - სიკვდილის მისნებით!..
ჩვენ ზღვაში ვყვინთავთ და ვეძიებთ მარგალიტს,
სიტყვათა იაგუნდს, ძონსა და მალაქიტს!
დავერივართ ცარგვალზე მზისფერი ეტლებით,
არც როდის ვისვენებთ, არც როდის ვბერდებით!
ჩვენ დუელს ვუცხადებთ გრიგალს და ქარაშოტს,
მაგრამ, ჩვენ არ ვკვდებით, სიკვდილთან ვთამაშობთ!“**

ინტერვიუებში აღნიშნავთ და, იგრძნობა კიდევ, რომ ძალიან ფრთხილად, ფაქიზად უდგებით თითოეულ სიტყვას, თითოეულ თემას სწავლობთ და სერიოზულად შრომობთ. ეს ერთი მხრივ. რა არის მეორე მხარეს, როგორ ქმნით, თქვენც მუზები გსტუმრობენ?

- ახლახან, ინტერნეტში წავიკითხე ჩემი სიტყვები მუზებთან დაკავშირებით და ძალიან მომეწონა: **მუზებს არ ვცნობ, რადგან ოფოფები არიან, მე კი ოფოფები არ მყავს-მეთქი. ჩემი აზრით, მუზა დემონურია. კაცმა რომ თქვას, მუზა ვინმეს უხილავს, ან სადმე შეხვედრია?** (იციინის). თუ გნებავთ, საიდუმლოს გაგიმხელთ, **ჩემს შემოქმედებას სამი უძლიერესი წარმმართველი ძალა ქმნის: ღმერთი, გონება და გული.** ეს განსვავთ ჩემი საიდუმლო სამება. მოკლედ, ლექსს მაშინ ვწერ, როდესაც შუბლზე ანგელოზი მკოცნის: მაგრამ ანგელოზები რომ

სშირად არ იკოცნებიან (იციინის)? მხოლოდ უფალმა იცის, რა ხდება პოეტის, ან მუსიკოსის გონებაში მაშინ, როდესაც ის ხელოვნების მისტიკურ მდინარეში გადაეშვება. გინდ დაიჯერეთ, გინდ - არა, ხანდახან თავში ვინმე უცნობი მუსიკოსი ჩამისახლდება ხოლმე და რომელიმე ხალხურ მელოდიას უკრავს... მოკლედ, ის უკრავს, მე ვწერ!.. სულ რამდენიმე ლექსი მაქვს ამგვარად შექმნილი. სამწუხაროდ, მუსიკოსები სშირად არ მსტუმრობენ. მაგალითად, ჩემი ერთ-ერთი უძლიერესი ლექსი - „მტკვარს“, იცით, როგორ დაინერა? თავში ვიღაც მომღერლები „შენ ხარ ვენახს“ გალობდნენ და მეც, ლექსის წერის დროს, ამავე საგალობელს ვლილინებდი. ის კი არადა, ხანდახან, თავში ორკესტრები უკრავენ, მაგრამ ოფოფები მაინც არ არიან. ეს უფალია! კოსმოსია! არ ვიცი, საოცრებაა! სასწაულია! ღვთის მიერ ბოძებული საჩუქარია, ნიჭია! მაინც რა ხდება რჩეულ ადამიანებში, რა ძალა მოქმედებს მათ გონებაზე, ვინ ზრუნავს მათ ნიჭზე, ვინ აწვდის მათ აზრებს? ან რატომ ხდება, რომ ადამიანს, რომელსაც უფალმა უნაგაროდ, უსასყიდლოდ უბოძა ნიჭი, უცბად, მოულოდნელად, აერთმევა ხოლმე. ასეთი მძიმე, ტრაგიკული მდგომარეობა, საკუთარ ტყავზე გამომიცდია - თითქოს მადლი, რომელიც უხვად იფრქვეოდა შენზე, უცბად წყდება, და ამ დროს ისეთი უსუსური, ისეთი საბრალო ხდები, რომ გგონია, თითქოს, ცოცხალ-მკვდარი ხარ, რომ ყველაფერი დასრულდა!.. თუმცა, ასეთ ვითარებაში, შესაძლოა, ენით აღუწერელმა ტრაგედიამ ჩაგაგდოს. სამი თვის წინათ ჩემი უსაყვარლესი, უძვირფასესი დიშვილი - ჯეკო მჭედლიშვილი - დავკარგე. რაჭაში, მივლინებით მყოფი, ათმეტრიანი კლდიდან ადიდებულ მდინარე რიონში გადავარდა და მეც მასთან ერთად ამოვყავი თავი მდინარის ფსკერზე. ამ სამი თვის მანძილზე, ჯეკოს გარდა, არავისთვის და არაფრისთვის ლექსი არ მიმიძღვნია. უნდა აღვნიშნო, რომ უძლიერესი ლექსები დამანერინა: „რეკვიემი“, „სიკვდილს“, „თეთრი ვარდები ნანვიმარ ბილიკზე“, „რაჭის მთებს“ და სხვა. თუმცა, ამ დღეებში, მგონი, ყინული გალღვა და ლექსი მივუძღვენი ერთ ულამაზეს ახალგაზრდა ქალბატონს, რომელიც საბერძნეთში, კუნძულ კრეტაზე მდებარე ქალაქ ჰერაკლიონში (ძველ კანდიაში) ცხოვრობს და უმშვენიერესი სახელი - მაგდალენა ჰქვია.

- მისმა ტკბილხმოვანმა სახელმა შთაგაგონათ, თუ ახალგაზრდა ქალბატონთან რაიმე ისტორიაა დაკავშირებული?

- მოგეხსენებათ, ჩემს ცნობილ ლექსებზე დანერვილ სიმღერებზე უამრავი კლიპია გადაღებული. სამწუხაროდ, მუდამ ირღვეოდა და ირღვევა ჩემი საავტორო უფლებები. თითქმის არცერთ ვიდეოკლიპზე არ არის აღნიშნული ლექსის ავტორის სახელი და გვარი, რამაც, არაერთხელ მატკინა გული. უფრო მეტიც, გოგი დოლიძის ერთ-ერთ უძვირფასეს დისკზე ჩემი სახელიც კი შეცვლილია... და უცბად, საბერძნეთიდან, უფალმა ანგელოზი გამომიგზავნა, რომელსაც სახელად მაგდალენა ჰქვია. ამ გოგონამ ხუთი ვიდეოკლიპი შექმნა, რომელშიც არა მარტო ჩემი საავტორო უფლებებია დაცული, არამედ ჩემი ფოტოსურათებიცაა ჩართული, რამაც უდიდესი სიხარული მომგვარა. არც მე დავრჩი ვალში!.. მაგდალენას ულამაზესი ლექსი მივუძღვენი, რაც მისმა სიკეთემ და პოეტურმა სახელმა გამოიწვია. დიდი სურვილი მაქვს, რომ შემოდგომაზე პატარა სალამო ჩავატარო (რომელსაც ჩემს უსაყვარლეს ჯეკოს მივუძღვენი) და მაყურებელს მაგდალენას მიერ შექმნილი ვიდეოკლიპები შევთავაზო.

- მინდა გკითხოთ თანამედროვე პოეტურ ტენდენციებზე. რა ხდება დღეს ქართულ პოეზიაში?

- ვაიმე, რას მერჩით, რა დაგიშავეთ? რა ხდება და, საშინელებები ხდება! ხალხი წერამ აიტანა, ოლონდ, პირდაპირი გაგებით!.. თან, მათი უმრავლესობა ამბობს, რომ თავს პოეტად არ ვთვლიო. კი, მაგრამ, შე მამაცხოვნებულო, თავს პოეტად არ თვლი და, აგურისხელა წიგნებს რისთვის ბეჭდავ (იციინის)? საერთოდ, ბუნებრივია, რომ ადამიანს თავისი გრძნობებისა და შთაბეჭდილებების ქალღღებზე გადატანის სურვილი უჩნდება. ეს გასაგებია, ამას ადრეც აკეთებდნენ და რვეულებს უჯრებში ალაგებდნენ. ახლა კი, ამ ქაოსში, ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, წიგნი გამოსცეს და ის, ვინც გუშინ მწერლის მკითხველი იყო, დღეს „მწერლად“ და „პოეტად“ გვევლინება. შემდეგ, დროთა მანძილზე, უჩნდებათ ერთგვარი ამბიციცია და ეს საშუალო ნიჭის, „პროვიზონიანი“ ადამიანები, საკუთარ ტყავში ველარ ეტევიან და **ქურდობასა და პლაგიატობას მიმართავენ. არადა, არც განმკითხავი, არც ყურის ამწევი არსად არის. აღარც კრიტიკა არსებობს!..**

ეს უცნაური ხალხი, ერთმანეთზე გადაბმულები, „ჯოგებად“ დადიან. **როდის იყო, რომ პოეტებს ერთად ევლოთ? ეს ისეთივე იშვიათობაა, როგორც ვარდი უდაბნოში. ნამდვილი, დიდი პოეტი, იცით, რო-**

გორია? მას თავი სამყაროს მბრძანებლად მიაჩნია! ის გახლავთ სამყაროს ცენტრი და მის გარშემო ბრუნავს დედამიწა!.. პროვინციალიზმმა წაიღო ქვეყანა!.. ეს არის კატასტროფა!.. „იქინე“ „აქინე“, „წვევი“, „მევევი“ - დამკვიდრდა ქართულ პოეზიაში.

სიტყვა „პროვინციალიზმში“ პროვინციიდან ჩამოსულებს არ ვგულისხმობ. განა, ორპირის ფშანიდან არ მოგვევლინენ ჩვენი დიდი პოეტები - გალაკტიონი, ტიცვიანი და სხვები?! განა, ფშავის ბუმბერაზი მთებიდან ხარივით არ შებლავლა დედამიწას დიდმა ვაჟა-ფშაველამ?! მე სხვა პროვინციალიზმს ვგულისხმობ. **პირადად მე, უდიდესი პასუხისმგებლობით ვეპყრობი ყოველ სიტყვას, ფრაზას, აზრს, აფთიაქარვით ვწონი ყოველ სტრიქონს და სტროფს.** ვერ გეტყვით, ჩემი ყველა ლექსი მომწონს-მეთქი, პირიქით, ხანდახან ისეთი უკმაყოფილო ვარ საკუთარი თავით, ვერ წარმოიდგენთ. მუდამ ახლის ძიებაში ვარ და გამარჯვებისა და მარცხის გემოც კარგად ვიცი. მაგრამ, როდესაც მასხენდება, რომ მე, ღვთის წყალობით, „სიყვარულის სიმფონია“, „ტაძართა და ვახთა საგალობელი“, „სამადლობელი“, ჟოზეფინა დე ბოარნეს პოეზია, ან ბაირონზე შეყვარებული ქალბატონების ლექსები შევქმენი (დიდ პოეზიას, მაღალ პოეზიას ვგულისხმობ), ოდნავ ვმშვიდდები... პოეზიაში დიდ ფილოსოფიას და ტვინის ჭყლეტას ვერიდები, რადგან მე ხალხს, ჩემს უსაყვარლეს ქართველ ერს, ვემსახურები და აზრებს მათთვის გასაგებ ენაზე გადმოვცემ. ქართველ ხალხს იმდენი გაჭირვების, ომების, ომის შემდგომი პერიოდების გადატანა უხდება, კაცმა რომ თქვას, რა ეფილოსოფოსება?.. ხანდახან, სირღმისეულ აზრებსაც კი რაღაც სხვაგვარად, გასაგებ ენაზე ვაწვდი. მიკიბ-მოკიბული ფრაზები არ მომწონს, რა საჭიროა? მოკლედ, მწერალმა უნდა წეროს გასაგები, დახვეწილი და გამართული ქართულით. დღეს მკითხველს სადა აქვს იმის დრო, რომ დაჯდეს და იმაზე იჭყლიტოს ტვინი, შენ რა გინდოდა გეთქვა? არ მომწონს ზედმეტი ტყლარჭვა და მანჭვა-გრესა მწერლობაში. მოგესხენებათ, ყველაფერი გენიალური არის ბუნებრივი და მარტივი. დიდ მწერალს კოჭებშივე ცნობს თავისი ქვეყანა და უფრო მეტიც, მთელი კაცობრიობა. მაგალითად, როგორ ფიქრობთ, ჩარგალში ჩამოსულმა უცხოელებმა ქართული ენა იციან? რასაკვირველია, არა, მაგრამ ის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები ესმით, რასაც ვაჟა-ფშაველას პოეზია ემსახურება. **დიდ მწერლებს ინსტინქტით გრძნობენ ადამიანები, რადგან მათ უდიდესი მიზი-**

დულობის ძალა აქვთ და მათ გარეშე ცოდვით დამძიმებულ, საბრალო დედამინელებს ძალიან გაუჭირდებოდათ.

- 2014 წლის 31 მარტს მიიღეთ საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას სახელობის პრემია; 2014 წლის 28 დეკემბერს - წმინდა ილია მართლის სახელობის პრემია „ივერია“ - ნომინაციაში „პოეზიის დედოფალი“; 2015 წლის 7 აპრილს, ხარებას, თქვენი დაბადების დღეს, „გალაკტიონის“ პრემიით დაგაჯილდოვეს; 2016 წელს სამცხე-ჯავახეთისადმი მიძღვნილი ლექსებისათვის დაჯილდოვებით სპეციალური პრემიით ვარძიაში, 2016 წლის 1-ლ მარტს გადმოგეცათ პოეზიის სიმბოლო, მოოქროვილი „ბატის ფრთა“, თბილისის მერიამ თბილისისთვის მიძღვნილი ლექსისთვის პრემიის სახით გადმოგცათ უმშვენიერესი „სვაროვსკის“ კალამი - ამ შთამბეჭდავ სიას გაგრძელება აუცილებლად ექნება... თქვენს ყველა ჯილდოს აერთიანებს ქართველობის, ეროვნულობის ნიშანი. თუმცა, მათ ჩამონათვალში არ არის „საბას“, „წეროს“ ნომინაციები, არ მონაწილეობთ მსგავს ლიტერატურულ კონკურსებში?

- არა, ასეთ ლიტერატურულ კონკურსებზე მონაწილეობას არ ვიღებ, არც მწერალთა კავშირის წევრი ვახლავართ. გაგიკვირდებათ, მაგრამ, ცნობილი პოეტი, თინათინ მღვდლიაშვილი, მხატვართა კავშირში გავწევრიანდი და არა მწერალთა კავშირში. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ განსაკუთრებულ სიტუაციებში მწერალთა კავშირი მაინც მიხსენებს. მაგალითად, როდესაც, რამდენიმე თვის წინათ, ქართულ მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, გამორჩეული პოეტები უნდა დაეჯილდოებინათ, რასაკვირველია, მეც მიმინვიეს და მოოქროვილი „ბატის ფრთა“ გადმომცეს. საერთოდ, ამ ბოლო სამი წლის მანძილზე პრემიებითა და სიგელებით ამავსეს (თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ ყველაზე დიდი პრემია შარშან, ჩემს საიუბილეო საღამოზე, მოზარდ მაყურებელთა თეატრში ჩემმა დიშვილმა, ჯეკომ გადმომცა. მან არც მეტი, არც ნაკლები - ოქროს კალამი მომართვა, რომელიც ხარისხით ბევრად აღემატებოდა თბილისის მერიის მიერ ჩემთვის გადმოცემულ ე.წ. სვაროვსკის ფირმის კალამს). სამწუხაროდ, ამ პრემიებს იშვიათად ახლავს ფულადი ანაზღაურება. ან იმდენად მცირე, რომ შეგიძლია, ერთ კვირაში დახარჯო. ბუნებრივად იბადება კითხვა, როგორ უნდა იარსებოს მწერალმა, რომელიც ხალხს ემსახურება და არა ხელისუფლე-

ბას (ნებისმიერ ხელისუფლებას ვგულისხმობ)? **სშირად მეკითხებიან, რითი არსებობთო? უფლის წყალობით-მეთქი, ვპასუხობ და, ჭეშმარიტად, მართლაც, ასეა. ჩემი და ჩემი წინამორბედი მწერლების ცოდვა კი მათ კისერზე იყოს, ვინც სიცოცხლე გაგვიმწარა!.. და კიდევ, ჩემი სიძლიერე იმაში მდგომარეობს, რომ მე დამარცხებას თუ გამარჯვებას, სილატაკეს თუ სიმდიდრეს, მუდამ ღირსეულად ვხვდებოდი და ეს დღემდე ასეა.**

- ჩვენს უნივერსიტეტს სტუმრობდა ავსტრიელი გერმანულენოვანი პოეტი ლუდვიგ ლაჰერი, რომელმაც თქვა, რომ ის კარგად იცნობს თავის მკითხველს, ზუსტად იცის, მათი რაოდენობა — 2000. წინასწარ იცის, რომ ისინი მისი წიგნის პოტენციური მყიდველები არიან და თავისი შემოქმედებით მატერიალურად უზრუნველყოფილია. ჩვენ სხვა რეალობაში ვცხოვრობთ. რას გვეტყვით თქვენი მკითხველის შესახებ, როგორ დაახასიათებდით მას?

- ამ თვალსაზრისით ბედნიერი ქალი გახლავართ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ სისტემა ცდილობს, ჩემი სახელი და გვარი დაავინყოს ხალხს, ამას მაინც ვერ აღწევენ და ჩემი მკითხველი, ისევე, როგორც ადრე, კვლავ ჩემთან ერთადაა. **მე ძუ ლომი ვარ და მიჭირავს ჩემი სიმაღლე, ამ სიმაღლიდან ვერავინ ჩამომიყვანა და ვერც ჩამომიყვანს! მერე რა, რომ დაჭრილი ლომი ვარ? ტურებთან მაინც არ ვიმეგობრებ!..** გულწრფელად მითხარით, ქედმაღალი ადამიანის შთაბეჭდილებას ხომ არ ვტოვებ?

არადა, ახლა, წინ რომ დამისვით დავით გურამიშვილი, ვაჟა-ფშაველა, ტატო ბარათაშვილი, აღარას ვამბობ შოთა რუსთაველზე, იცით, როგორ დავპატარავდები?.. მოკლედ, ლომი კი ვარ, მაგრამ ჩემი ადგილი ვიცი (იცინის). პოლიტიკურმა ვითარებამ ისეთ კვარცხლბეკზე დამაყენა, რომ მე, ენებლიედ, გავუთანაბრდი 90-იანი წლების, ანუ დამოუკიდებელი საქართველოს ეპოქას, და იმ კვარცხლბეკიდან ჩამოსვლის უფლება, უბრალოდ, აკრძალული მაქვს!..

- რომელი პოეტია უფრო ახლოს თქვენს სულთან?

- ზოგადად, მწერლები, პოეტები წინამორბედ თაობებზე ვყალიბდებით, ვიზრდებით. სულიერ კავშირს ყველაზე მეტად ტიცინს ტაბიძესთან და გრიგოლ რობაქიძესთან ვპოულობ. გალაკტიონი

მიყვარს, მაგრამ განსაკუთრებულ შემოქმედებით იმპულსებს ტიცციანისგან ვიღებ. სულ სხვა ძარღვი და ენერგია აქვს ტიცციანს. შესაძლოა, ხასიათებით ვგავართ ერთმანეთს. თუმცა, იმ პოეტების ლექსებს, რომლებიც ჩემზე განსაკუთრებით მოქმედებენ, იშვიათად ვკითხულობ, რადგან პოეზია, ისევე, როგორც ხელოვნების ყველა დარგი, „ინფექციური“ ანუ გადამდები... მაგრამ **მე უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ ლიტერატურული სინდისს და ამიტომ არ ვემსგავსები ჩემს რჩეულ პოეტებს. იცით, რას ნიშნავს ლიტერატურული სინდისი? ამას ვერავინ გასწავლით, ის არც სკოლაში ისწავლება და არც უმაღლეს სასწავლებელში.** რობაქიძე უძლიერესია. შეუძლებელია, მას შეეხო და წერის გუნებაზე არ დადგე. ერთხელ, დიდმა ირრუბაქიძემ პატივი მცა და კარგი ლექსი დამანერინა. იმ პერიოდში ფრანგულ ენაზე თარგმნეს დიდი ქართველი პოეტები - ბარათაშვილი, რობაქიძე, გალაკტიონი, ტიცციანი, პაოლო და სხვები. ლექსების მთარგმნელმა, სენტ ეგზიუპერის სახელობის ლიცეუმის დირექტორმა, ქალბატონმა იზა ჯინჯიხაძემ, ჯერ საქართველოში გამოსცა წიგნი, ხოლო შემდეგ - საფრანგეთში, პარიზში. ამ წიგნში ჩემი რამდენიმე ლექსი დაიბეჭდა (წოზეფინა ბოარნეს პოეზიას ვგულისხმობ). წიგნის გამოცემამდე, ქალბატონ იზას ვთხოვე, ნება მოეცა, ჩემი ლექსებისთვის გადამეხედა. ბევრი შეცდომა გავასწორე. შემდეგ, არ დავიზარე და კორექტურის გასაკეთებლად სხვა პოეტების ლექსებსაც გადავხედე. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი შეცდომა ვიპოვე. ყველაზე მეტი შეცდომა კი, გრიგოლ რობაქიძის ლექსებში აღმოვაჩინე, იქვე ჩავასწორე და, გავიფიქრე, ალბათ, გრიგოლს როგორ გაუხარდება -მეთქი. იმავე დღეს, საკმაოდ ვრცელი და ძლიერი ლექსი დამანერინა ირრუბაქიძემ - სამაგიერო კეთილად გადამიხადა!.. სხვათა შორის, რობაქიძის სონეტების წაკითხვის შემდეგ შევქმენი ლექსი - „ყვითელი ღამე უცხო ნაპირზე“ და, რასაკვირველია, ლექსში მოვისხენიე კიდევც:

**„მე მანამებდა პოეზიის სამი ზმანება -
ბარათაშვილი, ბაირონი და რობაქიძე“.**

ლექსში რობაქიძე რომ არ მესხენებინა, უბრალოდ, უსინდისობა იქნებოდა, ხოლო მე ლიტერატურული სინდისი გამაჩნია. თუ გნებავთ, კიდევ მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. როდესაც დავწერე ლექსი - „მეტოქეს“, რომელიც ასე მთავრდება: **„მე არც სიცოცხლის, არც სიკვდილის არ მეშინია“**, საერთოდ არ გამსხენებია გალაკტიონ ტაბიძე და მისი ცნობილი ფრაზა: „მე არც წარსულის, არც მომავ-

ლის არ მეშინია“. რამდენიმე დღის შემდეგ უნივერსიტეტში მიმინვია ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტმა, ქალბატონმა ინესა მერა-ბიშვილმა და მაჩუქა გალაკტიონ ტაბიძის ძვირფასი გამოცემა. იმ-ხელა წიგნს რა წამაკითხებდა (იმდენ წიგნს მჩუქნიან, ყველაფერი რომ წავიკითხო, ნამდვილად შევიშლები ჭკუიდან), მაგრამ ვერ მო-ვითმინე და წიგნს მაინც გადავხედე. გადავხედე და... პირველივე ფრაზა, რომელიც შემეჩხება, გახლდათ: „მე არც წარსულის, არც მო-მავლის არ მეშინია“. გული გადამიტრიალდა! მაშინვე ხელნაწერების რვეული გამოვართიე და ჩემს ახალ ლექსს ეპიგრაფად წა-ვუმიძღვარე: „მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია“ - გა-ლაკტიონ ტაბიძე. და დავისვენე! ეს გახლავთ ლიტერატურული სინდისი. თუმცა, კიდევ ვიმეორებ, რომ გალაკტიონის ეს სტრიქონი საერთოდ არ გამსხენებია. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ შემოქმედი ადამიანების **წარმოსახვები და ემოციები სშირად ერთმანეთს ჰკავს. ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენ პატარა გარემოში ვცხოვრობთ (საქართველოს გვულისხმობ) და ერთი და იგივე ენა, ტო-პონიშები, აზრები, ტვინები, გენეტიკა, დნმ-ი და, რა ვიცო, ყველაფერი ერთნაირი გვაქვს. ასეთ შემთხვევაში, შეუძლებელია, რომ შემოქმედი ადამიანების აზრები ერთხელ მაინც არ გადაიკვეთოს. მოკლედ, სა-ქართველოში ბენვის ხიდზე გვიხდება სიარული და მეც, თქვენი მონა მორჩილი, ამ ბენვის ხიდზე ვდგავარ...**

- **გეთანხმებით, შემოქმედმა ადამიანებმა, შესაძლოა, ერთმანეთის-გან დამოუკიდებლად აღიქვან მოვლენები ერთნაირად. თუ გქონიათ შემთხვევა, როდესაც, როგორც თქვენ უნოდებთ, „ლიტერატურული სინდისის“ გამო, გამიზნულად გაგივლიათ პარალელი ვინმესთან?**

- გამოგიტყდებით, რომ ამგვარი რამ ანა კალანდაძესთან მი-მართებით გადამხდა. ახალგაზრდობაში დავწერე მოთხრობა „ავი-ნინა, ანუ ახალი მეზობელი“ (ამ ქალბატონზე მოგვიანებით გიამ-ბობთ). მოთხრობის სიუჟეტი სოფელში ვითარდება და, რასაკვირ-ველია, აღვწერე ჩვენი მამაპაპისეული სახლი, რომლის აივანზე უზარმაზარი თუთის ხის ტოტები შემოდოდა. სიმართლე გითხრათ, თუთა დიდად არ მიყვარდა, მაგრამ ის მსუქანი, უტკბილესი, თეთრი თუთები დღემდე მახსოვს. მოთხრობის წერის დროს ერთგვარი შიში დამეუფლა. მკითხველს ანა კალანდაძის ცნობილი ლექსი - „ლამის სახლში შემოიჭრას თუთა“, გაახსენდება და რას იფიქრებენ-მეთქი?

არადა, ბავშვობაში ანა კალანდაძის არსებობის შესახებ არაფერი ვიცოდი, მაგრამ მოთხრობაში აღვნიშნე, რომ, თითქოსდა, ჩემი სახლის აივანზე შემოსული თუთა, ანა კალანდაძისეულ ლექსს მაგონებდა. წარმოგიდგინიათ, მოვიტყუე?.. რაც შეეხება „ავ ნინას“, ღმერთო, იმ ქალბატონის გახსენებაზე, მიუხედავად იმისა, რომ გარდაცვლილია, დღემდე მაკანკალებს. წარმოიდგინეთ, მოთხრობის პერსონაჟმა, ანუ ავმა ნინამ, ჩემი ჯერ კიდევ დაუბეჭდავი მოთხრობა, არც მეტი, არც ნაკლები, თონეში დამინვა (იცინის).

- როგორ მოხვდა თონეში თქვენი მოთხრობა?

- „ავი ნინა“ გახლდათ მარტოხელა, საკმაოდ წარმოსადეგი, ფიზიკურად ძლიერი, უკიდურესად ბრაზიანი ქალი, რომელიც ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. ამ ქალბატონს რალაც მისტიკური ურთიერთობა ჰქონდა გველებთან და მის სახლს მუდამ გველები ეხვეოდნენ. ნინა საღამოობით მოგვაკითხავდა ხოლმე, აივანზე ჩამოჯდებოდა და თავის წარსულ ამბებს ისე არტისტულად გვიყვებოდა, რომ მე თვალზეგაფართოებული ვუსმენდი და მის თითოეულ სიტყვას, მოქმედებას, გონებაში ვიბეჭდავდი. მოკლედ, ჩემ თვალწინ მომავალი მოთხრობის გმირი იჯდა. ერთ მშვენიერ დღეს ნინამ ამ მოთხრობის შესახებ შეიტყო, მოხერხებულად გამომტყუა და შემდეგ ისეთი „კონცერტი“ მომიწყო, რომ მისი გემო დღემდე არ დამინწყებია. აი, ასეთი სიფრთხილე გემართებს მწერლებს, როდესაც ცოცხალი ადამიანის სათუთ გრძნობებს, მის ცხოვრებას ვეხებით. კინორეჟისორი რომ ვიყო, ამ თემაზე აუცილებლად ფილმს გადავიღებდი.

- ბოლო წლებში მესხეთში სტუმრობის შემდეგ ქართველ მკითხველს ორი უმშვენიერესი ლექსი აჩუქეთ: „ლომსია“ და „მესხეთს“. ისინი გამოირჩნენ კიდევ 2016 წელს „შოთაობის“ დღესასწაულზე, როგორც მესხეთისადმი მიძღვნილი საუკეთესო ლექსები და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური ნომინაციით დაჯილდოვდნენ. მკითხველს გულგრილს ვერ დატოვებს თქვენი სულიდან ამონახეთი, სიყვარულით გაჯერებული სტრიქონები:

**„მე კი, ძვირფასო, მიმძიმს ფეხი რომ დაგაბიჯო,
არ დავემსგავსო ვილაც ლენგებს, ვილაც ჯალალებს,
ერთი გული მაქვს, მინდა, გული ამოვიგლიჯო,
ფარავნის ტბასთან რომ დავუგდო მესხეთ-ჯავახეთს!..“**

დაუეინყარი იყო თქვენი სტუმრობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ ინტერვიუს მკითხველი გაეცნობა ყურნალ „არავის“ ფურცლებიდან. ყურნალი უნივერსიტეტის წიაღში დაიბადა და მის მეორე ნომერშივე დაიბეჭდა თქვენი ლექსები. მომავალშიც დაველოდებით თქვენთან კვლავ შეხვედრას...

- მესხეთ-ჯავახეთის თემა ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, მაგრამ ეს ორი ლექსი, რომელმაც ასეთი დიდი წარმატება და სიხარული მომგვარა, მართლაც, განსაკუთრებულია. მინდა მადლობა გადავუხადო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელსა და რექტორს, პროფესორ მერაბ ბერიძეს, რომელმაც ჯერ იყო და... ასპინძაში „დამზვერა“, ხოლო შემდეგ, თქვენს დიდებულ უნივერსიტეტში მომიწყო ულამაზესი, დაუეინყარი საღამო. აქვე მინდა, მადლობა გადავუხადო ქალბატონ ნათელა ნაცვლიშვილს და სხვა პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებმაც თბილი სიტყვები არ დაიშურეს ჩემი შემოქმედების შესახებ და ბიოგრაფია გამილამაზეს. ასევე მადლობა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორს, ბატონ ავთანდილ ბერიძეს. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო კუმურდოსა და ახალქალაქის მიტროპოლიტის მეუფე ნიკოლოზის (ფაჩუაშვილის) მიმართ, რომელმაც ორჯერ მიმიწვია ახალქალაქში, თავის რეზიდენციაში პერსონალური გამოფენა და პოეზიის საღამო მომიწყო და, რაც მთავარია, ფარავნის ტბის მადლი „დამაგემოვნებინა“. ამ დაუეინყარმა სტუმრობამ დამანერინა წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი ლექსი. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩემი ცხოვრების უდიდესი მწუხარების ყამს (ჯეკოს გარდაცვალებას ვგულისხმობ), მეუფე თბილისში ჩამობრძანდა და შუალამისას პანაშვიდი გადაუხადა ჩემს დიშვილს. ამ სიკეთეს ჩემს ცხოვრებაში არ დაფუეინყებ.

ძალიან მიყვარს მესხეთ-ჯავახეთი, საერთოდ, მთელი საქართველო და იმედი მაქვს, რომ დიდი ქართული მწერლობის მეფეთა მეფის, შოთა რუსთაველის იუბილეზე კვლავ შევხვდებით ერთმანეთს (რასაკვირველია, თუ მიმიწვიეს...).

წარმატებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებ ყურნალ „არავს“, რომელმაც მშვენიერი ექსპრომტი შემაქმნევინა. ბატონ მერაბს კი გადაეცით, რომ ერთი პოეზიის საღამო ჯავახეთში, მასზეა. დაპირებები მგელმაც იცისო, ასე გამიგია (იცინის).

და ბოლოს, დიდი მადლობა თქვენ, ქალბატონო მაკა, ამ ინტერ-ვიუსთვის. უფალი იყოს თქვენი მფარველი, კეთილი ანგელოზები თქვენკენ და სრულიად საქართველოსკენ!..

შეუძლებელია, ამონურო მწერალი თინათინ მღვდლიაშვილი ორი, სამი, თუნდაც ხუთსაათიანი ინტერვიუს ფარგლებში. „ხმალი ავლესოთ, ქართველებო, ხმალი ავლესოთ!“, - სტრიქონების ავტორის სახე, ვფიქრობთ, ჩამოიძვრნა. „მარტოხელა, მარტოსულო ქალბატონოს“ მთქმელს, ხატთა შემამკობელსა და მხატვარს აუცილებლად დავუბრუნდებით.

დროებით დავემშვიდობეთ ხელოვნების იდუმალი საბურველით მოსილ შემოქმედს იმ იმედით, რომ კვლავ შევხვდებით. დავტოვებთ „მარტობამისჯილი“, როგორც თვითონ იტყოდა:

„ცას ასკდებიან ვაშლის რტოები,
ლომთა მსაჯული მხოლოდ ღმერთია...
და ვდგავარ ისევ განმარტოებით,
განმარტოება ჩემი ხვედრია“.

მართლაც, ხელოვანთა მარტობა როდი ჰგავს ჩვენსას. გონებაში კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები ამოტივტივდა: „მარტობის უამს ხმამალა ვკითხულობ რომელიმე შერჩეულ ძეგლს ძველი ქართული მწერლობისას. დაძინებისას ძველ ქართულ შედევრებს ვათვალიერებ, რათა ქვეშეცნებაში განმიმკვიდრდეს თავისთავადი ენის კულტურის ნელსურნელება. ასე და ამგვარად დღე და ღამ ვებრძვი ქართულ სიტყვას, როგორც კოჭლი იაკობი ებრაელთა მრისხანე ღმერთს“.

ინტერვიუერი - მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე



თარგმანი

ჯეინ ოსტინი

ბუნებასავით „უბრალო“, ბუნებასავით „ბუნებრივი“ - ასე აფასებენ **ჯეინ ოსტინს (1775-1817)** ლიტერატურის კრიტიკოსები თუ ისტორიკოსები; „ინგლისური ლიტერატურის პირველი ლედი“, როგორც ბრიტანელები უწოდებენ საყვარელ მწერალს, მთელი წიგნიერი კაცობრიობისათვის პოპულარულ ავტორად რჩება. ხოლო ამ პოპულარობის საიდუმლო იმის ზემომიწვევით ცოდნაში იმალება, რაზეც მწერალი ქალი წერდა; საკუთარ დაკვირვებებსა და გამოცდილებაზე აგებული მისი დაუფინყარი ქმნილებები ერთგვარი პასტორალური ელფერით არის სავსე, უაღრესად მგრძობიარეა, როგორც დედა ბუნება და ვნებიანი, როგორც სიცოცხლის მძაფრი, გადამდები წყურვილი.



ოსტინის მწერლური ხედვის არეში ინგლისური პროვინცია არის მოქცეული, პროვინციული, თუ ასე შეიძლება ვთქვათ, ყოველდღიურობით, ინტერესებით და მისწრაფებებით; აქ იმლება მწერლის მძლავრი ფანტაზია; ამ ასპარეზზე ქმნის იგი დაუფინყარ სახეებსა და სიტუაციებს, ნამდვილი, ჯანსაღი, გადამდები ღიმილით, ხაზგასმული ელეგანტურობით, ნაზი მგრძობელობით, წრფელი თანაგრძნობითა და სიყვარულით. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ ოსტინის მცირე, ნატივი ირონიით შეზავებულ თხზულებას. ჯეინი, ადამიანური ბუნების და ურთიერთობათა ინტიმური ნიუანსების ჩინებული მცოდნე, „ძველი ინგლისური“ დიალოგების და იუმორის მეშვეობით ახერხებს შეგვიყვანოს ვიქტორიანული ეპოქის ინგლისური ოჯახის ყოფით სამყაროში, მოგვუხსოს მისი „არქაული“ ატმოსფეროთი, გაგვაცნოს და, რაც მთავარია, შეგვაყვაროს თავისი გმირები.

სამი და

პირველი წერილი

მის სთენჰოუფისაგან ქალბატონ ***-ს

ჩემო ძვირფასო,

მისტერ უოტსმა ხელი მთხოვა, ამიტომაც თავს უბედნიერეს ადამიანად ვთვლი. არ ვიცი, როგორ მოვიქცე, როგორ შევაფსო ის, რაც ჩემს ცხოვრებაში პირველად მოხდა. დანამდვილებით მხოლოდ იმას ვგრძნობ, რომ მედიდურად გადავხედავ დიუტონებს. არ ვაპირებ,

დავეთანხმო მისტერ უოთსის წინადადებას; ყოველ შემთხვევაში, მე ასე მჯერა, თუმცა, დარწმუნებულიც არ ვარ; ამიტომაც ორაზროვნად ვუპასუხე, გაურკვევლობაში დავტოვე... და ახლა, ჩემო ძვირფასო, შენი რჩევა მჭირდება - მივილო მისი შემოთავაზება, თუ არა. უკეთ რომ გაერკვე ყველაფერში, დანვრილებით გაგაცნობ დეტალებს. მისტერ უოტსი ცოტა ასაკიანი, დაახლოებით, ოცდათორმეტის, ადვილად გასაგები და უბრალო ადამიანია; იმდენად უბრალო, რომ პირდაპირ შეხედვას ვერც ვბედავ. სამაგიეროდ, უკიდურესად დაუმორჩილებელია და, ალბათ, ამქვეყანად ყველაფერზე მეტად ამიტომაც მეჯავრება. იგი მდიდარია, ამასთანავე ძალიან ჯანმრთელი და კარგი ცხოვრების პირობებსაც შემიქმნის, მაგრამ... მოკლედ, არ ვიცი, როგორ მოვიქცე, რა ვქნა. თუ უარს ვეტყვი, როგორც მითხრა, სოფიასთან სცდის ბედს, თუ სოფიაც უარს ეტყვის, ჯორჯიანასთან; მე კი ვერ ავიტან, რომელიმე და ჩემზე ადრე თუ იქორწინებს. მეორეს მხრივ, თუ მის შემოთავაზებას დავეთანხმები, ვიცი, მთელი ჩემი ცხოვრება დავიტანჯები, რადგან ცუდი ხასიათისაა - ზედმეტად ფიცხი, ძალიან ეჭვიანი და იმდენად ძუნწი, რომ ვერ შევძლებ მის გვერდით ცხოვრებას. მან მითხრა, რომ ამ საკითხზე დედაჩემს დაელაპარაკება, მაგრამ მე დაჟინებით ვთხოვე, მისთვის არაფერი ეთქვა, რადგან, შესაძლებელია, დედამ მაიძულოს, ვიქორწინო ჩემი სურვილის გაუთვალისწინებლად.

ზოგჯერ მჯერა, რომ გავყვები ცოლად. ისეთი დიდებული გრძნობაა, გათხოვდე სოფიაზე, ჯორჯიანასა და დიუპოტებზე ადრე! არის კიდევ ერთი რამ - ის დამპირდა, რომ საქორწილოდ ახალ ეტლს იყიდის; ბევრიც ვიკამათეთ ფერის გამო, ვიკამათეთ კი არა, ვიჩხუბეთ, რადგან მე მინდა ლურჯი ეტლი ვერცხლისფერი ლაქებით, მას კი ახალი ეტლი ღია შოკოლადისფერი წარმოუდგენია; რომ გაველიზიანებინე, ისიც კი თქვა, რომ ახალი ეტლი ზუსტად ძველი ეტლის სიმაღლისა იქნება; ჰოდა, მეც მეტი რა მინდოდა - სულაც არ ვიქორწინებ შენზე-მეთქი, განვუცხადავ.

საბოლოო პასუხისათვის ხვალამდე დამელოდება, ასე მითხრა. ვხვდები, რომ უნდა ჩავეჭიდო მას, სანამ ამის შესაძლებლობა მაქვს. ვიცი, დიუტონები შურით გასკდებიან და, ამასთანავე, შესაძლებლობა მექნება, გავყვე სოფიასა და ჯორჯიანას ყველა ბალზე მთელი ზამთრის განმავლობაში. თუმცა, მაშინ რაღა ვქნა, თუ იქ წასვლის ნებას არ მომცემს? მას ხომ ეჯავრება ცეკვები, და ვერც კი წარმოუდგენია, ვინმეს უყვარდეს ის, რაც თავად მას ეჯავრება. მი-

სი ახირებით, ქალი სახლის გარეთ არ უნდა გადიოდეს... დღემუდამ ათას ასეთ სისულელეს როშავს. დარწმუნებული თუ ვიქნები, რომ ჩემი დები არ მიიღებენ მის წინადადებას, ან, როცა ისინი უარით გაისტუმრებენ, დიუტონებს არ მიმართავს, მაშინ დაუფიქრებლად მოვიშორებდი. მაგრამ, ხომ გესმით, ვერაფრით გავრისკავ.

ვიქორწინებ მასზე, თუ დამპირდება, რომ ეტლს ჩემი გემოვნების მიხედვით შეარჩევს; სხვა შემთხვევაში, მოუნწევს თავისი მდარე გემოვნებით დაკვეთილი ეტლით ჩემ გარეშე იაროს. ვიმედოვნებ, მოგწონს ჩემი გადაწყვეტილება. ახლა ამაზე უკეთესს ვერაფერს ვფიქრობ.

**მუდამ შენი მოსიყვარულე
მერი სთენჰოუფი**

მას მისგანვე

ძვირფასო გულშემატკივარო,

დავასრულე თუ არა შენთვის გამოსაგზავნი წერილი, დედაჩემი შემოვიდა, როგორც მითხრა, ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე სასაუბაროდ.

„ოჰ! ვიცი, რასაც გულისხმობ, - ვუთხარი, - იმ მოხუცმა ჩერჩეტმა მისტერ უოთსმა ჩაგიკაკლა ყველაფერი, ალბათ, მე კი ავუკრძალე. შენ ვერ მაიძულე, ჩემი სურვილის წინააღმდეგ ვიქორწინო მასზე“.

„არ ვაპირებ ძალა დაგატანო, შვილო, მხოლოდ, მინდა ვიცოდე შენი გადაწყვეტილება მის წინადადებაზე. შენ უნდა ამოირჩიო: ან დაქორწინდე ან, თუ უარს იტყვი, სოფია იქორწინებს“.

„ნამდვილად; სოფია ნუ შეწუხდება, - არც დავფიქრებულვარ, ისე მივაყარე, - ნუ ინერვიულებს ამაზე. რადგან, მე რა თქმა უნდა, გავყვები მას.

„თუ ეს შენი გადაწყვეტილებაა, მაშინ რატომ გეშინია ძალდატანების?“

„რატომ? - ჯერ არ გადამინყვეტია, დავეთანხმო, თუ არა მის შემოთავაზებას“.

„შენ ყველაზე უცნაურო გოგო ხარ ამქვეყნად, მერი. რასაც იტყვი ამ წუთში, მეორე წუთში გადათქვამ; ერთხელ და საბოლოოდ მითხარი - აპირებ, თუ არა მისტერ უოთზე დაქორწინებას?“

„ოხ, დედაჩემო, შენ როგორ გითხრა, როცა მე თვითონაც არ ვიცი?“

„მაშინ გადანყვიტე, სწრაფად, რადგან მისტერ უოტს არ სურს გაურკვეველობაში ყოფნა.“

„ეს ჩემზეა დამოკიდებული“.

„არა, სულაც არა; ხვალ ის ჩაიზე გვეწვევა და თუ არ დათანხმდები, სოფიასაკენ გადაინაცვლებს.“

„ასეთ შემთხვევაში მთელს მსოფლიოს გავაგებინებ, როგორ საშინლად მომექცა“.

„და მერე ეს რას მოგიტანს? მისტერ უოტს ეს არ ანალვლებს, რადგან თვითონ საკმაოდ დიდი ხანია, განაწყენებულია მთელ სამყაროზე“.

„ნეტა, მამა და ძმა მაინც მყავდეს, ისინი მიხედავდნენ ამ საქმეს და კარგადაც ერხებოდნენ“.

„ისინი თავად აღმოჩნდებოდნენ განბილებულები, რადგან მისტერ უოტსი მათ პირველი დაუსხლტებოდა, და, გეყოფა ახლა, ნულარ მიედ-მოედები, მაინც შენი გადასაწყვეტია, დაეთანხმები თუ არა მის წინადადებას, ხვალ სალამომდე.“

„და თუ არ დაეთანხმდები, რატომ უნდა შესთავაზოს მან თავი ჩემს დებს?“

„იმიტომ, რომ შენი დებიც შენსავით მომხიბვლელები არიან და გარდა ამისა, მას სურს, ახლოს იყოს ჩვენს ოჯახთან“.

„მაგრამ, დედა, ნუთუ სოფი იქორწინებს მასზე?! ... დაეთანხმება კი მის წინადადებას?!“

„რატომაც არა? თუნდაც უარი თქვას, მაშინ ჯორჯიანა აუცილებლად უნდა დაეთანხმოს, რადგან სულაც არ მინდა, რომელიმე ჩემი ქალიშვილის გაბედნიერების შესაძლებლობა გავუშვა ხელიდან. ასე, რომ ახლა დაგტოვებ, რათა შენ თავად მიიღო გადანყვიტელება“. და ის წავიდა. ერთადერთი, რასაც ახლა ვფიქრობ, ჩემო ძვირფასო, რაც დამრჩენია, ისაა, რომ მივიდე ჩემს დებთან და მათ შევეკითხო და თუ ისინიც არ დათანხმდებიან, მეც, უკვე გადანყვიტით ვეტყვი უარს; იმდენად საშინლად მიძულს, რომ ვერც კი წარმომიდგენია მასზე გათხოვება. და, თუ დიუტონებისკენ გადაინაცვლებს და დაქორწინდება რომელიმეზე, გამარჯვებული მაინც მე ვიქნები, რადგან პირველმა ვთქვი უარი მასზე. ჰოდა, ასეა, ჩემო ძვირფასო მეგობარო....

მუდამ შენი მ.ს.

მის ***-ს ჯორჯიანა სტენჰოუფისაგან
ორშაბათი

ჩემო ძვირფასო ანი,

ამ წუთას სოფი და მე ვგეგმავთ ჩვენი უფროსი დის გაცურებას - ხომ იცი, მასთან იოლად არაფერი გამოგვდის. ჩვენს საქციელს შექმნილი ვითარება სრულად ამართლებს. მისტერ უოთსმა, ჩვენმა მეზობელმა, ხელი სთხოვა მერის, რომელსაც ვერ გადაუნყვებია, როგორ მოიქცეს; მისტერ უოთსისადმი განსაკუთრებული სიძულვილის მიუხედავად, მერი სიამოვნებით დათანხმდება, ოღონდაც მან ქორწინების წინადადება არ მისცეს სოფის ან მე. მერისათვის ნარმოუდგენელი ტრაგედია იქნება, თუ ჩვენ მასზე ადრე ვიქორწინებთ; ამან შეიძლება მორალურად სამუდამოდ გაანადგუროს, ურჩევნია, მისტერ უოთსზე ქორწინებით საცოდავი ცხოვრებისთვის განიროს თავი, ვიდრე ეს დაუშვას. ერთი საათის წინ ის მოვიდა ჩვენთან ჩვენი განზრახვის გასარკვევად ამ საკითხთან დაკავშირებით, რამაც განამტკიცა მისი გადაწყვეტილება. მის მოსვლამდე ცოტა უფრო ადრე დედამ განგვიცხადა, რომ არ აპირებს ოჯახი ამ კაცის გარეშე დატოვოს და რომ ერთ-ერთი მისი ქალიშვილი აუცილებლად იქორწინებს მისტერ უოთზე - თუ ამას არ მოისურვებს მერი, მაშინ სოფი დაქორწინდება, თუ სოფიც გაჯიუტდება, ჯორჯიანა გაჰყვება ცოლად; სანყალი ჯორჯიანა...

როგორც კი დედა გავიდა, ვცადე, დამერწმუნებინა სოფი იმაში, რომ, თუ მერი უარს ეტყოდა მისტერ უოტს, თავი არ გაენირა და პირადი ბედნიერება არ შეენირა ამ ქორწინებისათვის ჩემ გამო; მისი კეთილი ბუნება და დედმამიშვილური სიყვარული, ვფიქრობ, აიძულებს მას, ასე მოიქცეს.

„მოდი ჩავთვალოთ, (მიპასუხა მან) რომ მერი არ იტყვის უარს. თუმცა კი საიდან შეიძლება მქონდეს იმედი იმისა, რომ ჩემი და დაეთანხმება ქორწინებას იმ კაცზე, რომელიც ვერ გააბედნიერებს?“

„ვერ გააბედნიერებს, მაგრამ ქონება, მისი სახელი, სახლი, ეტლი? და ეჭვიც არაა, მერი დაქორწინდება მასზე; რატომ არ უნდა გაჰყვეს ცოლად? ის არ არის ძალიან დიდი, ოცდათორმეტი საუკეთესო ასაკია კაცის დაქორწინებისათვის; სიმართლე რომ ვთქვათ, ცოტა შეუხედავი კია, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს სილამაზეს კა-

ცისათვის? - დახვეწილი ფიგურა და მგრძნობელობა სრულიად საკმარისია.“

„ეს ყველაფერი სიმართლეა, ჯორჯიანა, მაგრამ გარეგნობით მეტისმეტად ვულგარულია, მარტო სახის გამომეტყველება ნახე!“

„თუმცა მიძიმე ხასიათის პიროვნებად თვლიან, მაგრამ ხომ შეიძლება, სამყარო ცდებოდეს მის განსჯაში? გულახდილობა და გულწრფელობა მისი ხასიათის თვისებაა, რაც ნამდვილად მამაკაცურია. ამბობენ, რომ ძუნწია, მოდი, ჩვენ ამას ანგარიშიანობა დავარქვათ. ამბობენ იმასაც, რომ ეჭვიანია, ჩავთვალოთ, რომ ეს გულის სითბოსაგან მოდის, ყოველთვის აქვს ამას გამართლება ახალგაზრდობაში; მოკლედ, მე ვერ ვხედავ მიზეზს იმისა, რატომ არ უნდა იყოს კარგი ქმარი, რატომ არ უნდა იყოს მერი ბედნიერი მასთან.“

სოფიმ გაიცინა, მე კი გავაგრძელე:

„არა აქვს მნიშვნელობა, მერი დაეთანხმება მის შეთავაზებას, თუ არა. მე მტკიცედ ვიცი, გადაწყვეტილი მაქვს - არასოდეს ვიქორწინებ მისტერ უოთსზე, თუ მთლად არ გავლატაკდი. იმდენად არასრულყოფილია ყოველმხრივ! საზიზღარი პიროვნებაა, ერთი კარგი თვისებაც არ გააჩნია, რომელსაც ჩაეჭიდები და გამოსწორებაზე იფიქრებ.“

კარგი შემოსავალი აქვს, რა თქმა უნდა, თუმცა არც ისე დიდი - სამი ათასი წელიწადში. რა არის სამი ათასი წელიწადში? - მხოლოდ ექვსჯერ მეტი დედაჩემის შემოსავალზე. ამით მე ვერ მაცდუნებს“.

„თუმცა, ეს შესანიშნავი ქონება იქნება მერისათვის“- კვლავ სიცილით თქვა სოფიმ.

„მერისათვის! კი, რა თქმა უნდა. ჩემთვის კი დიდი სიამოვნება იქნება მისი ასეთ განცხრომაში ნახვა.“

მე ენა არ გამიჩერებია, დის სიამოვნებას ვცდილობდი, მანამ მერი, გაღიზიანებული გამომეტყველებით არ შემოვიდა ოთახში. დაჯდა - ადგილი დავუთმეთ ცუცხლთან. დაბნეული ჩანდა და არ იცოდა, როგორ დაენყო საუბარი; ბოლოსდაბოლოს ცოტა შეცბუნებული ტონით თქვა:

„დაიფიცე, სოფი, არ ფიქრობ გათხოვებაზე?“

„გათხოვებაზე! ოდნავადაც არა. რატომ მეკითხები? იცნობ ვინმეს, რომელიც ხელს მთხოვს და დაქორწინებას შემომთავაზებს?“

„მე - არა, მე საიდან უნდა ვიცოდე? არ შემიძლია, ერთი ჩვეულებრივი კითხვა დაგისვა?“

„რა თქმა უნდა, თუმცა კი, არც ისე ჩვეულებრივი შეკითხვაა მერი,“ - ვუთხარი მე, ის გაშრა, სიჩუმე ჩამოვარდა....

„სოფი, შენ როგორ წარმოგიდგენია მისტერ უოთზე ქორწინება?“

მე თვალი ჩაფუკარი სოფის და ფუპასუხე მის ნაცვლად. „ვის არ გაეხარდება ცოლად გაჰყვეს კაცს, რომელსაც წელიწადში სამი ათასი აქვს?“

„მართალია, ნამდვილად, ნამდვილად. ესე იგი, გაჰყვები, თუ ის დაქორწინებას შემოგთავაზებს, შენ - ჯორჯიანა, ან შენ - სოფი?“

სოფის არ უნდოდა ტყუილი ეთქვა დისთვის და სინდისი ორპიროვანი პასუხით შეინარჩუნა.

„მე ისე მოვიქცეოდი, როგორც ჯორჯიანა“.

„კარგი მაშინ“, - თქვა მერიმ გამარჯვებული გამომეტყველებით, - „მე მაქვს შემოთავაზება მისტერ უოთსისაგან“.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ძალიან გავიკვირვეთ, „ოჰ! როგორი მოულოდნელია,“ ვუთხარი მე, და შემდეგ ... „მან შეიძლება, მეც შემომთავაზოს?“

მოკლედ, ჩემმა გეგმამ გაამართლა, მერი მიიღებს გადაწყვეტილებას, მხოლოდ იმიტომ, რომ თავიდან აგვაცილოს მოსალოდნელი ბედნიერება, სხვა შემთხვევაში ამას არ გააკეთებდა. მაინც, გული მეთანადრება, თავს ვერასოდეს ვაპატიებ, სოფიც, იგი ხომ ჩემზე სინდისიანია!

დაგვიმშვიდე გონება და გული, ჩემო ძვირფასო ენი, მოგვწერე და გვითხარი, რომ ამართლებ ჩვენს საქციელს. ყველაფერს კარგად ჩაუკვირდი - მერისათვის ერთი დიდი სიამოვნებაა, ერქვას გათხოვილი ქალი, მით უმეტეს, თუ შეძლებს ჩვენთანაც იყოს, გამოგყვეს ყველგან; გარკვეულად, ჩემი წვლილიც არის მის გაბედნიერებაში, რადგან მე ვაიძულე ასეთი ნაბიჯი გადაედგა.

მათ ექნებათ ახალი ეტლი, რაც თავს სამოთხეში აგრძნობინებს მერის; თუ ჩვენ დავარწმუნებთ მისტერ უოთს, გამართოს ფაქტონი, ჩვენი და ბედნიერებით მეცხრე ცას მისწვდება. თუმცა, ყველაფერი ეს, დაგვამშვიდებს სოფის და მე? იქნებ არ დაგვგმო ამისათვის!!!

პარასკევი

გასულ ღამეს მისტერ უოთსი ჩაიზე გვესტუმრა. როგორც კი მისი ეტლი კარებთან გაჩერდა, მერი მივიდა ფანჯარასთან.

„სოფი დაიჯერებ, - თქვა მან, - ამ ბებერ სულელს უნდა ახალი ეტლი ძველს ჰგავდეს, მაგრამ მე ჩემსას გავიტან; თუ არ შეიძენს დუტონების ეტლის სიმაღლის, ლურჯი, ვერცხლისფერი ლაქებით მოხატულ ეტლს, არ მივიღებ მის შემოთავაზებას. აი, ისიც. მე ვიცი, ის იქნება უხეში, ვიცი, ექნება ცუდი ხასიათი, ერთ ცივილიზებულ სათქმელსაც არ მეტყვის! არ მომექცევა, როგორც შეყვარებულნი!“

მერი დაჯდა და მისტერ უოტსიც შემოვიდა.

„ქალბატონებო, თქვენი უმორჩილესი.“ ჩვენ კომპლიმენტები ვესროლეთ; ის დაბრძანდა - „კარგი ამინდია, ქალბატონებო.“ შემდეგ კი მერის მიუბრუნდა.

„კარგი, ქალბატონო სტენჰოუფ, ვიმედოვნებ, თქვენ ბოლოსდაბოლოს გაანალიზებთ ყველაფერი. ალბათ, კეთილს ინებებთ და მეტყვით, მიიღებ ჩემი წინადადება თუ არა“.

„მე ვფიქრობ, სერ, - უთხრა მერიმ, - შეგეძლოთ, ეს უფრო ჯენტლმენურად გეკითხათ. არ ვიცი, დავთანხმდები თუ არა თქვენს შემოთავაზებას, თუ ასე უცნაურად მოიქცევით.“

„მერი!!“ (თქვა დედაჩემმა).

„კარგი დედა, თუ ის ასე გაბრაზდება...“

„ჩუ, ჩუ, მერი; შენ არ უნდა იყო ასეთი უხეში მისტერ უოტსის მიმართ.“

„მადამ, ნუ აიძულებთ და დაავალდებულებთ მის სტენჰოუფს იყოს ცივილური. თუ უარს მეტყვის, შემოიძლია, ჩემი გული სხვას შევთავაზო. მე თქვენ მოგანიჭებთ გარკვეული უპირატესობა თქვენს დებთან შედარებით. თუმცა, ჩემთვის სულერთია, სამიდან რომელზე ვიქორწინებ.“

„კარგი მაშინ, - მიუგო მერიმ ჭირვეულად, - მე გთანხმდებით, თუ ასე საჭიროა“.

„მე მგონია, მის სტენჰოუფ, ასეთი რამ ძალდატანებით არ უნდა მოხდეს. „რა მნიშვნელობა აქვს ქონებას, როცა კაცები სამუდამოდ ცხოვრობენ?“ - ჩაიდუღლუნა მერიმ, მხოლოდ მე გავიგონე, რადგან ახლოს ვეჯექი, ხმამაღლა კი გამოაცხადა - „გახსოვდეს, სანვრილმანო ფული - ნელინადში ორასი.“

„ასსამოცდათხუთმეტი, მადამ“.

„ნამდვილად ორასი, სერ“, - თქვა დედაჩემმა.

„და გახსოვდეთ, უნდა მყავდეს ახალი ეტლი, მაღლად დაკიდული, დუტონების ეტლივით, უნდა იყოს ლურჯი, ვერცხლისფერი ლაქებით; ველოდები ახალუნაგირიან ცხენს, ლამზად შეკაზმულს უა-“

მრავ, ძვირადღირებულ სამკაულს; ისეთ ბრილიანტებს, რომელიც არავის არსად უნახავს და მარგალიტს, ლალს, ზურმუხტს, ურიცხვ მძივს.

უნდა მორთოთ ფაეტონი, რომელიც იქნება კრემისფერი, ექნება ვერცხლისფერი ყვავილებით მოჩითული გვირგვინი. სამეფოში უნდა იყიდო ოთხი სრუტე და წამიყვანო იქ ყოველდღე. მაგრამ ეს, სულაც, ყველაფერი არაა; თქვენ სრულიად უნდა შეცვალოთ სახლი ჩემი გემოვნებით, უნდა დამიქირავოთ ორი ფარეში, რათა მუდამ თან მეახლნონ, ორი ქალი, ჩემი სურვილების ასასრულებლად; და უნდა იყოთ სანიმუშო ქმარი.“

აქ მერი შეჩერდა - ნამდვილად სუნთქვა შეეკრა.

„ეს სურვილი და მოლოდინი, ჩემი ქალიშვილისათვის, მისტერ უოთს, მიზნობრივია“, - განაცხადა დედამ.

„და ისიც მიზნობრივია, მისის სტენჰოუფ, რომ თქვენი ქალიშვილი სასონარკვეთილი აღმოჩნდება“. კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ მერიმ გააწყვეტინა: „თქვენ უნდა გამოშენოთ ელეგანტური სათბური და გაავსოთ ის მცენარეებით. თქვენ მთელი ზამთარი უნდა გამატარებინოთ ორანჟერეაში, ყოველი გაზაფხული ქალაქში, ყოველი ზაფხული მოგზაურობაში და ყოველი შემოდგომა წყლის სასახლეში. როცა სახლში ვიქნებით წლის დანარჩენი ნაწილი - აქ მე და სოფიმ გავიცინეთ, - ბალ-მასკარადების გამართვის მეტი არაფერი უნდა აკეთოთ. უნდა ააშენო თეატრი და პირველსავე პიესაში- „რომელი არის კაცი“-მე ვითამაშებ ლედი ბელ ბლუმერს.“

„დაიფიცე და ისე მითხარი, მის სტანჰოუფ, მე რას ველოდო ყველაფერ ამის სანაცვლოდ?“

„ელოდოთ? სანაცვლოდ? ჩემს კმაყოფილებას!“

„ცოტა უცნაური კი იქნებოდა, ამის მოლოდინიც არ მქონდეს. თქვენი სურვილები მეტისმეტად ბევრია ჩემთვის, და მე მომიხდება მივმართო სოფის, რომელიც, იმედია, ასე მომთხოვნი არ იქნება.“

„თქვენ ცდებით, სერ, - განაცხადა სოფიმ - ჩემი მოლოდინიც ასეთივეა; მე მინდა, რომ ჩემი ქმარი იყოს კარგი ხასიათის და მხიარული; ჩემი ბედნიერება მისი საქციელიდან უნდა გამომდინარეობდეს და უნდა ვუყვარდე მთელი გრძნობით და უსასრულო ერთგულებით“.

„ძალიან მოძველებული იდეებია, ნამდვილად, ახალგაზრდა ქალბატონო. უმჯობესია, მოიშოროთ ისინი დაქორწინებამდე, ვიდრე იძულებული შეიქნებით.“

ამასობაში დედაჩემი ლექციას უტარებდა მერის, რომელიც გრძნობდა, რომ ძალიან გაუტია, მეტისმეტად შეტოპა; როცა მისტერ უოთსი, რიგის მიხედვით, მე მომიბრუნდა, მერიმ ბრაზნარევი მოკრძალებით მიმართა:

„ცდებით მისტერ უოთს, თუ ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი სერიოზულად ვთქვი. თუმცა, მე უნდა მქონდეს ახალი ეტლი“

„დიახ, სერ, თქვენ უნდა დაგეშვათ ის, რომ მერის ჰქონდა უფლება ასეთი მოლოდინის.“

„მისის სტენჰოუფ, მე ვფიქრობ, ყოველთვის ვფიქრობდი, ახალი ეტლი ჩემი ქორწინებისათვის შემეკვება; ზუსტად ისეთივე, როგორიც ახლა მაქვს“.

„მე ვფიქრობ, მისტერ უოთს, ჩემი ქალიშვილი კომპლიმენტს იმსახურებს გემოვნებასთან დაკავშირებული კონსულტაციისათვის.“

მისტერ უოთსი, ეჭვიც არ მქონდა, არ დათანხმდებოდა ამას. მან დაიჟინა შოკოლადისფერი ეტლი, მაშინ, როცა მერის ლურჯი სურდა, ვერცხლისფერი ლაქებით. საბოლოოდ, როგორღაც, სოფიმ მოარიგა, მეტად გონივრულად - წამოაყენა წინადადება, ეტლი ყოფილიყო მუქი ყავისფერი, ამით მისტერ უოთსს ასიამოვნა, სამაგიეროდ მალლა დაკიდებული, საიმისოდ რომ ვერცხლისფერი ასასვლელი ჰქონოდა - ეს იმისათვის, რომ არც მერის დასწყვეტოდა გული. ბოლოსდაბოლოს, შეთანხმდნენ, თუმცა ცოტა უხალისოდ, რადგან თითოეულ მათგანს სურდა, თავისი სიტყვა ბოლომდე გაეტანა. შემდეგ ჩვენ შევეხეთ სხვა საკითხებსაც და გადწყდა, რომ ისინი დაქორწინდებოდნენ, როგორც კი ყველა ოფიციალური დოკუმენტაცია შეგროვდებოდა. მერის დიდი სურვილი ჰქონდა განსაკუთრებული ცერემონიისა, ხოლო მისტერ უოთსი უბრალო ჯვრისწერის მომხრე იყო. საბოლოოდ, ჩვეულებრივ, ჯვრისწერაზე შეთანხმდნენ. ამის შემდეგ მერი მიიღებდა ოჯახის ყველა სამკაულს, რომელიც, ჩემი აზრით, მეტად უმნიშვნელოა; მისტერ უოთსი შეჰპირდა მერის, რომ უყიდდა შეკაზმულ, უნაგირიან ცხენს, სანაცვლოდ მერის სამი წლის განმავლობაში არ უნდა ეფიქრა არც ქალაქში, არც სხვა სახალხო ადგილებში წასვლაზე. მას არ ექნებოდა სათბური, თეატრი და არც ფაეტონი; უნდა დაკმაყოფილებულიყო ერთი მოსამსახურე ქალით, ყოველგვარი თანმხლების გარეშე.

მთელი საღამო დასჭირდა ამ საკითხების შეთანხმება-მოგვარებას; მისტერ უოთსმა ივახშმა ჩვენთან ერთად და როგორც კი წავიდა, თორმეტ საათზე, მერიმ წამოიძახა: „მადლობა ღმერთს,

როგორც იქნა, ნავიდა; როგორ მეჯავრება!“ დედა ამოდ ცდილობდა დაედანაშაულებინა მერი და ერვენებინა მისთვის თავისი უხამსი საქციელი იმ კაცის მიმართ, რომელიც მალე მისი ქმარი გახდებოდა; მერი მაინც დაჟინებით და გამუდმებით აძაგებდა საქმროს, იმედოვნებდა, აღარც კი ენახა იგი.

ხომ წარმოგიდგენიათ, ეს რა ქორწილი იქნება! ჩემო ძვირფასო ენნი.

თქვენი ერ თგული მეგობარი სინიორა ჯორჯიანა სთენჰოუფი

მისგანვე მასვე
შაბათი

ძვირფასო ენნი,

მერის ძალიან უნდოდა, ყველას სცოდნოდა თავისი მოახლოებული ქორწინების ამბავი; ტკბებოდა საკუთარი ტრიუმფის, როგორც თვითონ ამბობდა, განცდით. უნდოდა, ყველას გაეგო, განსაკუთრებით კი დიუტონებს. სწორედ ამიტომ მოისურვა ჩვენთან ერთად სთოუნჰემში გასეირნება ამ დილით. რადგან სხვა საქმე არაფერი გვექონდა, ჩვენ იმწუთშივე დავთანხმდით ასეთ სიამოვნებაზე - მისი საუბარი ხომ მთლიანად იმ კაცის ლანძღვა-გინებას ეძღვნება, რომელსაც მალე ცოლად გაჰყვება და ექნება ეტლი ვერცხლისფერი ლაქებით. დუტონებთან მისულებს, მისაღებ ოთახში დაგვხვდა ორი ქალიშვილი სიმპატიურ ახალგაზრდა მამაკაცთან ერთად, რომელიც, რა თქმა უნდა, გაგვაცნეს. ის გახლავთ სერ ჰენრი ბრუდენელის ვაჟი - ყველაზე მომხიბვლელი იმ მამაკაცთა შორის, რომელიც ოდესმე მინახავს; ჩვენ, სამივე, ძალიან კმაყოფილნი დავრჩით მასთან ურთიერთობით. მერი, რომელიც ველარ იტევდა თავის ემოციებს, მაშინვე, ქითთის მივარდა:

„როგორ გგონია, საჭირო იქნება, რომ სამკაულს ჰქონდეს ახალი წყობა?“

„რისთვისაა საჭირო?“

„რისთვის! ჩემი გარეგნობისათვის“.

„მაპატიეთ, მაგრამ ნამდვილად არ მესმის. რა სამკაულებზე საუბრობთ, ან, როდის უნდა მიხედოთ გარეგნობას?“

„შემდეგ ბალზე, უფრო ზუსტად, ჩემი ქორწინების მერე.“

შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ მათი გაცემა? თავდაპირველად არც დაიჯერეს, მაგრამ ჩვენ ჩავერთეთ საქმეში:

„და ვინ არის ის - ვისზედაც ქორწინდები?“

მერიმ, ვითომდა დარცხვენით ან დაბნეულმა, თვალების დახრით ნაზად უპასუხა:

„მისტერ უოთსი“.

რასაკვირველია, ჩვენც მაშინვე დავადასტურეთ; ნებისმიერი, მერის მსგავსად ლამაზი და მზითვიანი ხომ სიხარულით იქორწინებდა მისტერ უოთსზე!!

როგორც კი მერიმ თავი ყურადღების ცენტრში იგრძნო, სრულიად დაკარგა უხერხულობის გრძნობა და თავმეუთკავებელ და უაზრო მოლაყბედ იქცა.

„ნუთუ ამის შესახებ ადრე არ გსმენიათ? ზოგადად, ასეთი ამბები ძალიან მალე ვრცელდება სამეზობლოში.“

„გარნმუნებთ“, მიუგო ჯემიმამ, არასდროს ეჭვიც არ შემპარვია; როდის გადაწყდა ეს?“

„ოჰ! დიახ, ოთხშაბათს.“

ყველას გაეცინა, განსაკუთრებით მისტერ ბრიუდენელს.

„მინდა იცოდეთ, რომ მისტერ უოთსი ისე ძლიერად არის შეყვარებული ჩემზე, რომ მისი მხრიდან ეს ცოტა არაბუნებრივიც კია“.

„ვეფიქრობ, არა მხოლოდ ის“, - მიუგო ქითთიმ.

„ოჰ! როცა ამხელა სიყვარულია ერთი მხრიდან, რა აზრი აქვს მას მეორე მხრიდან. ძალიანაც არ მეჯავრება, თუმცა, ის ამაში მთლად დარწმუნებულიც არაა“.

მისტერ ბრიუდენელი, თითქოს, გაშტერდა, მის დიუტონებმა არაბუნებრივად გაიციინეს; სოფი და მე უხერხულად ვგრძნობდით თავს მერის გამო; ის კი...

„გვექნება ახალი ეტლი, და ალბათ, ფაეტონიც!“

მერიმ ფანტაზიას მისცა ასპარეზი; სანყალი გოგო ისეთი კმაყოფილი, ისეთი აღფრთოვანებული გვიმხელდა თავისი ცხოვრების სიახლეებს, რომ მეც კი არ მეყო ძალა გამომეყვანა იგი საკუთარი მირაჟიდან:

„მისტერ უოთსმა ოჯახის სამკაული უნდა მაჩუქოს, ძალიან ძვირფასი და ღირებული“, - თავი ველარ შევიკავე და სოფის გადავუჩურჩულე, - „მგონი რომ არა“.

„მათ ჩემი ქორწინების შემდეგ, პირველივე ბალზე გავიკეთებ“, - გააგრძელა მერიმ, - თუ მისის დიუტონი არ წამოვა, ნება მომე-

ცით, თან გიახლოთ თქვენ, აუცილებლად წავიყვან სოფის და ჯორჯიანასაც.“

„თქვენ ძალიან კეთილი ხართ; რადგან განგიზრახავთ ახალგაზრდა ქალბატონებზე ზრუნვა, იქნებ, მისის ედგერ ქემბერიც არ გამოტოვოთ, მისი ექვსი ქალიშვილი; ისინი, თქვენი ორი და და ჩვენ - ღირსეული და პომპეზური წარდგენა გამოვა“, - ყველა გაგვამხიარულა ქითის ამ „რჩევამ“.

მერი ვერაფერს მიხვდა და სავსებით სერიოზულად შენიშნა, რომ არ სურდა ამდენი მხლებელი. მხოლოდ რამდენიმე წუთით მოვახერხე საუბრის თემის შეცვლა. მერი მეტისმეტი გატაცებით ლიკლიკებდა თავისას.

ვგრძნობდი, რა „სიამოვნებას“ ჰგვრიდა ეს ყველაფერი მისტერ ბრიუდელს, რომელიც დიდი ოსტატობით ინარჩუნებდა თავაზიანობას და სიმშვიდეს. მერის კითხვებსაც კი აძლევდა, აშკარად დამცინავს, მაგრამ ჩვენი დაიკო ვერაფერს ამჩნევდა.

ბოლოსდაბოლოს, მოახერხა და საუბარი ჩვენ გაგვიბა, მთელი ნახევარი საათი ვმასლაათობდით, მერე კი დავტოვეთ სთოუნჰემი. სახლიდან გასვლისთანავე მისტერ ბრიუდნელის, მისი მანერების ქება-დიდებას შევუდექით.

სახლში მისტერ უოთსი დაგვხვდა.

„მის სთენჰოუფ, ხედავთ, ნამდვილი შეყვარებულივით გეახელით“.

„არ იყო საჭირო ამის თქმა, მე ძალიან კარგად ვიცი, რატომაც მოხვედით“.

სოფი და მე გავედით ოთახიდან, რადგან, თუ არშიყობის სცენას შევესწრებოდით, ზედმეტნი ვიქნებოდით. გავოცდით, როცა მერი მალე შემოგვიერთდა.

„ასე მალე დამთავრდა თქვენი სასიყვარულო საუბარი?“ - ჰკითხა სოფიმ.

„ჰმ, სასიყვარულო! ჩვენ ვიკამათეთ; უოთსი სულელია! იმედი მაქვს, აღარასოდეს მომიწევს მისი ნახვა.“

„მოგიწევს, - ვუთხარი, - ვფიქრობ, დღეს ჩვენთან ისადილებს. მაინც, რაზე წაიკიდეთ?“

„მე ვუთხარი, რომ ამ დილთ მასზე ბევრად უფრო სიმპატიური მამაკაცი გავიცანი. წარმოგიდგენიათ, მხოლოდ ამის გამო, საშინლად გალიზიანდა, ანჩხლი მელა მიწოდა; მეც მივახალე, რომ იგი არამზადაა, თანაც საზიზლარი და გამოვიქეცი.“

„დამშვიდდი, ჩემო პატარავ და ტკბილო, და დაიფიცე, რომ სიმართლეს გვეტყვი, არ მოეშვა სოფი, რა მოხდება?“

„მოუნწევს ბოდის მოხდა, მაინც არ ვაპატიებ.“

„მისი დამორჩილება და თავის დამდაბლება, ამ შემთხვევაში არ იქნება სასარგებლო“.

მოწონებდა და სასტუმრო ოთახში დავბრუნდით. მისტერ უოთსის და დედის გაცხარებული საუბრიდან მივხვდი, რომ მისტერ უოთსს შეეჩვილა მისთვის მერის უხამს საქციელზე, დედას კი უკვე დაერწმუნებნა, ამაზე მეტი აღარ ეფიქრა.

მისტერ უოთსი მერის შეყვარებულის იერით შეეგება. თუ არ ჩავთვლით უმნიშვნელო კამათს ფაეტონსა და სატბურზე, სალამომ, როგორც ამ შემთხვევაში იტყვიან, ჰარმონიულ და გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

უოთსი მიემგზავრება ქალაქში, რათა დააჩქაროს საქორწინო სამზადისი.

თქვენი მოსიყვარულე მეგობარი, ჯ. ს.

ინგლისურიდან თარგმნა დიანა მიქელაძემ

კულტურის ძეგლები

მერაბ ბერიძე

ისტორიული წარწერა სოფელ უდიდან

უდე ერთ-ერთი ძველი სახელთაგანია სამხრეთ საქართველოში. სახელი უკავშირდება **ყუდ** ფუძეს - სახლის, თავშესაფარის, საცხოვრებლის მნიშვნელობას (მ. ბერიძე, მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის, 2008, გვ.138-139). ამ სოფელში მოსახლეობა უძველესი დროიდან არსებობდა, მაგრამ მცხოვრებთა ყველაზე ძველი ჩამონათვალი, აღწერა, ეკუთვნის მე-16 საუკუნეს, როდესაც ოსმალებმა შექმნა საგადასახადო დოკუმენტი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. 1995 წელს უდეში 135 კომლი ცხოვრობს. იმდროისათვის საკმაოდ დიდ სოფლად ითვლება ამ ტიპის დასახლება. უდეს ჰქონდა ციხე და მისი რაბათი (მ. ბერიძე, უდის მოსახლეობა მე-16 საუკუნეში, ტაძრები და სახელები, 2010, გვ. 216). დიდ სოფელს დიდი ტრადიციები აქვს. როდესაც ოსმალებმა იგი აირჩიეს „ნაჰიეს“ ცენტრად და მას დაუქვემდებარეს გარშემო ბევრი სოფელი, ამით გააგრძელეს ქართული ადმინისტრაციული ტრადიცია. მე-19 საუკუნეში ასევე გამორჩეული სოფელია უდე, ამიტომაც არის, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში სწორედ უდეში შენდება დიდი ქრისტიანული ტაძარი.

მესხეთი ყოველთვის გამოირჩეოდა კონფესიური სიჭრელით, რისი მაგალითიც არის სწორედ ეს სოფელი. მასში ცხოვრობდნენ მართლმადიდებელი, კათოლიკე და მუსლიმი ქართველები. ამჯერად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ თანაცხოვრების იმ შესანიშნავ მაგალითზე, რითაც გამორჩეულია ეს სოფელი.

ქართველთა გამუსლიმება მესხეთში, ძირითადად, მე-18 – მე-19 საუკუნის დასაწყისში ხდება. ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს, რომ მხოლოდ მაღალ წრეს აქვს მიღებული მაჰმადიანობა. კონფესიური სიახლეები, ძირითადად, ეკონომიკურ ნიადაგზე ხდებოდა. მაღალ წრეს, რომელსაც პრივილეგირებული მდგომარეობა ჰქონდა და იყო მიწის მფლობელი, ბევრი ჰქონდა დასაკარგი, რის გამოც ხშირად დამპყრობლის ნებას დაჰყვებოდა და ასრულებდა მის ძირითად მოთხოვნას, იცვლიდა სარწმუნოებას, ამით იგი არა მხოლოდ

ინარჩუნებდა მდგომარეობას, ხშირად იუმჯობესებდა კიდეც და თავისუფლდებოდა გადასახადისაგან.

ხდებოდა სანინალმდეგო პროცესიც, როდესაც დიდ დანოლას დიდი წინააღმდეგობა მოჰყვებოდა და, თუ ოსმალთა მიერ დაწესებულ უძძიმეს გადასახადს ვერ უძლებდა, განსაკუთრებით აქაური გლეხი, აიყრებოდა და საქართველოს სხვა კუთხეში გადასახლდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც სამ ძმათაგან ორი შეიცვლიდა სარწმუნოებას, რომ მესამე მაინც „შენახათ“, ერთად გადაეხადათ მესამის გადასახადები, რომ იგი ქრისტიანად დარჩენილიყო. ამიტომ, რომ ბიძაშვილობა გვართაც გრძელდებოდა. ერთი და იმავე გვარის კაცები, ძმები, იყვნენ სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები. ქართულ ტრადიციას, სისხლით ნათესაობას დედისა და მამის მხრიდან, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მუსლიმთა მეხსიერებაში დიდხანს რჩებოდა ხსოვნა თავიანთი წინაპრებისა, წარმოშობისა. ამას ემატებოდა აკრძალვა, რომლის მიხედვით, არ შეიძლებოდა ქორწინება ბიძაშვილებსა და დეიდაშვილებს შორის არც კათოლიკეში და არც მუსლიმებში. გრძელდებოდა ქართული მართლმადიდებელი ტრადიცია.

ეს ყველაფერი კარგად დასტურდება დოკუმენტურად. ჩვენ მიერ დასახელებული „დავთარი“, რომელიც ოსმალების მიერ არის შედგენილი, კარგად ასახავს არა მხოლოდ უდის, არამედ მთელი მაშინდელი ოსმალეთის გურჯისტანის – სამცხის, ჯავახეთის და არტაანის ეროვნულ-ეთნიკურ შემადგენლობას. მაშინდელი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი – 90 პროცენტი ქართულია, არიან მცირედ სომეხნი და დაწყებულია სარწმუნოების ნიადაგზე ოსმალური სახელების გაჩენა.

რადიკალურად იცვლება სიტუაცია მე-19 საუკუნეში, როდესაც რუსეთის მიერ გათავისუფლებულ მაშინდელ მესხეთში, თითქოს, უნდა შეწყვეტილიყო ქართველთა სარწმუნოების შეცვლა, მაგრამ სინამდვილეში ხდება, პირიქით, რუსეთმა თავისი აღწერებით არა მხოლოდ დააკანონა მუსლიმანიზაციის პროცესი, არამედ ბევრი რამ დააჩქარა და შეუქცევადი გახადა.

ბევრი სოფელი, რომელთაც აღწერს რუსეთი მე-19 საუკუნის საშობიან წლებში, დასახლებულია მაჰმადიანი ქართველებით (могамедиანი Грузины), რომლებიც საუკუნის ბოლოს ფიქსირდებიან ახალ აღწერებში როგორც **თათრები** და მეოცე საუკუნეში ხდებიან **თურქები**. კიდევ უფრო უარესდება მდგომარეობა, როდესაც მეოცე საუკუნეში, კერძოდ, 1944 წელს, სამცხე-ჯავახეთიდან ასახლებენ


ხალხს, რომელთა დიდ ნაწილს შენარჩუნებული აქვს ენა და გვარი, როგორც თურქებს. ოფიციალურად არც ერთი ქართველი არ გაუსახლებია საბჭოთა რუსეთს, ყველა მუსლიმი ქართველი აქციეს თურქად და ისე გაასახლეს. ეს იყო დეპორტირებული ხალხის არა მხოლოდ ფიზიკური ტკივილი, ტრადიცია, არამედ მათი სულის ამოგლეჯა, გენეტიკის გაბუნდოვნება და საკუთარ ფესვებთან დაბრუნების პერსპექტივის მოსპობა. საბჭოთა რუსეთი აგრძელებს მეფის რუსეთის დანყებულ საქმეს. რუსეთს ყოველთვის ხელს აძლევდა, რომ დასუსტებულიყო საქართველო, რომლის სიძლიერეს მუდამ განსაზღვრავდა სამხრეთის, სამცხე-ჯავახეთის, სიძლიერე, ქრისტიანობა. მთავარია, რომ ისტორიულად, მას შემდეგ, რაც იქმნება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ და რუსული „აღწერები“, საქართველო, როგორც პოლიტიკური მოთამაშე, აღარ არის, მის ბედს წყვეტენ რუსეთი და თურქეთი. მაჰმადიანი მოსახლეობის თურქებად გასახლება შედიოდა როგორც რუსეთის, ისე თურქეთის ინტერესებში. არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, რუსეთი და თურქეთი ისტორიის რომელ მონაკვეთში გააკეთებდა ამას, იქნებოდნენ ისინი ერთმანეთის მტრები თუ მოყვრები, ყოველთვის ითვალისწინებდნენ ერთმანეთის ინტერესებს, რადგან ეს ინტერესი ემთხვეოდა მათ დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ. ზოგ შემთხვევაში ეს მიდგომა თავს იჩენს თანამედროვე ურთიერთობებშიც.

პოლიტიკა თავისთავად განსაზღვრავდა ბევრ რამეს, მაგრამ იყო აგრეთვე სახალხო პოლიტიკა. ხალხისთვის ისტორიული ხსოვნა გრძელდებოდა დიდი ხნის მანძილზე. ურთიერთობას, ეროვნული ფესვების სიმტკიცეს განსაზღვრავდა გვარიც. ქართული და ოსმალური გვარი განსხვავდება თავისი სტრუქტურითა და დანიშნულებით. მართალია, ორივეს ეკონომიკურ-ეთნოგრაფიული საფუძვლები განსაზღვრავდა, მაგრამ ქართული გვარის თაობიდან თაობაზე გადასვლა, ხოლო ოსმალური გვარის ცვლა თაობებს შორის, რადიკალურად ცვლიდა ეროვნულ-ეთნიკურ თვითშეგნებას. ერთი და იმავე გვარის წარმომადგენლების სარწმუნოებრივი განსხვავება ხშირად თუ დაპირისპირების მიზეზი შეიძლება გამხდარიყო, რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, გარკვეულ შემთხვევებში ტოლერანტობის, ურთიერთაბიჯისციემის საფუძველიც ხდებოდა.


ტოლერანტობის ერთ საინტერესო და მნიშვნელოვან ფაქტზე გვინდა შევაჩეროთ ყურადღება სოფელ უდის მაგალითზე. 1901-1909 წლებში აშენდა უდეში კათოლიკური ტაძარი, რომელსაც აქვს ორი

მნიშვნელოვანი წარწერა, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე ორივე წარწერა ინფორმაციული ხასიათისაა, მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა ტაძრის მშენებლობის, მაშინდელი ისტორიული პირების შესახებ. წარწერებიდან ვგებულობთ, რომ ტაძრის მშენებლობაში თავისი წვლილი შეუტანია მღვდელ **სიმონ ჩილაშვილს**. ეპისკოპოსი ყოფილა **კესლერი**, ხოლო რომის პაპი **პიი X**. ასევე გვამცნობს წარწერა, რომ ეკლესია აშენდა რუსეთში **ნიკოლოს მეორის** მეფობის ჟამს და კავკასიაში მთავარმართებული არის **ვარანცოვ-დამკოვი**. ეს ინფორმაცია ჩვენთვის მნიშვნელოვანია და ადასტურებს მე-20 საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ცნობილ პიროვნებათა გარემოს, როცა შენდება ტაძარი, რომ ეს გარემო არის რეალური და წარწერა სანდოა, ასახავს მაშინდელ ისტორიულ სინამდვილეს. აქედან გამომდინარე, ისტორიული დიკუმენტის ძალა აქვს წარწერის დანარჩენ ნაწილს, რომელიც გვამცნობს უშუალო მშენებლების, ხალხის შესახებ, ვინ იყვნენ ისინი და რა სარწმუნოებისანი. პირველი, ჩრდილოეთის წარწერა გვამცნობს, რომ ტაძარი აშენდა 1901-1909 წლებში:

„1901წ. აღშენდა 1909წ. სამცხე-საათაბაგოს მესხ ქართველებმა უღის 272 მოსახლე კათოლიკებმა.“ ეპიგრაფიკული წარწერების ზოგიერთი ქარაგმა-შემოკლებანი თუ პუნქტუაცია ხშირად განპირობებულია მასალით. **მოსახ.** შემოკლებული სიტყვაა და ნიშნავს მოსახლეს. ასევე ტაძრის მშენებლობის დასაწყისად უნდა მივიღოთ 1901 წ. მიუხედავად წინადადების სინტაქსური გაუმართაობისა. კიდევ უფრო სრულყოფილია მეორე წარწერა:



„უდეს არის კათოლიკები 2120 სული, მაშენებელნი ამა საყდრისა. მაჰმადიანები 520 სული, ორივე ტომით ქართველნი. ღვთისმშობელო, შენ გწირამთ ჩვენ შრომასა“.



წარმოდგენილი წარწერა-დოკუმენტი გვამცნობს, რომ სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანია, ხოლო ნაწილი არის მაჰმადიანი, მაგრამ, როგორც კათოლიკენი, ისე მაჰმადიანნი არიან ქართველები. რისთვის დასჭირდათ მშენებლებს, სოფელს, საზოგადოებას ამის ხაზგასმა, წარწერაში აღნიშვნა. ამის მიზეზი სწორედ ის არის, რომ მეზობელი ქვეყნები, ზოგიერთი მაშინდელი უცხოელი მეცნიერი ეჭვქვეშ აყენებდა როგორც კათოლიკების, ისე მაჰმადიანების ქართველობას. სარწმუნოებრივი თანაცხოვრების ამ შესანიშნავი დოკუმენტით ვგებულობთ, რომ ქრისტიანულ ტაძარს ქრისტიანებთან ერთად აშენებენ მაჰმადიანები. ღვთის სახლი ყველასთვის საპატივცემულო იყო. ბევრი მაგალითია საიმისოდ, რომ სამცხე-ჯავახეთის ქრისტიანი და მაჰმადიანი მოსახლეობა პატივს სცემდა ერთმანეთის რელიგიურ დღესასწაულებს. მოღებული იყო ნათლობა-მეფავარეობა ქორწილებში.

სამწუხარო სწორედ ის არის, რომ ამ შესანიშნავი ტაძრის მშენებელი ბიძაშვილები, ქრისტიანები და მაჰმადიანები 1918 წელს ჩათორიეს სარწმუნოებრივ დაპირისპირებაში, რასაც სავალალო შე-


დეგები მოჰყვა. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ამ სოფლის (და არა მარტო ამ სოფლის, მთელი სამცხე-ჯავახეთის) მაჰმადიანი მოსახლეობა, ქართველები, გაასახლეს შუა აზიაში როგორც თურქები და მათ მოუსპეს სამშობლოში ქართველებად დაბრუნების საშუალება.

ქრისტიანობის დროინდელი ტრადიცია მაჰმადიანურ მოსახლეობაში დიდხანს გრძელდებოდა. ზოგიერთი ოჯახი, რომელიც სასულიერო საქმეს ემსახურებოდა სარწმუნოების შეცვლამდე, გარკვეული ფორმით შემდეგაც აგრძელებდა ამ სამსახურს. შუა აზიის დეპორტირებულ მოსახლეობაში ცნობილია უზბეკეთის მაგალითი, სადაც ტაშკენტის ოლქში ცხოვრობს სოფ. **შურდოდან** გადასახლებული მოსახლეობა, იქვეა ოჯახი, რომელსაც ებარა ეკლესიის გასაღები. ეს წმინდა საქმედ ითვლებოდა, ამიტომ ოჯახმა თან წაიღო მასალებიც და აღთქმული ვალდებულების ხსოვნაც. ამ ოჯახში დღესაც ინახება წმინდა მოქარგულ ნაჭერში გახვეული გასაღები, რომელიც დევს სპეციალურ ყუთში. შურდო დღეს ნასოფლარია ახალციხის მუნიციპალიტეტში. მე-16 საუკუნეში იგი პატარა სოფელი ყოფილა, მხოლოდ სამ კომლს უცხოვრია, ისიც ერთი ოჯახია თავისი განაყრებით: გიორგი ზარასფას ძე, დავითა ძმა მისი და გოგიჩა ძმა მისი. გიორგი, დავითა და გოგიჩა ძმები არიან (ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიის დიდი დავთარი, II 1941 გვ.35), ხოლო 1870 წელს აღრიცხულია 14 კომლი (ს.ჯიქია, გურჯისტანის ვილაიის დიდი დავთარი, III 1958 გვ. 58).


კულტურა, რომელიც სარწმუნოებრივ ნიადაგზე იქმნება, ადვილად არ ქრება და არ იკარგება. დღევანდელ ქრისტიანულ ყოფაში ბევრი წარმართული ელემენტია შემორჩენილი, რომელიც თავად იქცა ქრისტიანული კულტურის ნაწილად. ასე ხდებოდა მაჰმადიანური სარწმუნოების მიღების შემდეგაც. იმავე სოფელ უდეში არის ბუხრის ქვა, რომელსაც აღმოსავლურ-მაჰმადიანური ელემენტები შემკული ჩუქურთმები აქვს, რითაც შესრულებულია ორი წრე. ამავე ელემენტებით არის შემკობილი ჯვარი, რომელიც ბუხრის ქვის შუაში არის ამოკვეთილი.

უდის წარწერები განსაკუთრებით აქტუალურობას იძენს დღეისათვის. სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებულმა მაჰმადიანმა მესხებმა უნდა გაითვალისწინონ წინაპართა პათოსი, პატივისცემა დაკარგული ეროვნებისადმი. დღეს შეიძლება, ნებისმიერი ეროვნება აირჩიოს ადამიანმა, მაგრამ არ უნდა დაივიწყოს ის, რაც იყო, რითაც მოვიდა დღევანდლობამდე.

უღის ტაძრის წარწერები



ლილი ფენაშვილის ნახატი



ხელოვნება და ხელოვანი



...ღარჩა დიდი თეთრი ტილო დაუსატავი

ახალი დამთავრებული მქონდა სამხატვრო აკადემია, ყველგან, სადაც მოვხვდებოდი, მხატვრებს და ნახატებს ვეძებდი, (ახლაც ასე ვარ) თითქოს ნათესავი უნდა მენახა... ახალციხეში კი საგამოფენო დარბაზიც არ იყო... ოთხმოცდაათიანი წლების სიმძიმე მთელს საქართველოს დაღვივით ედო. ყველაფერი ნაცრისფერი მეჩვენებოდა. ერთ დღეს კი ქალაქის სკვერში ნახატებმა შემომანათეს. ფერწერული ტილოები წინილებივით ჰქონდა მხატვარს გარშემო გამოფენილი. თავად კი იჯდა მათ შორის და ჩანახატებს ასრულებდა. ახლა არ მახსოვს წელიწადის რა დრო იყო, მაგრამ მახსოვს განწყობა, ყველაფერი აფერადდა გარშემო. ქალაქი მტვერიც კი ფერადი მეჩვენებოდა. მხატვარი კი მოწყენილი დამამახსოვრდა, ცოტა მკაცრიც კი, გამოველაპარაკე, მაგრამ ვერ შევატყვევ საუბრის სურვილი. რატომღაც, მომერიდა და არც გავუმხილე, რომ მეც ვხატავდი. ახლა ვნანობ. დარწმუნებული ვარ, გაუხარდებოდა და საუბარიც გასახსენებლად დამრჩებოდა. ეს ქალბატონი მხატვარი ლილი ფენაშვილი გახლდათ.

ამ შეხვედრიდან 25 წელი გავიდა. ბევრჯერ გამხსენებია მისი ნახატები. აღარც ქუჩაში შევხვედრივარ და არც სადმე სხვაგან - გალერეაში... მეც იმ ადამიანთა რიგში ჩავდექი, რომლებსაც

გვერდზე ჰყავთ ნიჭიერი ხელოვანები, რომლებიც არ ხმაურობენ და ამიტომაც ავიწყდებათ მათი არსებობა. მერე კი აღმოვაჩინეთ, რომ ისინი ჩვენს ყურადღებას ითხოვდნენ, მაგრამ უკვე გვიანია... იქნებ მეც აღარ გამხსენებოდა, რომ არა ერთი ჩვეულებრივი, ბანალური შემთხვევა: ამ ზაფხულს გადავწყვიტე, ისეთი ბინა მეყიდა, სადაც ხატვას შევძლებდი... ერთ დღეს ახალგაზრდა გოგონამ ბუბიის სახლის ნახვა შემომთავაზა... გავოგნდი. კედელზე რამდენიმე ფერწერა ეკიდა. სწორედ იმ მხატვრის სახლში მოვხვდი, რომელიც თითქმის დამინწყებოდა. ახლა ჩემი განცდების აღწერას არ მოვყვები, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ არც კი დაფიქრებულვარ, ისე გადავწყვიტე, რომ ამ ბინაში უნდა მეცხოვრა. ეს გახლავთ სახელოსნოს ტიპზე გადაკეთებული ბინა, როგორსაც მე ვეძებდი და ვერ ვპოულობდი, ქალბატონმა ლილიმ თითქოს მე დამიტოვა... დამრჩა კედლები უამრავი ნალურსმნევით - კვალი კედელზე დაკიდებული ნახატებისა. უამრავი ჩარჩო და ქვეჩარჩო, საიდანაც მოხსნილია ტილოები, რადგან იმდენად ბევრია, რომ ოჯახის წევრებს უჭირთ მათი განთავსება კედლებზე.

ქალბატონ ლილის ორი შვილი ჰყავს - ქალბატონი თინათინ და ბატონი სერგო გვარამაძეები.

თინათინიც ხატავს. როგორც მითხრა, უცნაური რამ მოხდა მათ ცხოვრებაში. დედაშვილმა აღმოაჩინეს, რომ მათ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ერთდროულად დაიწყეს ხატვა. ისინი სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობდნენ. „ერთი სული მქონდა, დედასთვის ჩემი პირველი ნახატი მეჩვენებინა, სახლში ჩასულს კი დედაც ნახატით დამხვდაო“, - გაიხსენა თინათინმა. მოგვიანებით კი მაჩვენა დედის მიერ დანერგილი ტომები (არ ვაჭარბებ), ხელით ნანერი ლექსები, ჩანახატები, იუმორესკები, მოთხრობები... ავტორს სათუთად აეკინძა და ერთად შეეკრა. რა ვუყო ამხელა ნაშრომსო, - წუხს თინიკო. მერე ყველა ერთად მოათავსა და სახლიდან გაიტანა. ბინა დაცარიელდა. დამრჩა დაცლილი სახელოსნო... შევაკვებ კი ოდესმე ისე, როგორც ლილი ავსებდა მას? ალბათ, ვერასოდეს!

ქალბატონი ლილის მხატვრობა მრავალფეროვანია. მას აქვს შექმნილი პორტრეტები, კომპოზიციები, პეიზაჟები, ნატურმორტები... არ უშინდება ნახატისა და კომპოზიციის სირთულეს. ხატავს, რაც მას ანუხებს და ათბობს. აქვს საკუთარი სტილი და ხედვა. რატომღაც მარკ შაგალი გამახსენდა მისი კომპოზიციების ნახვისას,

თუმცა, არაფერი აქვთ საერთო. ეს გახლავთ ქართული სულით გამთბარი ფერები, რომელიც გენეტიკურად აქვს სისხლში ავტორს.

„ჯავახეთის პატარძალი“ - ასე ეწოდება კომპოზიციას, რომელიც განსაკუთრებულად მომწონს. კომპოზიციის ცენტრში ცოლ-ქმარი ერთმანეთთან ზურგით სხედან. ქალი ქმრის ზურგს ეყრდნობა და ბედნიერებით სავსე, გიტარით ხელში მღერის. ისეთი განწყობაა, თითქოს, სიმღერაც კი ისმის. კაცი კი მშვიდად გაჰყურებს მომავალს. ნახატი ზედა რეგისტრში მუქ მოლურჯომომავო ფერებით იწყება და ქვემოთ მუქი თბილი ფერებით მთავრდება, სურათის ცენტრში კი ნათელი თეთრი ფერი აცვია ქალის ფიგურას და მთელ კოლორიტს აცოცხლებს ეს ერთი ლაქა. ქალი მთვარესავით ანათებს ღამეში, ცაზე მინიშნებული მთვარე კი ყვითელ ფერშია დანერილი. არ ვიცი, ეს ინტუიციით დაიხატა, თუ ცოდნითა და ლოგიკით, მაგრამ, მე მაინც ვფიქრობ, რომ ქალბატონი ლილი შინაგანი ნიჭის ხარჯზე აკეთებდა ყველაფერს.

მისი ყოველი კომპოზიცია პოეტურია. ნოველებს მაგონებს. ბუნებრივიცაა, ის ხომ ასევე ლამაზად და ნიჭიერად წერდა ლექსსაც და პროზასაც. შექმნილი აქვს უამრავი საინტერესო პორტრეტი და ნატურმორტი.

მე ვფიქრობ, ვიდრე მისი ნამუშევრების გამოფენას არ მოვანწყობთ, აჯობებს, თავი შევიკავო მისი შემოქმედების განხილვისგან. სასურველია, ამ საკითხზე უფრო კომპეტენტურმა ხელოვნებათმცოდნემ ისაუბროს, ან ვინმე სხვა მხატვარმა, რადგან მე საკმაოდ სუბიექტური ვარ ქალბატონი ლილის შემოქმედების მიმართ. მინდა ამ შესანიშნავ მხატვარსა და მის მხატვრობაზე ყველას გიამბოთ, გაგაცნოთ. ამაში ჩვენი უნივერსიტეტი დამეხმარება, ბატონი მერაბ ბერიძე სიხარულით დამთანხმდა ქალბატონი ლილის ნამუშევრების გამოფენის მოწყობაზე. ახლა კი, გამოფენის წინ, „არავში“ ლილი ფენაშვილის შესახებ მისი ქალიშვილის ინტერვიუს შემოგთავაზებთ. მინდა გითხრათ, რომ თინათინიც დედასავით ნიჭიერი და საინტერესო ადამიანი გახლავთ.

- დედა დაიბადა 1930 წლის 24 მარტს გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში, გლეხის ღარიბ ოჯახში. მარტივად ხდებოდა მამინ დაქორწინება, მახსოვს, ბებია (თიკო შავლიაშვილი) მიყვებოდა: „მოვიდნენ ჩემს სანახავად, მაშინ 16 წლის ვიყავი, უარს ხომ არ ვეტყოდი, სირცხვილი იყო“. დედას ჰყავდა უმცროსი ძმა, აკაკი, რომელიც ძალიან კარგად მღეროდა გიტარაზე, ჰყავდა თავისი

„ბენდი“, როგორც ახლა იტყვიან, დადიოდნენ მთელს კახეთში და ატარებდნენ კონცერტებს, მღეროდნენ ქორწილებში, ერთი სიტყვით, ბოჰემურ ცხოვრებას ეწეოდა და სიცოცხლე ახალგაზრდამ დაასრულა (40 წლისამ). ძალიან მუსიკალური ოჯახი ჰქონდა დედას, ყველა მღეროდა. მიყვებოდა ხოლმე ვანო პაპაზე, ახალგაზრდობაში ღვინოს თბილისში გასაყიდად რომ ჩამოიტანდა, იმ ფულით ოპერაში მიდიოდა. ფალიაშვილის ყველა ოპერა ზეპირად იცოდა და სახლში არიებსაც ხშირად ამღერებდა ხოლმე. თქვენ წარმოგიდგინათ, გლესს, რომელსაც განათლება არ ჰქონდა, ოპერა სიგიჟემდე უყვარდა. აი, ასეთ ოჯახში იზრდებოდა დედაჩემი, წარჩინებით დაამთავრა სკოლა და წამოვიდა თბილისში. სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის (მაშინ სტალინის სახელობის) სახელმწიფო უნივერსიტეტში. დაამთავრა ფიზიკის ფაკულტეტი. სტუდენტობისას სტუდენტულაქტივში გაიცნო მამა - გიორგი სერგოს ძე გვარამაძე, ისიც ჯავახიშვილის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო.

- **როდის დაოჯახდა და მცირე ინფორმაცია ოჯახის შესახებ...**

- როდის დაოჯახდა, თარიღი ზუსტად არ მახსოვს. მათ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და სიყვარულით დაოჯახდნენ. მამა ახალქალაქის რაიონის სოფელ პტენიდან იყო, მრავალშვილიანი ოჯახიდან. დედას დიდი ტილო აქვს მიძღვნილი, სახელად - „ჯავახეთის პატარძალი“, მე პირადად ძალიან მიყვარს ეს ნახატი. ჯერ ლაგოდეხში ცხოვრობდნენ, შემდეგ ასპინძაში და ბოლოს ახალციხეში. დედა ჯერ სკოლაში ასწავლიდა ფიზიკას. შემდეგ რაიკომში მუშაობდა „საზოგადოება ცოდნაში“, პარალელურად აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ აქტივობებში. იყო ადგილობრივი გაზეთის „წითელი დროშა“ უშტატო კორესპოდენტი, წერდა სტატიებს, იღებდა ფოტოებს, თვითონ ამჟღავნებდა და ბეჭდავდა, იღებდა მოკლემეტრაჟიანი ფილმებს. მესხეთის თეატრის მსახიობების მონაწილეობით გადაღებული ჰქონდა მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ქელენი“. სარდაფში ჰქონდა შენახული, 90-იანებში გაქურდეს და გაანადგურეს, ზოგი ფირი გადარჩენილია, აღდგენა სჭირდება. რუსთაველი შოთა რუსთაველის 800 წლისთავთან დაკავშირებით, დიდი ღონისძიება ჩატარდა, ჩამოსულები იყვნენ მწერლები, პოეტები - ეს ყველაფერი აღბეჭდილი აქვს ფოტოებზე, შემოძლია, მოგანოდო სურათები და ინტერვიუს თან დაურთო. წერდა ლექსებს, მოთხრობებს, რომანს. აქვს ხელით ნაქარგები, ქსოვდა, კერავდა და, დაახლოებით

50 წლის ასაკში, ეს, ალბათ, 80-იან წლებში დაიწყო ხატვა და მას მერე, ფუნჯი ხელიდან არ გაუგდია.

- რატომ არ მიიღო სამხატვრო განათლება და რა პროფესია ჰქონდა?

ფაქტობრივად, სამხატვრო განათლებას ვერ მიიღებდა, რადგან როგორც ვთქვი, 50 წლის ასაკში დაიწყო ხატვა.

- უჭირდა ოჯახსა და მხატვრობას შორის ყოფნა?

ასე ვერ ვიტყვოდი, რადგან, თუ არ ვცდები, 1980 ან 1982-ში განქორწინდა, მე სტუდენტი ვიყავი, ჩემი ძმაც სწავლობდა. ფინანსურად მამა უზრუნველგვყოფდა, ასე რომ, სრულიად თავისუფალი იყო ოჯახური „მარწუხებიდან“, შემოქმედებითად თავისუფალი იყო. მამა, მიუხედავად განქორწინებისა, მაინც ზრუნავდა დედაზე. მამა ცალკე ცხოვრობდა კერძო სახლში, დედა მიდიოდა ხშირად, ხილი და ვარდები მოჰქონდა ხოლმე, მერე იმას ხატავდა. მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ მათ სიკვდილამდე უყვარდათ ერთმანეთი, მიუხედავად მათი გაყრისა.

- როგორი დედა იყო?

მე და ჩემს ძმას ბედნიერი ბავშვობა გვქონდა. მე და დედა განუყრელი მეგობრები ვიყავით - ყოველ ზაფხულს ერთად დავდიოდით ზღვაზე, ვიღებდით ფოტოებს და მერე ერთად ვამუღავნებდით, იყო არაჩვეულებრივი მეოჯახე, სახლი, სამსახური - ყველაფერს ასწრებდა, მიკერავდა კაბებს, უკრავდა გიტარაზე, ლექსის და მუსიკის ავტორიც თვითონ იყო, აცხობდა უგემრიელეს ხაჭაპურს, ნამცხვრებს. უბედნიერესი ბავშვობა და ახალგაზრდობა მქონდა. მასხოვს, უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, დედამ ლენინგრადში (ახლანდელი სანკტპეტერბურგი) წამიყვანა, ეს იყო დაუვინყარი მოგზაურობა: ერმიტაჟი, მუზეუმები, სასახლეები, თეთრი ლამეები, ყველაფერი ზღაპრული იყო. დაუსრულებლად შემიძლია ვილაპარაკო დედაზე.

- ჰქონდა სურვილი, რომ შვილებსაც ეხატათ?

მე და დედამ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ერთდროულად დავიწყეთ ხატვა, მე - თბილისში, დედამ კი - ახალციხეში. ერთი სული მქონდა, დედასთვის მეხარებინა და ენახა ჩემი პირველი ნახ-

ატი გუაშებით შესრულებული. დედაც მელოდა, რომ ეჩვენებინა თავისი პირველი ნახატი, „ლეღვის ტოტი“, გუაშებით შესრულებული. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შევხვდით. საოცარი კავშირი გვექონდა, ყველაფერს მიზიარებდა, ძალიან ალერსიანი და მოსიყვარულე იყო. არ ვიცი, რატომ გამახსენდა, მაგრამ, ერთხელ, მე ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი. დილით გაიღვიძა თუ არა, საწოლთან ჩამომიჯდა და დამინყო საუბარი მსოფლიო გლობალიზაციაზე, კოსმოპოლიტიზმზე, ვაჟაზე, მე ჯერ კარგად არ მესმოდა, ალბათ, 13-14 წლის თუ ვიქნებოდი, ძალიან დიდხანს მესაუბრა. ახლა რომ ვიხსენებ, საიდან ჰქონდა მას ეს ინფორმაცია, არ ვიცი.

- რას ხატავდა ყველაზე დიდი სიამოვნებით?

ყვავილები უყვარდა, ბოლო ლარი შეეძლო გაელო და ყვავილები ეყიდა, გაზაფხულზე მიმოზებს ყიდულობდა. ძალიან უყვარდა ყვავილების ხატვა.

- უყვარდა ნახატების გაჩუქება?

ნახატებსაც ხშირად ჩუქნიდა.

- ქალბატონ ლილის ჰქონდა თუ არა გამოფენები? როდის და სად?

გამოფენა ჰქონდა თბილისში, ცისფერ გალერეაში 1983 ან 1984 წელს, ზუსტად არ მახსოვს, აფიშაც აქვს შენახული (მოსაძებნია). თვითნასწავლი მხატვრების გამოფენა ერქვა, შეფასებაც მოჰყვა - ფიროსმანს შეადარეს. ჰქონდა გამოფენები სხვადასხვა გალერეაში.

- თქვენ ხომ არ აპირებთ მისი ნამუშევრების გამოფენას რომელიმე გალერეაში ან ახალციხეში?

ძალიან მინდა, რომ გამოფენა მოვუწყო, ახალციხეშიც, თბილისშიც. დედა ხომ სულ ოცნებობდა გამოფენაზე, ოცნებობდა კატალოგზე, სადაც მისი ყველა ნამუშევარი იქნებოდა.

- მისი საყვარელი ნამუშევარი?

ყველა ნამუშევარი უყვარდა.

- რაზე სწყდებოდა გული?

აღიარება უნდოდა, კომფორტი უყვარდა, რაც არ ჰქონდა. შვილებთან ყოფნაზე უარს აცხადებდა, მარტო უყვარდა ყოფნა და მარტომ დალია სული.

- თუ გახსოვთ ბოლო პერიოდში რაზე ოცნებობდა (მხატვარი ოცნების გარეშე ვერ იცხოვრებდა)?

ძალიან ბევრს ოცნებობდა, უნდოდა, ჰქონოდა დიდი სამხატვრო გალერეა, სალონური ტიპის. ოცნებობდა წიგნის გამოცემაზე, მოგზაურობაზე. ბოლო პერიოდში აღარ ხატავდა, კედელზე გაკრული ჰქონდა დიდი თეთრი ტილო. რამდენჯერაც მივედი, ყოველთვის ხელუხლებელი იყო, ხან რას მეტყოდა, ხან რას - ეს უნდა დავხატოო, ის უნდა დავხატოო, მაგრამ დარჩა დიდი თეთრი ტილო დაუხატავი...

p.s. რამდენიმე დღის შემდეგ შევდივარ ოთახში (უკვე ჩემი ბინის) და კედელზე კიდია ერთადერთი ნახატი, რომელიც ყველაზე მეტად მომწონდა. ის მე დამიტოვეს (ეს არის ისეთი საჩუქარი, რომლისთვისაც სიტყვებს ვერ ვპოულობ მაღლიერების გამოსახატად)... დამიტოვეს მისი ნაქონი „ეტიუდნიკი“, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ჩემ თვალწინ გაიხურა კარები ლილიმ.

ინტერვიუერი - ლელა ფერაძე

ლერი ნოზაძე



ანას სალამო

პოეზიის სადამოების გამართვა აგრარულ უნივერსიტეტში 2003-2010 წლებში ტრადიციად დამკვიდრდა. ამას დიდად შეუწყო ხელი ლიტერატურული აღმანახის „ჩემი ჰობი პოეზია“ გამოცემამ. ამ პერიოდის ერთ ყველაზე შთამბეჭდავ სალამოს ვიხსენებ. მაშინ რექტორი ბატონი თენგიზ(გიზო) ურუშაძე ბრძანდებოდა. მაისის ერთ მშვენიერ დღეს თავისთან მიხმო და მითხრა: - ქალბატონი ანა კალანდაძე მინდა მოვიწვიო და ორგანიზება შენ უნდა ითავო.

გავოგნდი, ავლელდი, დავიბენი... გონებაში იმწამსვე შიშმა გამირბინა: - ნუთუ შევძლებთ? ამ მწვერვალს როგორ ავწვდებით? ჩემთვის სხვადასხვა წყაროდან ცნობილი იყო, რომ ბოლო ხანებში ქალბატონი ანა მსგავსი შეხვედრებიდან თავს იკავებდა. ეს გარინდება ენიშნა ბატონ გიზოს და ... „ჩვენ ამას შევძლებთ!“ — გამომაფხიზლა იმედის ფრაზით.

რწმენამ და სიხარულმა უმაღვე გამინათა გონება. ერთი კვირა იყო ჩემს განკარგულებაში. ჟურნალისტიკის სპეციალობის ორ უსაყვარლეს სტუდენტს: ქეთი გამგებელს და თამუნა ლოლაძეს ვუხმე (დიახ, იმ პერიოდში, აგრარულში ჟურნალისტიკის სპეციალობაზე სწავლება საკმაოდ წარმატებულად ხორციელდებოდა).

2005 წლის 18 მაისს, 13:30-ზე 201 აუდიტორიაში ანა კალანდაძესთან დაგეგმილ შეხვედრას იუნყებოდა ჩვენ მიერვე A3 ფორ-

მატზე დაბეჭდილი მოკრძალებული აფიშა. მინდა აღვნიშნო, რომ გოგონებმა აქტიურად იმუშავეს და საკმაოდ მდიდარი რეპერტუარით გამოვხატავდით მზადყოფნას.

18 მაისის 13 საათზე ქალბატონი ანა და ქალბატონი მედეა ჩახვაძე (ბატონი გიზო ურუშაძის მეუღლე) უკვე რექტორის კაბინეტში ისხდნენ. მე კი ვლელავდი, რადგან, მართალია, 201 აუდიტორია იასამნის სურნელით იყო გაღვნილი და მაგიდასაც ყაყაჩოების თვალწარმტაცი თაიგული ამშვენებდა, მაგრამ, მაინც საცოდავად გამოიყურებოდა; კანტი-კუნტად აქა-იქ მსხდომი ჰოეზიის მოყვარულების ფონზე თითქმის ცარიელი იყო. დავლონდი. ასეთი სასონარკვეთილი არასოდეს ვყოფილვარ. იმავე წამს დავიწყე დეკანებთან რეკვა. დამამშვიდეს. მეცადინეობა 2-ის 20 წუთზე მთავრდება, სანერვიულოს რას ხედავო! მართლაც! ათ წუთში აუდიტორია ხალხით გადაივსო. ზემო იარუსის გაღებაც დაგვჭირდა. შემალლებულ იატაკზეც ჩამოსხდნენ. ბევრი ფოიეს ამარაც დარჩა.

მისასალმებელი სიტყვის თქმისას ვლელავდი, მაგრამ მოგვიანებით, სურათს რომ დავხედე, დავრწმუნდი, - ასეთი ბედნიერი სახე არასოდეს მქონია. შეხვედრას ჩვენი ჟურნალისტი გოგონები ბრწყინვალედ უძღვებოდნენ (სიმღერები, ლექსები, სიმღერები, ლექსები, ტაში, სურათები, ტაში, სურათები, ღიმილი, შთაბეჭდილებები) და.... ქალბატონი ანას ჯერიც დადგა... მანამდე კი, მაგიდის დეკორაციის შეცვლა ისურვა: - მინდა, ყაყაჩოები ჩემთან ახლოს ეწყოსო.

ბევრი ლექსი არ წაუკითხავს. „რამდენიმე თქვენ კი მიმღერეთ, მაგრამ მე ლექსად გეტყვითო, - დასძინა და უდიდესი კმაყოფილება და მადლიერება გამოხატა იმ სიტბოსა და სიყვარულისთვის, რაც თითოეულმა მონაწილემ მოიტანა ზეიმზე. მერე - „ძალიან მიყვარს სურათების გადაღებაო“, - თქვა, ყველა მონაწილე გარს შემოიკრიბა და... წამიერად: ჯერ შეჩერდითო, - „მინდა ჩემი მოსახელე გვერდით დამიდგეს, კალთაში კი შეხვედრის ყველაზე პატარა მონაწილე ჩავისვა და ასე გადავილოთო“, - მოკრძალებით ითხოვა (ეს მოსახელე თანამშრომლის - ქალბატონ ლიას შვილი - 8 წლის ანა გეჯაძე გახლდათ).

დასასრულისთვის „გეგმაში მქონდა“ გავკადნიერებულიყავი და ქალბატონი ანას ერთ-ერთი ლექსის მოტივზე დაწერილი ჩემი ლექსი და „შორია თამარ“ წამეკითხა. წაკითხვა რომ დავამთავრე, - ალტაცებულმა, გაკვირვებულმა, უაღრესად ბედნიერი თვალები მომაპყ-

რო და: - „ როგორ, ბატონო ლერი, ეგ ლექსი თქვენ ზეპირად იცი-
თო!? - იკითხა. მადლიერება რით გამოვხატოო....

მე მისაჩუქებლად გამზადებული მქონდა ზემოხსენებული ჩვენი
ალმანახის იმ წლის ნომერი და ჩემი პირველი პოეტური კრებული.
ალმანახი დაიტოვა, ხოლო ჩემს კრებულზე წააწერა: - „სახსოვრად
ბატონ ლერის ანა კალანდაძისაგან“ და გადმომცა. ასე გახდა ჩემი
წიგნი ჩემი რელიკვია, დიდი ანას დიდი საჩუქარი. რომ მომენატრე-
ბა, დროდადრო, ამაღლებული განწყობილებით, ჩავიხუტებ და ვე-
ფერები ხოლმე.

მერე, ცოტა ხნით, ჩვენი შეხვედრა-საუბარი უნივერსიტეტის
კულტურული სივრცის შესახებ, უნივერსიტეტის ცნობილ მუზეუმში
გაგრძელდა ფინჯან ჩაიზე. უაღრესად ბედნიერი ბრძანდებოდა
ქალბატონი ანა. წარუშლელი კმაყოფილება და მადლიერება ამკობ-
და ქალბატონ მედეას სახეს. „ჩანაფიქრი შედგა“, - იკითხებოდა ბა-
ტონი გიზოს თვალებში.

გაცილებისას: - კიბებთან (დიახ, აგრარულის სწორედ იმ მიხ-
ვეულ-მოხვეულ კიბებთან)! ბატონი გიზო მანიშნებს: - ე, კაცო,
მშვენივრად, მშვიდობით გავართვით თავი ყველაფერს და, ამ სიკე-
თის დროს (მაპატიეთ ასე თქმა, მაგრამ, სწორედ ეს ეწერა სახეზე) -
მიეხმარე, უკავალრე, ასაკოვანია, კიბეზე არაფერი დაემართოსო!

ვერ ავხსნი, - ქალბატონ ანას გულმა უგრძნო თუ მაგიურად და-
ლანდა ჩვენ შორის უხილავი ძაფები - რადგან განაცხადა: -არა ბა-
ტონებო, მოხმარება არ დამჭირდება! მე თქვენგან, აქედან ისე ბედ-
ნიერი და კმაყოფილი მივდივარ, - ერთი ათი წელი მაინც ჩამოვი-
ბერტყე მხრებიდან!!! კიბის მოაჯირს საიმედოდ ეყრდნობოდა და
ასე მშვიდობით მივედით გასასვლელამდე.

განცხადებების დაფასთან შეჩერდა: - თუ შეიძლება, ეს აფიშა
ჩამომიხსენით, ესეც ისტორიაა ჩემთვის, - გამატანეთო!

კარებთან ქალბატონებს თეთრი მანქანა უცდიდა.

გავაცილეთ.

იმ ლამაზი დღის შემდეგ ქალბატონმა ანამ 10 წელზე ნაკლები
იცოცხლა. თუმცა, რას ვამბობ, - აქ ზმნას აწმყოს ფორმა უფრო
შეფერის!

09.02.16

ბინაპრები

რევაზ ჭილაძე

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1991 წლიდან თსუ ახალციხის ფილიალში კითხულობს ლექციების კურსს სწავლების სამივე საფეხურზე. არის ასტრონომიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი. აქტიური მონაწილეობა მიიღო თსუ მესხეთის ფილიალში მათემატიკა-ასტრონომიის კათედრის, მათემატიკა-ასტრონომიის ფაკულტეტის ჩამოყალიბებაში, რომლის დეკანი იყო 1992 — 2005 წლებში. 1995 წლიდან არის საერთაშორისო ასტრონომიული საზოგადოებისა და საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის წევრი. გამოქვეყნებული აქვს 60 -ზე მეტი სამეცნიერო შრომა. რ. ჭილაძე არის მონოგრაფიისა და მათემატიკის სახელმძღვანელოს ავტორი, რედაქტორი და რეცენზენტი. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა ტერმინი „ჭილაძის ეფექტი“. 2000 წელს გახდა „ღირსების ორდენის“ კავალერი.



ქართველუბი მთვარეუბი

**„ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები?“
აკაკი**

საქართველო მუდამ იამაყებს თავისი ღირსეული შვილებით, ლეგენდებად გადაეცემა თაობიდან თაობას მათი საქმიანობის შესახებ. წინამდებარე წერილში საუბარი გვექნება მხოლოდ ორ სახელმძღვანელო ქართველ მეცნიერზე, რომლებმაც ისე განავითარეს მეცნიერების სხვადასხვა ქვედარგი, რომ მათი ამქვეყნიური აღსასრულის შემდეგ, საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის გადანიყვეტილებით, სამუდამოდ გახდნენ მთვარის ბინადარნი (უკვდავების ბინადარნი), აი ისინიც:

მიხეილ ვაშაკიძე - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რომელიც ოცი წლის განმავლობაში ემსახურებოდა ქართული ასტრონომიული მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეს.

მიხეილ ვაშაკიძე დაიბადა 1909 წლის 28 აგვისტოს, სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში. სკოლა მიხეილმა ქ. სამტრედიაში დაამთავრა.

1928 — 1932 წლებში მიხეილ ვაშაკიძე სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ახლად დაარსებული აბას-თუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასპირანტურაში და სასწავლებლად გაიგზავნა ქ. ლენინგრადში, ასპირანტურის კურსი გაიარა გამოჩენილი მეცნიერის, აკადემიკოს ვიქტორ ამბარცუმიანის ხელმძღვანელობით.

მიხეილ ვაშაკიძემ 1936 წელს ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „ჰერკულესის ახალი ვარსკვლავის ნებულარული სტადია“.

უდიდესი პოპულარობა მიხეილ ვაშაკიძეს მოუტანა ვარსკვლავთ სივრცული განაწილების მეთოდის შემუშავებამ, ამ მეთოდის მიხედვით, გალაქტიკაში ვარსკვლავთ განლაგება წარმოდგენილია გალაქტიკის ეკვატორის პარალელურ სიბრტყეებში და ვარსკვლავთა სიმკვრივეების განაწილება განხილულია სიმეტრიის სიბრტყის მართობულ მიმართულებებში. ამით მან მოახერხა ვარსკვლავთ სტატისტიკის შვარცშვილდის ინტეგრალური განტოლების ამოხსნა ზოგადი სახით.

მიხეილ ვაშაკიძის აღნიშნული მეთოდი ზოგადია და მისი საშუალებით ვარსკვლავთ სივრცული რაოდენობის შესწავლა შესაძლებელია გალაქტიკის განედის ნებისმიერი მიმართულებისათვის, სწორედ ამ დროს გახსენდება დიდი აკაკის ცნობილი პოემიდან სტრიქონები, რომელიც ამ წერილის ეპიგრაფად არის მოყვანილი, სინამდვილეში, ვაშაკიძის ამ მეთოდით შესაძლებელია დიდი სიზუსტით ვარსკვლავთა დათვლა ცაზე, გასაოცარია, მაგრამ იმ ვარსკვლავებისაც კი, რომლებიც უშუალოდ არ ჩანან მოცემული ადგილიდან, სამყაროში შთანთქმეული მატერიის გამო.

მიხეილ ვაშაკიძის ეს მეთოდი წარმატებით გამოიყენა პროფესორმა ბ. კუკარკინმა და შეასრულა გალაქტიკის შემადგენელი ქვესისტემების მორფოლოგიური გამოკვლევა, ამ მეთოდით პროფესორმა ბ. მარქარიანმა შეისწავლა გალაქტიკური შთანთქმა და სხვა.

მიხეილ ვაშაკიძისაგან დამოუკიდებლად და დაახლოებით ერთდროულად აღნიშნულ მეთოდს მიაკვლია გამოჩენილმა ჰოლანდიელ-

მა ასტრონომმა ოორტმა, ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში მას მოიხსენიებენ ვაშაკიძე-ოორტის მეთოდის სახელწოდებით.

მიხეილ ვაშაკიძემ 509 გარეგალაქტიკური ნისლეულისა და 110 გრძელპერიოდიანი ცეფეიდის ფერის მაჩვენებელთა კატალოგის ანალიზის საფუძველზე, შეისწავლა ვარსკვლავთშორისი ნეიტრალური შთანთქმის არსებობის საკითხი, გალაქტიკური მანძილების განსაზღვრის ფორმულაში შეიტანა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს შთანთქმის ნეიტრალურ კომპონენტს.


აღნიშნული შრომა საფუძვლად დაედო მიხეილ ვაშაკიძის სადოქტორო დისერტაციას, რომელიც დაიცვა 1950 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში და შემდგომ გამოსცა მონოგრაფიის სახით. მნიშვნელოვანი შედეგები აქვს ბატონ მიხეილს აგრეთვე მზის ფიზიკური ბუნების შესწავლის საქმეში, მან აღმოაჩინა, რომ კორონაში სინათლის პოლარიზაციის ხარისხი მჭიდრო კავშირშია კორონის ფორმასთან და არ არის დამოკიდებული სინათლის ტალღის სიგრძეზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მიხეილ ვაშაკიძის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში შესრულებული სამუშაო გალაქტიკური და გარეგალაქტიკური ნისლეულების გამოსხივების სინათლის პოლარიზაციის შესახებ. ამ მიმართულებით საინტერესო აღმოჩნდა ე.წ. კიბორჩხალის ნისლეული (ეს სახელი ნისლეულს მისი ფორმის გამო უწოდეს).

სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მიხეილ ვაშაკიძე აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში ხელმძღვანელობდა ასტროფიზიკისა და ვარსკვლავთ ასტრონომიის განყოფილებას, იგი აგრეთვე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. დაჯილდოებულია „სპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

პროფესორი მიხეილ ალექსანდრეს ძე ვაშაკიძე გარდაიცვალა 47 წლის ასაკში, შემოქმედებითი ნიჭის აყვავების ზენიტში, 1956 წლის 27 ნოემბერს. მასთან უკანასკნელი გამოსათხოვარი წუთები საოცრად დაემთხვა 1956 წლის 2 დეკემბრის მზის დაბნელებას. თითქოს მას მზეც გლოვობდა. ბატონ მიხეილს ხომ ბევრი დრო და ენერგია შეუწირავს ბუნების ამ შესანიშნავი მოვლენის დაკვირვება - შესწავლისათვის. 1970 წელს საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის გადაწყვეტილებით, ამერიკის ქვოტით, მთვარის ერთ-ერთ კრატერს, რომლის დიამეტრი 50 კილომეტრს აღემატება და რო-

მელიც კოსმოსური თანამგზავრით გადაღებულ მთვარის ჩვენთვის უხილავ ნახევარსფეროზეა (სელენოგრაფიული კოორდინატებით: აღმოსავლეთი გრძედის 930-სა და ჩრთილოეთ განედის 440-ზე მდებარეობს) ეწოდება ქართველი ასტროფიზიკოსის, ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მიხეილ ვაშაკიძის სახელი.



სურათი 1, ცენტრში: პროფესორ მიხეილ ვაშაკიძის სახელობის კრატერი.

აღნიშნული მოვლენა პირველი შემთხვევა იყო, როცა მთვარის წარმონაქმნს, რუკაზე ქართული გვარი დაენერა, რომელიც მიხეილ ვაშაკიძის დიდ დამსახურებაზე მიუთითებს ასტრონომიული მეცნიერების წინაშე და წარმოადგენს მეცნიერის საერთო აღიარების ნათელ დადასტურებას.

ვიქტორ ჯაფიაშვილი - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, რომელიც 65 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში.

ვიქტორ ჯაფიაშვილი დაიბადა 1924 წლის 20 ივნისს, ბორჯომის რაიონის სოფელ დაბაში. ამ პატარა სოფელში გაატარა ბავშვობა და ყრმობა. სამამულო ომის დაწყების პირველსავე დღეებში გამოცხადდა სამხედრო კომისარიატში და მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტის ჯავშანი იცავდა ფრონტზე წასვლისაგან, მოხალისედ გაემგზავრა ომში. 1942 წელს დაიჭრა ქ. ტუაფსესთან ბრძოლებში.

ვიქტორ ჯაფიაშვილი 1945 წელს უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1949 წელს. ბატონმა ვიქტორმა 1950 წლიდან პირველმა დაიწყო მთვარის შესწავლა ელექტროპოლარიმეტრული მეთოდით, 1955 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მთვარის ზედაპირის აგებულების გამოკვლევა ელექტროპოლარიმეტრული გაზომვებით“, რომელიც 1957 წელს გამოსცა მონოგრაფიის სახით.

ვიქტორ ჯაფიაშვილმა 1982 წელს ა. კოროლთან ერთად, მსოფლიოში პირველად გამოსცა „მთვარის პოლარიმეტრული ატლასი“ და მიენიჭა „ბრედინინის სახელმწიფო პრემია“.

1988 წელს ვიქტორ ჯაფიაშვილმა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შტენბერგის ასტრონომიულ ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მთვარის პოლარიმეტრული ატლასის შექმნა და მისი გამოყენება, მთვარის ზედაპირის ფიზიკური თვისებების შესასწავლად“ და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ვიქტორ ჯაფიაშვილის ძირითადი სამეცნიერო შედეგები გამოყენებულია მრავალ მონოგრაფიებსა და სასწავლო ლიტერატურაში, მას ნაკითხული აქვს სამეცნიერო მოხსენებები: აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლონეთში, უკრაინაში, სომხეთსა და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებსა და საერთაშორისო კონფერენციებზე.

პროფესორი ვიქტორ ჯაფიაშვილი 35 წლის განმავლობაში იყო აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ხელმძღვანელობდა მთვარე - პლანეტების განყოფილებას.

ვიქტორ ჯაფიაშვილი თანამშრომლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მის ახალციხის ფილიალში, სადაც კითხულობდა ლექციებს, ხელმძღვანელობდა სტუდენტთა სადიპლომო და საკონფერენციო თემებს, 2000-2002 წლებში იყო სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.

ობსერვატორიაში სამეცნიერო მიმართულებამ, რომელსაც ბატონმა ვიქტორმა ჩაუყარა საფუძველი („მთვარისა და პლანეტების ელექტროპოლარიმეტრული მეთოდით შესწავლა“), აღზარდა ათამდე მეცნიერი, რომლებიც ასევე ზრდიან ახალგაზრდა კადრებს. 2015 წლის 17 აგვისტოს, 92 წლის ასაკში ვიქტორ ჯაფიაშვილი დარდაცვალა. 2015 წლის 7-9 ოქტომბერს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო

უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ასტროფიზიკის თანამედროვე პრობლემები-I“.

უცხოელმა მეცნიერებმა არაერთხელ აღნიშნეს ქართველ მეცნიერთა უდიდესი წვლილის შესახებ, რომელიც მათ შეიტანეს და შეაქვეთ მსოფლიო მეცნიერების საგანძურში, ამის ერთ-ერთი გამოცხადილი იყო მონაწილეთა მიმართვა საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის პრეზიდენტისადმი, ღვანლმოსილი ქართველი მეცნიერის ვიქტორ ჯაფიაშვილის სახელის მთვარის ერთ-ერთი კრატერისათვის მინიჭების შუამდგომლობის შესახებ:

„ძვირფასო ქალბატონო სილვია! მოგახსენებთ, რომ ჩვენ შორის იყო შესანიშნავი მეცნიერი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბრედისინის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ათამდე მეცნიერებათა დოქტორის აღმზრდელი, პროფესორი ვიქტორ პეტრეს ძე ჯაფიაშვილი.

ვიქტორ ჯაფიაშვილმა 1950 წლიდან პირველმა დაიწყო მთვარის შესწავლა ელექტროპოლარიმეტრული მეთოდით, გამოსცა მონოგრაფია და მთვარის პოლარიმეტრული ატლასი (პირველად მსოფლიოს სამეცნიერო ისტორიაში!). გარდა ამისა, გამოაქვეყნა რამდენიმე ათეული პირველხარისხოვანი სამეცნიერო ნაშრომი მთვარის ფიზიკური ბუნების შესახებ, რასაც მოახმარა თავისი ცხოვრების 65 წელზე მეტი!

აღნიშნული დამსახურებისათვის ვიქტორ ჯაფიაშვილს მიღებული აქვს მთავრობის არაერთი უმაღლესი ჯილდო, მათ შორის, ღირსების ორდენი.

2015 წლის 17 აგვისტოს 92 წლის ასაკში ვიქტორ პეტრეს ძე ჯაფიაშვილი გარდაიცვალა.

ქალბატონო პრეზიდენტო!

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ვიქტორ პეტრეს ძე ჯაფიაშვილის უდიდესი დამსახურება მთვარის ბუნების ნაყოფიერი და ხანგრძლივი შესწავლის საქმეში, რათა საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის ერთ-ერთ უახლოეს სხდომაზე შუამდგომლობა აღძრათ და მხარი დაუჭიროთ წინადადებას, რომ მთვარის ერთ-ერთ უსახელო კრატერს ეწოდოს ვიქტორ პეტრეს ძე ჯაფიაშვილის სახელი.

საერთაშორისო კონფერენციის „ასტროფიზიკის თანამედროვე პრობლემები - I“ მონაწილეთა სახელით“.

To Ms Silvia Torres-Peimbert

President of International Astronomical Union

Dear MsTorres-Peimbert!

We are bringing to your knowledge that we had in our ranks a brilliant scientist, Doctor of Sciences (Physics and Mathematics), laureate of Bredikhin State Prize, and teacher of up to ten doctors of science Professor Victor Dzhapiashvili.

Victor Dzhapiashvili was the first to begin since 1950 the study of Moon based on Electro-polarimetric method. He published a monograph and Polarimetric Atlas of the Moon (for the first time in the history of world science!). In addition he published several tens of first-class research works on the physical nature of Moon, to which he dedicated more than 65 years of his life.

He received more than one highest prizes, including the Order of Honor, Bredikhin State Prize and many others.

on 17 August 2015 at the age of 92 Victor Dzhapiashvili passed away.

Dear Ms President!

We are requesting you to take into consideration Victor Dzhapiashvili's greatest contribution to the fruitful and longtime study of the nature of Moon and to mediate and support at one of the nearest meetings of the International Astronomical Union the proposal on naming one of the nameless lunar craters after Victor Dzhapiashvili.

In the name of participants of the international conference "Modern Problems of Astrophysics":

- Doctors of Sciences:
1. M. Beridze
 2. O. Kvaratskhelia
 3. R. Chigladze
 4. G. Javakhishvili
 5. E. Khutsishvili
 6. A. Gvishi
 7. G. Matsidze
 8. R. Inaswidze
 9. T. Kvernadze
 10. G. Kakhuli
 11. E. Janiasvili
 12. T. Uqushadze
 13. R. Hukozeev (EAO)
 14. V. Sherchenov (KNU)
 15. A. Pozanenko (PKI)
 16. J. Bel'skaya (Kharkiv Univ)
 17. G. Kimeridze
 18. R. Natsvishvili
 19. A. A. Sigua

რაზედაც მივიღეთ დადებითი პასუხი:


„გმადლობთ იმისათვის, რომ რეკომენდაცია გაუწიეთ მთვარის ერთ - ერთი კრატერისთვის პროფესორ ვიქტორ ჯავახიშვილის გვარის მინიჭებას და ამის საფუძველად მონოდეტული ინფორმაციისთვის. პროფესორ ჯავახიშვილის მიერ მთვარის შესწავლაში შეტანილი წვლილი აკმაყოფილებს საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის მიერ დაწესებულ კრიტერიუმებს, და ჩვენ სიამოვნებით დავუმატებთ მის გვარს მთვარის სახელებისა და გვარების ბანკს. კვლავ მადლობას გიხდით იმისათვის, რომ გვაცნობთ პროფესორ ჯავახიშვილის გვარისა და მიღწევების შესახებ.

საუკეთესო სურვილებით,

ჩარლზ ა. ვუდი

თავმჯდომარე IAU-ს მთვარის ნომენკლატურის მიზნობრივი ჯგუფი (IAU Task Group for Lunar Nomenclature); როზალინ ჰეივორდი, IAU-ს პლანეტური ნომენკლატურის ცნობარის მონაცემთა ბაზის მენეჯერი (Database Manager of the IAU Gazetteer of Planetary Nomenclature);

შეერთებული შტატების გეოლოგიური ძიება (United States Geological Survey)



სურათი 2, ცენტრში: პროფესორ ვიქტორ ჯაფიაშვილის სახელობის კრატერი, მთვარის მუდმივად დედამიწისაკენ მოქცეულ ზედაპირზე, რომელიც მდებარეობს კრიზისებისა და ნაყოფიერების ზღვებს შორის (კოორდინატები: განედი 60 — 100 და გრძედი 540 -570).

სარჩევი

<i>პროზა</i> ზვიად ბერიძე ათი ბვერდი	3
<i>ემიგრანტული პროზა</i> დავით ბოთურა (ბოთურაშვილი) - ისრაელი ჩანახატები რაბათის ებრაელთა ყაიღებისა	13
<i>პოეზია</i> დავით შემოქმედელი	34
<i>პოეზია</i> თავფარავნელი	39
<i>პროზა</i> მალხაზ ლომსაძე მადლი ქენი	48
<i>ემიგრანტული ჩანახატები</i> მზია გაგაძე - კანდელაკი, საბერძნეთი თილისმა მოლოდინი „იპნანამ რა ჰქმნა“ სამშობლოვ, შენ გაგარეგოღეს მისი ტანჯული სული	53
<i>ემიგრანტული პოეზია</i> მაია გოგოლაძე-კილიჩი, გერმანია	63
<i>ემიგრანტული პოეზია</i> მზალო ოსიშვილი, საბერძნეთი	68
<i>ინტერვიუ</i> „თინათინი — კავკასიის ავაზა“	74
<i>თარგმანი</i> ჯეინ ოსტინი სამი ღა	111

<p><i>კულტურის ძეგლები</i> <i>მერაბ ბერიძე</i> ისტორიული ნარჩენარ სოფელ უდიდან</p>	125
<p><i>ხელოვნება და ხელოვანი</i> ...დარჩა დიდი თეთრი ტილო დაუხატავი</p>	131
<p><i>გახსენება</i> <i>ლერი ნოზაძე</i> ანას საღამო</p>	138
<p><i>წინაპრები</i> <i>რევაზ ჭილაძე</i> ქარიველები მიჰვარაზე</p>	141

გამომცემლობა

„ახალციხის უნივერსიტეტი“

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106,
 ტელ.: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88
 ელ. ფოსტა: jurnaliaravi@gmail.com